

ბუდაპეშტი 1956 წლის მოვლენებს იხსენებს A3



კიდევ ერთი შეხვედრა A4



"გზაჭვარედინები. კულტურათა დიალოგი" A4


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 2006 წელი. №236 (1388) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge



საქართველოს პროკურატურა აცხადებს სტაჟიორთა მიღების კონკურს A7



საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი

40 52 22



თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


# "ძველი" კონსტიტუციის უამრავი ახალი შტრიხი

## ძირითადი კანონი რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ფონზე "მდიდრდება"

გიორგი ასანიშვილი

31 მარტს ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა. მას შემდეგ ოპოზიციურ ფრაქციებს პარლამენტის სხდომათა დარბაზში, პროტესტის ნიშნად, ფეხი აღარ შეუდგამთ. თუმცა, შვიდთვიან ბოიკოტს რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. ოპოზიციის ნაწილი ("დემოკრატიული ფრონტი" და "მემარჯვენეები"), ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ თვითიზოლაციით უმრავლესობას "გულს ვერ მოულბობდა", ამიტომ ბედს შეეგუა და "აქცია" შეწყვიტა, რის შემდეგაც "თამაშგარე მდგომარეობაში" მხოლოდ "მრეწველებიღა" რჩებიან.

მართალია, "შემორიგებულები" იხტიბარს არ იტეხენ და აცხადებენ, რომ მათი მოთხოვნები (შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა და გირგვლიანის მკვლელობის შემკვეთების გამოვლინება და დასჯა) კვლავ ძალაში რჩება, მაგრამ ეს უფრო "ლამაზად" დაბრუნებისთვის, იმიჯის შენარჩუნებისთვის კეთდება.

**"ოპოზიციის გადაწყვეტილება ამ სესიისთვის ძალიან კარგი სიგნალია. ოპოზიციას, ისევე როგორც ჩვენ, საშუალება ექნება, საზოგადოებას სიმართლე პარლამენტის ტრიბუნიდან დაუმტკიცოს,"** - ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას მიესალმება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ ბოიკოტის შეწყვეტის საბაბად რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობები დაასახელა და მთავრობის წევრებისგან ამ საკითხზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება მოითხოვა. უმრავლესობამ სიტუაცია აღარ გაამწვავა და ოპოზიციონერი დეპუტატის წინადადებას დათანხმდა.

თვალშისაცემია ისიც, რომ ბოლო პერიოდში შიდაპოლიტიკური დაპირისპირება საგარეო საკითხებმა, კერძოდ კი ზემოთ ნახსენებმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებმა გადაფარა. უმრავლესობა ცდილობს, ამ სფეროში "ინიციატივა" თავის ხელში აიღოს და ოპოზიციას სათქმელი არ დაუტოვოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ეთნიკურ საფუძველზე წარმოშობილი დისკომფორტი

## რა აფერხებს რუსეთიდან საქართველოში კაპიტალის გადმოტანას

B

*რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი ჩიხში შევიდა. მეზობელი ქვეყნის ოფიციალური პირები ბლოკადის მოხსნის კონკრეტულ ვადებს დღემდე არ ასახელებენ, რაც ემიგრანტი ქართველების მდგომარეობას უფრო ამძიმებს. ამის გამო, აშკარაა - ბევრი ქართველი საქმოსნის მიერ დაგროვილი კაპიტალი საფრთხის წინაშე დადგა. მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანს საქართველოში დაბრუნების შესახებ განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.*




# მეფე წავიდა. გაუმარჯოს მეფეს!

## მიხაელმა ფორმულა დატოვა. ფელიპემ ბრაზილიას გამარჯვება მოუტანა

გიგა გურასაშვილი

*ფინიშამდე მეტრები რჩებოდა, რომ ფელიპე მასამ გამარჯვების ნიშნად მუშტი რამდენიმეჯერ აღმართა. რბოლა დასრულებული არ იყო, რომ იგივეს აკეთებდა ფერნანდო ალონსოც. მას შემდეგ, რაც მასამ ფინიშის ხაზი გადაკვეთა, საპატიო წრეზე მყოფთან მავანი მიიჭრა და ბრაზილიის დროშა გადააწოდა. ამასობაში ალონსო რადიო ხაზის მეშვეობით თანაგუნდელებს მადლობას უხდიდა: "ბიჭებო, მაგრები ხართ. თქვენ უდიდესი სამუშაო გასწიეთ. ჩვენ ეს ერთად შევძელით. ყველას მადლობა! მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპზე ტელეობიექტივები ერთმანეთის მონაცვლეობით ასახავდნენ მასასა და ალონსოს სიხარულს. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი მოგვიანებითღა გაახსენდათ. მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. დასრულდა შუმახერის ეპოქა. მეფე წავიდა. გაუმარჯოს მეფეს.*

გაგრძელება A8 გვერდზე



*მსოფლიოს ჩემპიონობიდან ალონსო დარჩა, შუმი კი წავიდა.*

# საპარლამენტო ოპოზიცია ბოიკოტს წყვეტს

*საპარლამენტო ოპოზიცია სხდომათა დარბაზს უბრუნდება. დღეს პლენარულ სხდომას "დემოკრატიული ფრონტის" წევრები და "ახალი მემარჯვენეები" დაესწრებიან, რომლებმაც უკანასკნელ წუთს შეძლეს საკუთარი ფრაქციის გადარჩენა. ეს კი წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატის, ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" აწ უკვე ყოფილი წევრის, ლაშა ნარჩემაშვილის დამსახურებაა, რომელმაც "ახალ მემარჯვენეებში" გაწევრიანებაზე თანხმობა გუშინ განაცხადა. რაც შეეხება "მემარჯვენეებს" განდგომილ კოკა გუნცაძეს. იგი ამ ეტაპზე თავის პოლიტიკურ საქმიანობას დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელებს. გუშინვე გაირკვა, რომ ამ ორი ფრაქციის გადაწვეტილება სრულიად მოულოდნელი აღმოჩდა "მრეწველებისთვის", რამაც მათი გაღიზიანება გამოიწვია. თავის მხრივ, ოპოზიციური ფრაქციების გადაწყეტილებას საკმაოდ წყნარად შეხვდნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები, რომლებმაც განაცხადეს, რომ რამდენიმე თვის წინ გამოცხადებულმა ბოიკოტმა ოპოზიციას მხოლოდ ერთადერთი "შედეგი" მოუტანა - საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ისინი ერთ-ერთი სერიოზული პოლიტიკური ტრიბუნის გარეშე დატოვა.*

თამარ ასათიანი

გუშინ, დღის პირველ ნახევარში "ახალი მარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და ბოიკოტის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ასე ახსნა: **"ფრაქციამ საპარლამენტო ტრიბუნა ყველა სახელმწიფოებრივ საკითხზე ხელისუფლების ოპონირებისთვის უნდა გამოიყენოს".**

დავით გამყრელიძის თქმით, ბოიკოტის შეყვეტის მიზეზი რუსეთ-საქართველოს შორის არსებული გამწვავებული ურთიერთობაც გახდა, "რაც ხელისუფლების, ოპოზიციის და საზოგადოების მხრიდან აქტიურ, ერთობლივ დიალოგს მოითხოვს".

გაგრძელება A3 გვერდზე

# რამ უნდა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა

## ძლიერმა ჯარმა, კოალიციურმა თავდაცვამ, დიპლომატიამ თუ ყველაფერმა ერთად?

*ცოტა ხნის წინ პარლამენტმა მიიღო კანონი "შეიარაღებული ძალების რაოდენობის" შესახებ. იგი მიზნად ისახავს თავდაცვის სისტემის საშტატო ერთეულის ზრდას ორი ათასი კაცით. "24 საათი" შეეცადა, ქართველი ექსპერტებისაგან მიეღო პასუხები შეკითხვებზე: რამდენად ბრძოლისუნარიანია ჩვენი შეიარაღებული ძალები? რა პოტენციალი მოეპოვება ქართულ არმიას? რამდენად თავდაცვისუნარიანია ჩვენი ქვეყანა?*

ვერიკო თევზაძე

**"შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა, წინანდელთან შედარებით, ბევრად უფრო გაზრდილია. ამის თვალსაჩინო მაგალითად კოდორის ოპერაცია გამოდგება,"** - აღნიშნავს ექსპერტი სამხედრო საკითხებში დავით დარჩიაშვილი. უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის, ყოფილი სამხედრო ომბუდსმენის ირაკლი სესიაშვილის აზრით, **"დღეს ქართული ჯარი სულ უფრო მეტად შორდება სამოქალაქო საზოგადოებას და, ფაქტობრივად, სახელმწიფოში სახელმწიფო იქმნება. ეს პირველი ნიშანია იმისა, რომ ჯარი დემოკრატიულად ვერ ვითარდება. ქართული შეიარაღებული ძალების დემოკრატიული განვითარება ბევრად ჩამორჩება მთლიანად ქვეყნის განვითარებას".**

გაგრძელება A3 გვერდზე

# სტრასბურგში მოგებული კიდევ ერთი საქმე

*ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთი საქმე წააგო. ევროსასამართლოს რამდენიმე დღის წინანდელი გადაწყვეტილებით, მომჩივან დავით დანელიას სასარგებლოდ, საქართველოს ხელისუფლებას საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა დაეკისრა. თუმცა, ამჟამინდელ ხელისუფლებას, წინამორბედი ხელისუფლების მიერ დაშვებული სამართლებრივი ხარვეზების გამო დაეკისრა პასუხისმგებლობა.*

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, საქმე სახელწოდებით - "დავით დანელია საქართველოს წინააღმდეგ" - სტრასბურგში ხუთი წლის წინ გაიგზავნა. საქმე ეხება 2000 წლის შემოდგომაზე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გათხრილი გვირაბიდან ყოფილი ფინანსთა მინისტრის გურამ აბსანძის, ლოთი ქობალიასა და მათთან ერთად სხვა პატიმრების გაქცევის ფაქტს.

პატიმრების გაქცევის გამო, მაშინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმები და საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები დააკავეს. დაკავებულთა შორის იყო ბადრაგი დავით დანელიაც, რომელსაც სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდება წარუდგინეს. გამოძიება დანელიას პატიმრებისთვის ხელისშეწყობას ედავებოდა, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ორ თვეში მას ბრალდება მოეხსნა და უდანაშაულოდ ცნეს.

თუმცა, ყოფილმა ბრალდებულმა სტრასბურგის სასამართლოში საქმის გამოძიების პროცესში მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობისთვის, ცემა-წამებისთვის იჩივლა. დავით დანელიამ და მისმა ადვოკატმა წამების ფაქტის გამოძიება ჯერ ქართული სამართალწარმოების ყველა ინსტანციაში სცადეს, თუმცა, როგორც ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის ყოფილი თანამშრომლის დავით დანელიას ცემა-წამების ფაქტზე პროკურატურამ საქმე არ გამოიძია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 24/10 | 25/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 18 |
| ბათუმი | 25 | 23 |
| სოხუმი | 22 | 22 |
| ქუთაისი | 24 | 23 |
| გორი | 18 | 17 |
| თელავი | 20 | 17 |
| ონი | 16 | 16 |
| ზუგდიდი | 25 | 25 |
| ახმეტა | 20 | 18 |
| სამტრედია | 25 | 24 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7405 |
| ევრო | 2.1911 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2678 |
| რუბლი | 0.0647 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| რევიუ | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| განცხადება | A 6 |
| განცხადება | A 7 |
| სპორტი | A 8 |



# ქალი და ჯანმრთელობა

"ძუძუს კიბო არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისია, ახალი, რთული ცხოვრების დასაწყისი," - გვაიმედებენ ონკოლოგები და არცთუ უსაფუძვლოდ. ასეთ დროს ადამიანი საკუთარ თავში პოულობს განკურნებისათვის საჭირო დაუჯერებელ შესაძლებლობებს, უშველებელ პოტენციალსა და ცხოვრების უსაზღვრო ძალას. ამ სენთან ბრძოლაში ყველაფერი მნიშვნელოვანია: დროული აღმოჩენა, თანამედროვე სრულყოფილი დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენება და ეფექტური მკურნალობა. [illegible]

*"ვიცოდეთ, დავძლიოთ დაავადება და ვიცხოვროთ" - სწორედ ამ ეგიდით ხორციელდება "ძუძუს კიბოს [illegible] საინფორმაციო პროგრამა", რომლის ინიციატორი შვეიცარული კომპანია "ჰოფმან - ლა როშის" წარმომადგენლობა საქართველოში.*

*წლების განმავლობაში კიბოს მკურნალობის ძირითად საშუალებებს ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია წარმოადგენდა, [illegible] მონოკლონური ანტისხეულები (ჰერცეპტინი, ლაპატინიბი, ავასტინი...) [illegible]*

*[illegible]*

[illegible]

**- როგორ უნდა ვუმკურნალოთ ძუძუს კიბოს, რა უნდა გაითვალისწინოს პაციენტმა მამოლოგთან მისვლისას?**

[illegible]

**- რას ნიშნავს სრულად შეფასება დაავადების სტადიისა და სახეობის, რა მნიშვნელობა ენიჭება მკურნალობის შერჩევისას? დაავადების რომელ ფორმას გამოყოფდით?**

[illegible] HER 2 [illegible] (HER 2) [illegible]

**- დაავადების რომელ ფორმას გამოყოფდით?**

[illegible] HER2/neu [illegible]

**- რამდენად ეფექტურია ასეთ დროს მონოკლონური ანტისხეულების, კერძოდ, ჰერცეპტინის, ავასტინის თუ ლაპატინიბის გამოყენება?**

[illegible] (HER2/neu) [illegible]

**- ყველა შემთხვევაში შესაძლებელია ჰერცეპტინით ძუძუს კიბოს მკურნალობა?**

[illegible] HER-2 [illegible] HER-2-ის [illegible]

Roche

# "თბილისის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთი საუკეთესო იქნება"

*ქვეყანაში ჯერ კიდევ აქტიურად მიმდინარეობს დემოკრატიული სახელმწიფოსთვის აუცილებელი ინსტიტუტების ფორმირების პროცესი. მათ შორის ერთ-ერთი სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმაა. სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ეტაპი რაიონული მასშტაბით სასამართლოთა გაერთიანება და მოსამართლეთა სპეციალიზაცია გახლავთ. პირველი გაერთიანება 2005 წლის მაისში თბილისის რაიონებს შეეხო. რა გაკეთდა ამ პერიოდის მანძილზე თბილისის საქალაქო სასამართლოში და რა გაკეთდება უახლოეს პერიოდში, რამდენად გამართულად მუშაობს სასამართლო სტრუქტურა და რა პრობლემების წინაშე დგას ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასამართლო - საქალაქო სასამართლო, - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შავლიაშვილი გვესაუბრება.*



*გიორგი შავლიაშვილი.*

- სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სისტემის ინსტიტუციონალური რეორგანიზაცია. ამ პროცესის ნაწილია პირველი ინსტანციის სასამართლოების გამსხვილება. ერთ-ერთი პირველი ასეთი ცვლილება თბილისში განხორციელდა და ნაცვლად ხუთი რაიონული სასამართლოსი, შეიქმნა ერთი საქალაქო სასამართლო. სულ ახლახან კი შეიქმნა მცხეთის რაიონული სასამართლო, რომელშიც გაერთიანდა მცხეთის, ახალგორის, დუშეთის და ყაზბეგის რაიონული სასამართლოები. სასამართლოების გამსხვილების პროცესი გრძელდება. გაერთიანებულ სასამართლოებში იქმნება სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიები. სასამართლო სისტემის ასეთი მოწყობა ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას შეუწყობს ხელს. ჯერ ერთი, მოქალაქეებმა იციან, განსახილველად რომელ დარგს განეკუთვნება მათი საქმე და სასამართლოსთან კოორდინაცია უადვილდებათ. მოსამართლეს აღარ უწევს ყველა კატეგორიის საქმეთა განხილვა. პირველ რიგში, ეს ფაქტორი გადაწყვეტილების ხარისხზე მოქმედებდა. თანაც, ლოგიკურია, რომ თუ მოსამართლე კონკრეტულ დარგში არ არის კვალიფიციური, მას უჭირს გადაწყვეტილების მიღება, რაც პირდაპირ უკავშირდება საქმეთა გაჭიანურების პრობლემას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის შესაბამისად ამჟამად მიმდინარეობს შიდა სპეციალიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს კიდევ უფრო ვიწრო სპეციალიზაციით მოსამართლეთა დასაქმებას. კერძოდ, ნოემბრის თვიდან, სამოქალაქო კოლეგიაში შემოსული საქმეები, განხილვის სპეციფიკის მიხედვით, დაიყოფა ოთხ კატეგორიად. სანივთო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეები გაერთიანდება ერთ კატეგორიაში, საოჯახო და სამემკვიდრეო დავები - მეორეში და ა.შ. მოსამართლე განიხილავს ერთი კონკრეტული კატეგორიის საქმეებს. ასეთი ვიწრო სპეციალიზაცია აუცილებლად დააჩქარებს საქმეთა განხილვის ტემპს.

**- ბატონო გიორგი, სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს მოსამართლეთა კორპუსის რაოდენობის არა მარტო გაზრდას, არამედ ახალი კადრებით დაკომპლექტებასაც. რა ხდება ამ მიმართულებით საქალაქო სასამართლოში? საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზად ხშირად სწორედ მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა სახელდება.**

- ბოლო პერიოდში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებს სპეციალიზაციის მიხედვით ატარებს. ამის შედეგად გამოცდის ჩაბარების მსურველთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ახლახანს თბილისის საქალაქო სასამართლოში დაინიშნა შვიდი მოსამართლე. სამი სისხლის, ხოლო ოთხი -სამოქალაქო კოლეგიაში. რეფორმის შედეგად უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების განსჯადი საქმეების დიდი ნაწილი დაექვემდებარა პირველი ინსტანციის სასამართლოებს და ამის გამო ჩვენთან მნიშვნელოვნად გაიზარდა განსახილველ საქმეთა რაოდენობა. თანაც, გასათვალისწინებელია ის მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციის შედეგად ერგო თბილისის საქალაქო სასამართლოს. თაროებზე ხელუხლებლად თვეობით შემოდებული საქმეები გადმოვიბარეთ. მოსამართლეთა არასაკმარისობამ (თავდაპირველად სისხლის სამართლის კოლეგიაში მხოლოდ ოთხი მოსამართლე მუშაობდა) და განსასჯელის პატიმრობის 12-თვიანი ვადის 4 თვემდე შემცირებამ პრობლემა უფრო გაალრმავა. მაგრამ მოსამართლეთა, მე ვიტყოდი, თავდაუზოგავი შრომის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ ადმინისტრაციულ კოლეგიაში საქმეთა დროულად განხილვის მხრივ პრობლემა პრაქტიკულად აღარ არსებობს, მიმდინარე წლის ბოლოდან პრობლემა ამ მხრივ აღარ ექნება სისხლის სამართლის კოლეგიასაც. 3-4 თვეში სამოქალაქო კოლეგიაშიც მნიშვნელოვან შედეგებს ველოდებით აღნიშნული პრობლემის გადაჭრის კუთხით. ამჟამად, თბილისის საქალაქო სასამართლოში მუშაობს 59 მოსამართლე. რამდენიმე დღეში დაიწყება მოსამარლეთა შესარჩევი კიდევ ერთი კონკურსი და ველით მოსამართლეთა ახალი ნაკადის შემომატებას. ნებისმიერ ასეთ მატებას ჩვენ ყოველთვის მოუთმენლად ველოდებით, რადგან იგი პირდაპირ უკავშირდება ძირითადი პრობლემების დროულ მოგვარებას.

განსასჯელის პატიმრობის ვადები ზუსტად არის გაწერილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. 2006 წლის იანვრის თვიდან განსასჯელის პატიმრობის 12-თვიანი ვადა შემცირდა 4 თვემდე. ეს ცვლილება დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც სისხლის სამართლის კოლეგიაში თითოეულ მოსამართლეს ეწერა 250-ზე მეტი საქმე და დადგენილ ვადებში მათი განხილვა ძალიან დიდ ძალისხმევასა და ყურადღებას მოითხოვდა. 2006 წლის ივნისიდან განისაზღვრა განსასჯელის პატიმრობის 6-თვიანი ვადა. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს ვადა გააგრძელოს კიდევ 6 თვემდე. ბოლო პერიოდში კანონმდებლობაში შევიდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებაც. მათი პრაქტიკაში განხორციელებისას ბევრი საკითხი იჩენს ხოლმე თავს. ბევრი სიახლე სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოში მკვიდრდება, მაგალითად, სასჯელის უმოქმედო სახე - საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ავამოქმედეთ და მას ალბათ სხვა სასამართლოებიც აქტიურად გამოიყენებენ. თქვენ იცით, რომ ნორმათა ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, უზენაესი სასამართლო რეგულარულად მართავს სამივე ინსტანციის მოსამართლეთა შორის შეხვედრებს. შეხვედრებზე იხილება ის საკითხები, რომლებიც თავს იჩენს ხოლმე კანონის პრაქტიკაში გამოყენებისას. განხილვის შედეგად ხდება კონკრეტული საკითხისადმი საერთო პოზიციის ჩამოყალიბება და იგი რეკომენდაციების სახით ეგზავნებათ მოსამართლეებს. ძირითადი ნაწილი ამ საკითხებისა სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკიდან მოდის.

**- შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, სასამართლო პროცესებზე დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია, რაც მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევს. როდის მიიღებს შენობა დასრულებულ სახეს. როდის შეძლებენ მოქალაქეები შეუზღუდავად პროცესებზე დასწრებას?**

- შენობაში მიმდინარე რემონტის გამო ძალიან რთული სამუშაო პირობები გვაქვს. არის ხმაური, მტვერი. დარბაზებად დროებით ვიყენებთ ოთახებს, სადაც ბევრი ხალხი არ ეტევა. ამიტომ პროცესებზე უშვებენ იმ რაოდენობის ხალხს, რამდენი ადგილიცაა. ეს კი მოქალაქეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს. შენობა დაახლობით 4 თვეში მიიღებს დასრულებულ სახეს და იგი მთელს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება - თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი. ერთად განთავსდება საქალაქო სასამართლოს სამივე კოლეგია. მათი ცალ-ცალკე განთავსების გამო გაზრდილია შტატებიც, მაგალითად, ამჟამად თითოეულ კოლეგიას ჰყავს თავისი საფინანსო და საორგანიზაციო განყოფილებები, გაერთიანების შემდეგ კი თითო ასეთი განყოფილება დარჩება. მოგვარდება სხვა პრობლემებიც, რაც კოლეგიებს შორის კოორდინაციასთან არის დაკავშირებული.

**- ამჟამად სასამართლოში ტარდება კონკურსი სტაჟიორთა შერჩევის მიზნით. სასამართლოს მათი დასაქმებისთვის რეალური პროგრამა აქვს თუ არა შემუშავებული?**

- ძალიან კარგი სიახლეა. თამამად ვიტყვი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში სტაჟიორების პირველმა ნაკადმა გაამართლა. ზოგიერთმა მათგანმა თავისი ცოდნითა და შრომისმოყვარეობით ისე გამოიჩინა თავი, რომ გადავწყვიტეთ მათი სამსახურში მიღება. სტაჟიორები შეირჩევიან კონკურსის წესით. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც იურისტს, ისე იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტს. სტაჟირებას ისინი 6 თვის განმავლობაში გადიან. მოგეხსენებათ, რომ სასამართლოებში საქმეთა სიმრავლის გამო მოსამართლის თანაშემწეებს არ რჩებათ საკმარისი დრო ინტელექტუალური სამუშაოს შესასრულებლად. უამრავი წვრილმანია, რომელიც თანაშემწესა და სხდომის მდივანს დიდ დროს აკარგვინებდა. ახლა ამას სტაჟიორები აკეთებენ. ისინი ესწრებიან პროცესებსაც და ეცნობიან სასამართლოს სამზარეულოს და დარწმუნებული ვარ, რომ სტაჟირების შემდეგ ეს ხალხი უზარმაზარი გამოცდილებით შეიარაღებული წავა ჩვენგან. ასე რომ, ეს სიახლე ორმხრივად სასარგებლოა. ჩვენ სულ ახლახან ჩავატარეთ სტაჟიორთა შესარჩევი მეორე კონკურსი. და მივიღეთ კიდევ 36 სტაჟიორი. ვფქრობთ, რომ ამჯერადაც კარგი კონტიგენტი შევარჩიეთ. თუმცა ვნახოთ, ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.

**- 2006 წლის იანვრიდან სასამართლოს შენობებში და სხდომათა დარბაზებში წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს სისტემაში მანდატურის სამსახური ამოქმედდა. იყო მცდელობა, რომ საზოგადოებაში მომხდარიყო ამ ინსტიტუტის დისკრედიტაცია. რამდენად გამართულად მუშაობს მანდატურები საქალაქო სასამართლოში?**

- სასამართლო მანდატურის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემაში გატარებული ცვლილებების შედეგად და მისი მთავარი ამოცანაა სასამართლოში (იგულისხმება სასამართლოს ეზოც) წესრიგის დაცვა, მოსამართლეთა და პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მომავალში მანდატური განახორციელებს სასამართლოში მოყვანილი პატიმრების შიდა ბადრაგირებასაც. თქვენ იცით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენი გამოცხადებიდან შედის ძალაში. იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება აქვს შეფარდებული და სასამართლოს განაჩენით დაენიშნება ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, მანდატური უფლებამოსილია დააკავოს ასეთი პირი და გადასცეს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური დაცვის სამსახურს. ამ დროს მანდატური ავსებს სპეციალურ დაკავების ოქმს, რომლის ფორმაც ახლახან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა. სასამართლო სხდომის დარბაზში პირის დაკავების უფლებამოსილება ადრე მხოლოდ პოლიციას გააჩნდა და საჭირო შემთხვევებში გვიწევდა მათი გამოძახება. ასე რომ, იყო საკითხები, რომლის გადასაწყვეტადაც სასამართლოს ესაჭიროებოდა სხვადასხვა სამასახურების დახმარება. დღეს კი მანდატურის სამსახურს გააჩნია ყველა საჭირო უფლებამოსილება.

**- რამდენად დამოუკიდებელია დღეს სასამართლო სისტემა?**

- მე შორს ვარ იმ აზრისაგან, ვამტკიცო, რომ ამ მხრივ სასამართლო სისტემაში იდეალური მდგომარეობაა, მაგარამ არც ისეა საქმე, როგორც ეს ზოგიერთებს სურთ წარმოაჩინონ. მაშინ, როდესაც საუბრობენ იმაზე, რომ სასამართლოებში დაპატიმრების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობების 99 პროცენტი კმაყოფილდება, კარგი იქნებოდა მოეხმოთ ოფიციალური სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 5 მაისიდან წლის ბოლომდე, დაპატიმრების შესახებ შუამდგომლობების დაკმაყოფილების სტატისტიკური მაჩვენებელი შეადგენს 69 პროცენტს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში. როდესაც საუბრობენ იმაზე, რომ სასამართლო ნოტარიუსია, ამ დროს სისხლის სამართლის კოლეგიაში განხილული 4000-მდე სისხლის სამართლის საქმიდან ძალიან ბევრი განაჩენი (მათ შორის გამამართლებელი განაჩენები) და ადმინისტრაციულ კოლეგიაში, თუნდაც მხოლოდ მეწარმეთა სასარგებლოდ გადაწყვეტილი დავების სტატისტიკა - იოლად გამოდგებოდა საწინააღმდეგოს სამტკიცებლად.

რასაკვირველია, დამოუკიდებლობის კუთხით სასამართლო ხელისუფლებაში არის პრობლემები და ამის დამალვას არავინ ცდილობს, მაგრამ სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს ობიექტური შეფასება უნდა. სასამართლო რეფორმის პირველ ეტაპზე ძალიან ბევრი კარგი რამ გაკეთდა. ბევრიც მალე გაკეთდება და ეს პროცესები გაგრძელდება მანამ, სანამ არ შესრულდება რეფორმის ძირითადი ამოცანა, რომელიც სწორედ სასამართლო ხელისუფლების სრულ დამოუკიდებლობას ისახავს მიზნად.

# მკვლელობა, რომელსაც შესაძლოა, სისხლის აღება მოჰყვეს

*სოფელ ხორნაბუჯში ურთიერთშელაპარაკების დროს 36 წლის იოსებ ბექაური მოკლეს, ხოლო ორი პიროვნება დაიჭრა. აქედან ერთი - ოთარ რამაზიშვილი, მკვლელობის ადგილზე შემთხვევით მოხვდა. მეორე - გიორგი ბეჟაშვილი კი, პოლიციამ ბრალდებულად გამოაცხადა და დააკავა.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

როგორც ოთარ რამაზიშვილი იხსენებს, ის შებინდებისას საქონლის მოსაყვანად წავიდა. ქუჩაში გასულმა მეზობელი ბიჭების კამათის ხმა გაიგონა. შემთხვევის ადგილზე მისულს კი, უცნობმა ადამიანმა დანა დაარტყა.

**"იქვე, ჩემს მეზობლად მცხოვრებ თუშ ბიჭს სტუმრები ჰყავდა. როგორც ვიცი, თუშები ქეიფობდნენ. საქონელი რომ მომყავდა, ჩემს ეზოსთან ჩხუბი შევნიშნე, იმ მეზობლის ხმაც ვიცანი, ვისთანაც სტუმრები იყვნენ და ახლოს მივედი, ბნელოდა, ვერაფერი გავარჩიე. უცებ დარტყმა ვიგრძენი და დავიჩოქე, ვერც მივხვდი, თუ დამჭრეს. გაჭირვებით მეზობელთან ავედი, ამასობაში სროლა ატყდა, ალბათ 3 წუთი მაინც ისროდნენ,"** - იხსენებს ოთარ რამაზიშვილი და იქვე იმასაც ამბობს, რომ სიბნელეში სახეები ვერ გაარჩია. მან მხოლოდ იმის გარკვევა შეძლო, რომ ჩხუბში 5-6 კაცი მონაწილეობდა.

ოთარ რამაზიშვილი მეზობლებმა საავადმყოფოში დროულად გადაიყვანეს. მას ფილტვში შემავალი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. მოგვიანებით საავადმყოფოში პოლიციამ გულმკერდის არეში დაჭრილი გიორგი ბეჟაშვილიც მიიყვანა.

**"მართალია, ჭრილობა შემავალი არ იყო, მაგრამ საკმაოდ ღრმა დაზიანება აღენიშნება,"** - ამბობს ექიმი ირინა ელაშვილი. გიორგი ბეჟაშვილი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა, ამ დროისთვის იგი უკვე თბილისში, საპყრობილეში გადაიყვანეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს კახეთის სამხარეო პოლიციის საგამოძიებო განყოფილება აწარმოებს. როგორც გამომძიებელმა დავით ნეკერაულმა ჩვენთან სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, მკვლელობაში ბრალდებული სწორედ გიორგი ბეჟაშვილია, რის გამოც იგი დაკავებულია. გამომძიებლის თქმითვე, ბეჟაშვილი, მკვლელობასთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონოდ შენახვისთვისაც გასამართლდება. მკვლელობის მიზეზად გამომძიებელი ურთიერთშელაპარაკებას ასახელებს, თუმცა რას მოჰყვა დაპირისპირება, ამის შესახებ იგი არ საუბრობს.

არაოფიციალური ინფორმაციით, ჩხუბი ადგილობრივ მცხოვრებლებსა და თუშებს შორის ქეიფის დროს დაიწყო. მათთან ერთად რამდენიმე ქისტიც იმყოფებოდა. ხორნაბუჯელების თქმით, მოკლული იოსებ ბექაური საკმაოდ გავლენიანი ქისტია. არ არის გამორიცხული, მისმა ახლობლებმა, რომლებიც საქმის გასარკვევად სოფელში უკვე იყვნენ ჩასულები, სისხლის აღება სცადონ.

# სტრასბურგში მოგებული კიდევ ერთი საქმე

პირველი გვერდიდან

**"საგამოძიებო სტრუქტურების მხრიდან ამგვარი ქმედება, შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე დავით დანელიას დაცვის უფლების დარღვევა გახლდათ. სწორედ ამიტომაც გაიგზავნა ეს საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში,"** - აცხადებს ადვოკატი.

ერთი სიტყვით, ხუთი წლის წინ, სტრასბურგის სასამართლოში რეგისტრირებული საქმის - "დავით დანელია საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ" - განხილვა დასრულებულია და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, ევროკონვენციის მუხლების დარღვევისთვის და ადამიანის უფლებათა შელახვისთვის, საქართველოს ხელისუფლებას მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დავით დანელიას სასარგებლოდ 5 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა.

თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული საჯარიმო სანქციები დაეკისრება.

*24 საათი*

## მოკლედ

### დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი რუსული ნაღმები

ბოლო დღეებში დასავლეთ საქართველოში ნაღმების აღმოჩენის ფაქტები გახშირდა. ზუგდიდის რაიონსა და ქალაქ ფოთში მოსახლეობამ შემთხვევით საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი სამი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი აღმოაჩინა. ერთი ნაღმი ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში სკოლასთან ახლოს საშუალო სკოლის მოსწავლემ იპოვა. სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჭურვი რუსული წარმოებისაა და იგი ახალია. თუმცა, როგორ მოხვდა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი სკოლის ტერიტორიაზე, ამ ეტაპზე აუცნობია. სპეციალისტების განცხადებით, დეტონატორი მოქმედებაში 300 კილოგრამი სიმძიმის დაწოლის შემდეგ მოვიდოდა. გუშინვე ადგილობრივმა მკვიდრებმა ფოთში ორი ნაღმი იპოვეს - 8-მეტრიან წყლის არხში.

ტრაგიკულად დასრულდა ქალაქ ოზურგეთში ხელყუმბარის აფეთქება, რასაც მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგის, 54 წლის ელენე იაბლონსკაიას სიცოცხლე შეეწირა. ხელყუმბარა მაშინ აფეთქდა, როდესაც ელენე იაბლონსკაია ოზურგეთში, იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე, საკუთარ კარმიდამოში მუშობდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსი გამომძიებლის თენგიზ რუსეიშვილის განცხადებით, შემთხვევის ადგილზე მისულმა საგამოძიებო ჯგუფმა ხელყუმბარის ნამსხვრევები და ე. წ. მუხრუჭი ამოიღო. მიმდინარეობს ძიება, ხელყუმბარის ნამსხვრევები კი ბალისტიკურ ექსპერტიზაზეა გაგზავნილი. მომხდართან დაკავშირებით, სამართალდამცველი ორგანოები კომენტარისაგან თავს იკავებენ, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ნაღმი რუსული წარმოშობისაა. გავრცელებული ინფორმაციით, ერთი თვის წინათ აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთის სამშვიდობოების თვითნებურად გახსნილი საგუშაგო მოქმედებდა. ნაღმის აღმოჩენას სწორედ რუს სამხედროებს უკავშირებენ. თუმცა, ამ ვერიაზეც დასაბუთებული პასუხი გამოიძიებამ უნდა გასცეს, რის შემდეგაც მომხდარზე პასუხისმგებელი პირების ვინაობაც გაირკვევა. **24 საათი**

### ემზარ კვიციანი და გენერალი ნეტკაჩოვი გულრიფშის რაიონში არიან

კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი გულრიფშის რაიონში სოხუმის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება. ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზეთის მედიაცენტრი ავრცელებს. მედიაცენტრი სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულ პირებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის ივლისში კოდორის ხეობაში განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი გულრიფშის რაიონში, სოხუმის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ნაწილში იმყოფება და აფხაზი სამხედროების თანხლებით გადაადგილდება. დაზუსტებული ინფორმაციით, გულრიფშის ტერიტორიაზე აფხაზი სამხედროების ინსტრუქტირების მიზნით, ასევე, იმყოფება ასლან აბაშიძის ყოფილი თანამებრძოლი, რუსი გენერალი ნეტკაჩოვი.

წყაროს იფორმაციით, მას გენერალი ნეტკაჩოვი და ემზარ კვიციანი ერთად არ უნახავს, თუმცა კავშირს მათ შორის არ გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ კოდორის ხეობის ყოფილმა რწმუნებულმა არ შეიძლება არ იცოდეს იმ სამხედრო ოპერაციის მზადების შესახებ, რომელსაც სოხუმის ხელისუფლება ზემო აფახზეთში გეგმავს. ერთ-ერთი ვერსიით, ემზარ კვიციანის დისშვილი გიორგი არღვლიანი, რომელმაც ზემო აფხაზეთი ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის დროს დატოვა, ამჟამად ხეობაში იმალება და ემზარ კვიციანი სწორედ მასთან ცდილობს კონტაქტების დამყარებას. **ჯი-ეიჩენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, ოქსანა ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# "ძველი" კონსტიტუციის უამრავი ახალი შტრიხი

პირველი გვერდიდან

ამის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ბიუროს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევის ფაქტებს მოიძიებს და შეისწავლის.

**"კომისია იქმნება საქართველოს მოქალაქეების დისკრიმინაციის ფაქტების შესაგროვებლად, მათთვის სამართლებრივი შეფასებების მისაცემად და საერთაშორისო ორგანიზაციების სამსჯავროზე გასატანად,"** - ასე განმარტავს კომისიის შექმნის მიზანს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე.

ოპოზიციას ასეთი კომისიის შექმნის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, სამაგიეროდ ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს, რომელთა განხილვის პროცედურაც პარლამენტში დღეიდან იწყება.

დავით გამყრელიძე სახელისუფლებო ფრაქციის წევრებს შეახსენებს, რომ 2004 წელს საკონსტიტუციო ცვლილებები ასეთი დათქმით მიიღეს: 2007 წლისთვის ქვეყნის ძირითადი კანონი არსებითად შეიცვლებოდა და საპარლამენტო მმართველობისკენ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგმებოდა.



ოპოზიციამ ნავსი გატეხა და კონსტიტუციის ცვლილებებზე მუშაობას გეგმავს.

"ახლა ამაზე უკვე აღარავინ საუბრობს და საკონსტიტუციო ცვლილებები სულ სხვა მიმართულებით იგეგმება," - სახელისუფლებო გუნდს დავით გამყრელიძე "გულმავიწყობაში" ადანაშაულებს.

რაც შეეხება თავად პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, მის არსზე "24 საათთან" საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს: **"კანონპროექტში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია. ჩემი აზრით, ყველაზე არსებითი ცვლილება ის არის, რომ მოსამართლეების დანიშვნა პრეზიდენტის პრეროგატივიდან გამოდის და ამ საკითხს მომავალში მიღებული კანონი დაარეგულირებს. გარდა ამისა, მარტივდება ელჩების გამოწვევის პროცედურა. კიდევ ერთი ცვლილების მიხედვით კი, თუ პრეზიდენტმა ოთხი წლის განმავლობაში ორჯერ დაითხოვა პარლამენტი, მაშინ ავტომატურად ინიშნება ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, ანუ საკანონმდებლო ორგანოსთან ურთიერთობაში პრეზიდენტი გარკვეულწილად იზღუდება და მისი უფლებამოსილება მცირდება. ამასთან, კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში ჩაიწერება, რომ პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების ვადასაც იმცირებს."**

თუმცა, კონსტიტუციის "რევიზია" ამით არ ამოიწურება: პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების სხვა პროექტებიც იხილება. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლების ლიცენზირება ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან გამოდის და სპეციალური კანონით დარეგულირდება. კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეეხება. კერძოდ, ნავარაუდევია, რომ პრეზიდენტის მიერ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგინება მხოლოდ ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ მოხდება და ამ კანდიდატურას აჭარის უმაღლესი საბჭო დაამტკიცებს.

უამრავი საკონსტიტუციო ცვლილებით ოპოზიცია "თავგზააბნეულია".

**"ამდენ წვალებას, ბარემ, ახალი კონსტიტუცია მივიღოთ,"** - კახა კუკავას ამ "შეთავაზებას" უმრავლესობა დუმილით პასუხობს.

# საპარლამენტო ოპოზიცია ბოიკოტს წყვეტს

პირველი გვერდიდან

**"ხელისუფლებამ საზოგადოებასთან ერთად უნდა იმსჯელოს იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც ორ ქვეყანას შორის გართულებული ურთიერთობებისას ბუნებრივად წარმოიშვა. საუბარია ეკონომიკურ ბლოკადაზე, მოსალოდნელ ენერგეტიკულ ბლოკადაზე, დამამცირებელ დეპორტაციებზე და სხვა",** - განუცხადა ჟურნალისტებს გამყრელიძემ.

რაც შეეხება ლაშა ნარჩემაშვილის "ახალ მემარჯვენეებში" გაწევრიანებას. გამყრელიძის თქმით, მასზე არჩევანის შეჩერების მთავარი მიზეზი წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატის იმ მემორანდუმზე გაკეთებული ხელმოწერა გახდა, რომლითაც ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ფრაქციებმა ვანო მერაბიშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობიდან გადაყენება და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიება მოითხოვეს.

**"ფრაქციის დატოვება უფრო ადვილია, ვიდრე ოპოზიციურად განწყობილ ფრაქციაში გადასვლა. მე მივესალმები ლაშა ნარჩემაშვილის გადაწყვეტილებას - შემოუერთდეს რადიკალურად განწყობილ მემარჯვენე ოპოზიციას",** - აღნიშნა გამყრელიძემ. ფრაქციის გამოცვლის ანალოგიური მიზეზი დაასახელა თავად ნარჩემაშვილმა და განაცხადა, რომ მან ფრაქციის შეცვლის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საპარლამენტო ბოიკოტის შესახებ მემორანდუმს შეუერთდა. თუმცა, მისი რწმენით, **"ახალი მემარჯვენეები" ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკურ პროცესს საღად აფასებს და რომ მათი ოპონირება ხელისუფლებასთან არ გასცილდება კონსტრუქციულობის ჩარჩოებს".**

გუშინვე "დემოკრატიული ფრონტის" ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა ჟურნალისტებს სხდომათა დარბაზში დარბუნების შესახებ მიღებული გადაწვეტილების შესახებ ამცნო. **"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ოპოზიციის არც ერთი მოთხოვნა არ შესრულებულა, მაგრამ ოპოზიციამ თავი არ უნდა დაიკომპლექსოს და არ უნდა თქვას უარი კონსტიტუციით მინიჭებული ბრძოლის ფორმებზე. ბოიკოტმა საკუთარი თავი ამოწურა",** - განაცხადა ძიძიგურმა.

მთლიანობაში კი, შეიძლება ითქვას, ორი ოპოზიციური ფრაქციის გადაწყვეტილებამ ოპოზიციური სპექტრი უფრო დაქსაქსა, ვიდრე გააერთიანა, რადგან თუკი ბოიკოტის დაწყების გადაწვეტილება ერთად იქნა მიღებული, მისი შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არც ერთ ფრაქციას კოლეგა ოპოზიციონერებისთვის არ შეუტყობინებია. ამან კი საკმაოდ გაალიზიანა "მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ **"ის არ არის იმ ფრაქციის ლიდერი, რომელიც სხვა პოლიტიკურ ფრაქციებს კუდში გაეკიდება".**

**"ბოიკოტის თემა ძალიან სერიოზულია. თავის დროზე, "მრეწველები" ამის მომხრენი არ იყვნენ, თუმცა ოპოზიციის ერთიანობის პრინციპს დაექვემდებარნენ და ბოიკოტს შეუერთდნენ. შედეგი კი ვერ მივიღეთ. ჩვენ საკუთარ თავს გამოვუცხადეთ ბოიკოტი, მოვისპეთ საპარლამენტო ტრიბუნა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ და ყველაზე სერიოზული საკითხების განხილვის პროცესს ავცდით",** - ცხარობდა გუშინ ზურაბ ტყემალაძე. მისივე თქმით, "დემოკრატიულმა ფრონტმა" და "მემარჯვენე ოპოზიციამ" სხდომათა დარბაზში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეს, მაშინ, როცა ბოიკოტის შესახებ მემორანდუმს "მრეწველებთან" ერთად მოაწერეს ხელი. ფრაქციის თავმჯდომარის განცხადებით, მათთან "დემოკრატიულ ფრონტს" არანაირი კონსულტაცია არ ჰქონია, დავით გამყრელიძემ კი ბოიკოტის შეწყვეტის შესახებ "მრეწველებს" გუშინ აცნობა.

საგულისხმო დეტალი: გუშინ საპარლამენტო კულუარებში გავრცელებული ხმების თანახმად, "მრეწველები" პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან აპირებენ სერიოზული კონსულტაციების გამართვას და, მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მასთან საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობას.

ეს ხმები ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან ნინო ბურჯანაძეს, როგორც პოლიტიკურ ფიგურას, ერთი, საკმაოდ სერიოზული პრობლემა აქვს - მას არ ჰყავს მრავალრიცხოვანი გუნდი, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარეს, სერიოზული პოლტიკური თამაშების დროს, თავის "არაკეთილმოსურნეებს" საკუთარ ძალას აგრძნობინებს. შესაბამისად, თითოეულ დეპუტატთან ან, მთლიანად, ფრაქციასთან დამეგობრება ნინო ბურჯნაძისთვის ზედმეტი ფუფუნება ნამდვილად არ იქნება.

გუშინვე გაისმა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ნინო ბურჯანაძესთან დამეგობრების სურვილი მისმა ძველმა მეგობრებმა - "ახალმა მემარჯვენეებმა" გამოთქვეს, რაც დავით გამყრელიძემ კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ **"ბურჯანაძე არ არის იმ დონის და გავლენის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც თავის "ქოლგის ქვეშ" უმცირესობას შექმნის. მას არ ყოფნის ძალა, განახორციელოს თავისი პოლიტიკური ფუნქცია, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, თუმცა მივესალმები მის პირად პოზიციას და ასევე უმრავლესობის ერთი ნაწილის აზრსაც, რომ ოპოზიციას მუშაობის ნორმალური პირობები უნდა შეექმნას".**

დაბოლოს: ოპოზიცია საპარლამენტო უმცირესობის შექმნისთვის კვლავ იბრძვის. ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხებენ ამ ეტაპზე ისინი მიზნის მიღწევას, თუმცა გამორიცხული არაფერია. მით უფრო, რომ ადგილობრივ არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მმართველი პარტია ოპოზიციური სპექტრის შესაძლებლობებს საკმაოდ არასერიოზულად უყურებს და მიაჩნია, რომ ვერც ერთად და ვერც ცალ-ცალკე ოპოზიციონერები მათ კონკურენციას ვერ გაუწევენ.

# რამ უნდა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა

პირველი გვერდიდან

დავით დარჩიაშვილის შეფასებით, შეირაღებული ძალები ვითარდება როგორც დემოკრატიული თვალსაზრისით, ასევე თვალშისაცემია არმიის ბრძოლისუნარიანობის ზრდა. **"კოდორის ოპერაციის შემდეგ ჩვენი ჯარების წარმატებაზე რუსი სამხედროებიც დაუფარავად საუბრობდნენ,"** - შენიშნავს დარჩიაშვილი. ექსპერტს შედარებისთვის მოჰყავს 2004 წლის ცხინვალის მოვლენები, სადაც ჩვენმა ჯარებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. ამით დავით დარჩიაშვილი კიდევ ერთხელ მიანიშნებს პროგრესზე ქართულ არმიაში.

დარჩიაშვილი "გარკვეულ ხარვეზებზეც" საუბრობს. **"არსებობს საკამათო საკითხებიც. შეიძლება ბევრ კითხვაზე ნათელი პასუხები არ არსებობდეს როგორც უსაფრთხოების კონცეფციაში, ასევე სამხედრო სტრატეგიის სფეროში. თავდაცვის სტრატეგიული მიმართულება ჯერ კიდევ საბოლოოდ დასრულებული არ არის."** დავით დარჩიაშვილის აზრით, მთავარი ის არის, რომ რევოლუცის შემდეგ პროცესები წარმატებით დაიწყო და დინამიკაში წინსვლა შეინიშნება.

ყველაზე მკაფიო გარანტია იმისა, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების და არმიის ალმშენებლობის თვალსაზრისით პროგრესი გვექნება, დავით დარჩიაშვილის აზრით, არის ნატო-სთან ურთიერთობა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისათვის აუცილებელი ბარიერების წარმატებით გადალახვა.

ყოფილი სამხედრო ომბუდსმენი ირაკლი სესიაშვილი ქართული არმიის განვითარების პრობლემებს უფრო კრიტიკულად უყურებს. მიუხედავად ამისა, სესიაშვილიც აღიარებს, რომ პროგრესი ჩვენს ჯარში ნამდვილად შეინიშნება: **"არმიაში უკეთესი მდგომარეობაა, ვინაიდან დაფინანსება სერიოზულად გაიზარდა. ტარდება წრთვნები, რაც წლების განმავლობაში არ ხდებოდა. ჯარი იძენს ახალ შეიარაღებას."** სესიაშვილი იქვე დასძენს, რომ დღესდღეობით ჩვენი შეიარაღება ნატო-ს სტანდარტებს ვერ შეესაბამება: **"მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ვიძენთ მოძველებულ ტექნიკას, რაც მოქმედებს ბრძოლისუნარიანობის ხარისხზე. პრობლემა, უპირველესად, ფინანსებს უკავშირდება. რუსული იარაღი, რომლითაც ჩვენი ჯარი მარაგდება, შედარებით იაფი ღირს. ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი ტექნიკა გაცილებით ძვირი სიამოვნებაა, ამიტომ ორიენტირს რუსულ შეიარაღებაზე ვიღებთ. დღეს ქართულ არმიას უმეტესად აქვს რუსული ტიპის შეიარაღება - როგორც მძიმე ტექნიკა, ასევე სხვა სამხედრო დანადგარები."**



სესიაშვილის შეფასებით, უსახსრობის გამო, დაბალხარისხიან შეიარაღებაზე გაკეთებულ არჩევანს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. ექსპერტის აზრით, ამ შემთხვევაში ერთი მნიშვნელოვანი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ: **"საკითხი ასე უნდა დავსვათ: როგორი შეიარაღებული ძალები გვინდა გვყავდეს - მცირერიცხოვანი, მაგრამ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, თუ დიდი და რუსული იარაღის მქონე. ეს პოლიტიკური საკითხია."**

ირაკლი სესიაშვილი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას მხოლოდ შეიარაღებული ძალების ძლიერებას არ უკავშირებს. მისი თქმით, **"თანამედროვე მსოფლიოში თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა საერთაშორისო სტრუქტურებში გაერთიანება, კოალიციური თავდაცვა. ჩემი აზრით, დღეს ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს არა შეიარაღების ან სამხედრო ძალების რიცხოვნების ზრდა, არამედ სწრაფვა ნატო-ში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისაკენ".**

ირაკლი სესიაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნატო-ში გაწევრიანება მარტო ქართული არმიის განვითარებაზე როდია დამოკიდებული. იგი შეგვახსენებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისათვის აუცილებელ კიდევ ორ მთავარ პირობას: ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ეკონომიკის აღმავლობას.

სესიაშვილის შეფასებით, ქართული ჯარის განვითარებაში სერიოზული შეფერხებებია. ჯარის დემოკრატიული განვითარება ჩამორჩება ქვეყნის საერთო განვითარებას, - დასძენს ექსპეტი, რომლის აზრითაც, **"ჩვენი ჯარი დღეს მეტისმეტად დახურულია".**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე საუბარისას, ნატო-ში გაწევრიანების გარდა, ირაკლი სესიაშვილი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ასახელებს. ეს არის **"ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკური და თავდაცვის დიპლომატია".** სესიაშვილის აზრით, ქვეყანა, რომლის ძირითადი საფრთხე ჩრდილოეთიდან მომდინარეობს და რომლის ნატო-ში გაწევრიანებაც დროის გარკვეულ პერიოდს მოითხოვს, თავდაცვის და უსაფრთხოების მთავარ იარაღად დიპლომატიას უნდა იყენებდეს.

"24 საათი" შეეცდება ეს თემა გააგრძელოს და ამ საკითხებთან დაკავშირებით მომავალში შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელთა პოზიციებიც გაგაცნოთ.

# მოკლედ

## ირანი საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოტაკმა განაცხადა, რომ საქართველოსა და ირანის თანამშრომლობა ენერგეტიკულ სფეროში არ შეიძლება შეფასდეს, როგორც წინააღმდეგობის გაწევა რომლიმე მესამე ქვეყნისთვის.

მანვე აღნიშნა, რომ ირანის მიერ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობების გაღრმავება, როგორც რუსეთთან, ისევე საქართველოსთან, "ჩვეულებრივი და ბუნებრივი" პროცესია, ამაში განსაკუთრებული არაფერი არ არის და ამ თანამშრომლობას საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ დაპირისპირებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მანუჩერ მოტაკმა ასევე მოუწოდა საქართველოსა და რუსეთს, მოლაპარაკებათა მაგიდას მიუსხდენ და მათ შორის არსებული პრობლემები დიალოგის გზით მოაგვარონ. "საქართველოსა და რუსეთს შორის წარმოქმნილი კრიზისი ჩემსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შორის გამართულ მოლაპარაკებათა ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. ჩვენ ირანისთვის მეგობრულ ამ ორ სახელმწიფოს მოლაპარაკებებისკენ მოვუწოდებთ," - ამბობს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი და დასძენს, რომ საქართველოსა და ირანს მომავალი თანამშრომლობის განმტკიცება-გაღრმავებისათვის დიდი პოტენციალი გააჩნია. საქართველოს საგარეო საქმეთა და ენერგეტიკის მინისტრები გელა ბეჟუაშვილი და ნიკა გილაური ეკონომიურ საკითხთა განსახილველად კვირას ირანში გაემგზავრნენ. მოლაპარაკება ირანიდან ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ექსპორტს შეეხება. შეთანხმების შემთხვევაში, ბუნებრივი აირი და ელექტოენერგია საქართველოში აზერბაიჯანის გავლით შემოვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსულ-ქართული ურთიერთობა ევროკავშირის თავისტკივილია

ევროკავშირი მზად არის, ხელი შეუწყოს რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირებას, - განაცხადა ევროკომისარმა საგარეო საკითხებსა და ევროპის პოლიტიკაში ბენიტა ფერერო-ვალდნერმა საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში გამოსვლისას. ევროპელი დიპლომატის მტკიცებით, ევროკავშირი მზად არის, უფრო აქტიურად ითანამშრომლოს კონფლიქტების მოწესრიგების სფეროში როგორც დნესტრისპირეთში, ასევე აფხაზეთში. მისივე თქმით, ევროკავშირი ძლიერ არის შეშფოთებული ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დაძაბულობის ზრდით. "ჩვენ არაერთხელ მოვუწოდეთ მხარეებს თავშეკავებისკენ," - აღნიშნა ვალდნერმა. **ინტერპრესნიუსი**

## რუსი მოღვაწეები ანტიქართული კამპანიის წინააღმდეგ

რუსი ხელოვანები და მეცნიერები რუსეთში მიმდინარე ეთნიკურ წმენდას და კავკასიაში ახალი ომის გაღვივების მცდელობას აპროტესტებენ. როგორც ისინი საგანგებო მიმართვაში აღნიშნავენ, რუსეთს სამარცხვინო დღეები დაუდგა, რადგან ქვეყანაში ეროვნული ნიშნით ადამიანების ეთნიკური დისკრიმინაცია, დამამცირებელი შემოწმებები და დაკავება მიმდინარეობს. იდევნება ყველა ქართველი, მიუხედავად მოქალაქეობისა, ასაკისა თუ სოციალური კუთვნილებისა.

მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა თქმით, ყველა ანტიქართული ქმედება, რუსი დიპლომატების თბილისიდან სასწრაფო ევაკუაციისა და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან საქართველოსთვის გაზისა და ელექტროენერგიის შეწყვეტის მუქარის ჩათვლით, ომისათვის მზადებას ჰგავს, ომი კი ადამიანთა სიცოცხლით იკვებება. მიმართვის ავტორები აცხადებენ, რომ სასწრაფოდ უნდა შეწყდეს რუსი ახალგაზრდების სასაკლაოზე გაგზავნა. რუსეთისა და საქართველოს მთავრობები კი ვალდებული არიან, კონფლიქტი მშვიდობიანი მეთოდით მოაგვარონ.

კულტურის მოღვაწენი ეროვნებათაშორისი კონფლიქტის გაღვივებას დაუშვებლად მიიჩნევენ და ბრბოს ნაციონალისტურ ინსტიქტებზე თამაშს "სასიკვდილო საფრთხეს" უწოდებენ. მათი თქმით, რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული ქმედებები დააზარალებს რიგით მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთში სწავლობენ ან მუშაობენ, კრიმინალები კი თავის დაძვრენას მაინც მოახერხებენ. "ჩვენ თავს მოგვახვიეს ქართველი ხალხისადმი სიძულვილი, რომელსაც უნდა დავუპირისპიროთ ქართველი და რუსი ხალხის მრავალწლიანი მეგობრობა, რომელსაც ვერც უზნეო პოლიტიკოსები და ვერც სამხედრო ბიუჯეტის გაზრდით დაინტერესებული გენერლები ვერ გაანადგურებენ," - ნათქვამია მიმართვაში. განცხადებას ხელს აწერენ ლია ახეჯაკოვა, არტურ არისტაკისიანი, ლეონიდ ბატკინი, სერგეი განდლევსკი, ალა ჰერბერი, ვადიმ ჟუკი, მიხაილ ზლატკოვსკი, ზოია მასლენიკოვა, იური ნორშტეინი, ნატალია ტრაუბერგი, არტემ ტროიცკი, ინა ჩურიკოვა, სერგეი იურსკი, ელენა კამბუროვა. **მედიანიუსი**

# ბუდაპეშტი 1956 წლის მოვლენებს იხსენებს

ნათია მსხილაძე

*საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ ამბოხის 50 წლისთავს ბუდაპეშტი კვლავ აქციებით ხვდება. გუშინ უნგრეთის დედაქალაქში პოლიციასა და საპროტესტო აქციის მონაწილეებს შორის შეტაკებაც მოხდა. როგორც საინფორმაციო სააგენტო "МТИ" იუწყება, აქციის მონაწილეები პარლამენტის შენობასთან მისვლას ცდილობდნენ, სადაც ოფიციალური საზეიმო ღონისძიებები ტარდებოდა. აღნიშნული ფაქტის გამო, პოლიციელებმა სულ ცოტა 10 ადამიანი დააკავეს. დღის მეორე ნახევარში აქციას უკვე ოპოზიციური პარტია "ფიდესი" ჩაუდგა სათავეში.*



50 წლისთავზე ბუდაპეშტში კვლავაც შეტაკებებია.

50 წლის წინ უნგრელებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ - მათ უნდა დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა. უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ფერენც დურჩანის თქმით, სწორედ ამიტომ გამოვიდა ბუდაპეშტის ქუჩებში 1956 წლის 23 ოქტომბერს 200 ათასი უნგრელი. დურჩანის მტკიცებით, დღეს უნგრეთი სამაგალითო დემოკრატიული ქვეყანა გახდა და არ შეიძლება დღევანდელი პოლიტიკური მოვლენების შედარება იმასთან, რაც 50 წლის წინ უნგრეთში ხდებოდა.

თუმცა, ოპოზიციური პარტია "ფიდესის" ლიდერი, მმართველ "სოციალისტებს" კომუნისტ დამპყრობლებს ადარებს: **"ერთნიც და მეორენიც იტყუებოდნენ, რათა ხელისუფლებაში სათავეში დარჩენილიყვნენ,"** - აცხადებს ოპოზიციური პარტიის ლიდერი.

შეგახსენებთ, რომ დღევანდელი პრემიერ-მინისტრის გადაყენებას სექტემბრიდან ითხოვენ. ოპოზიციონერებს აღნიშნული მოთხოვნა მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ ის შეგნებულად ატყუებდა მოსახლეობას, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

მიუხედავად დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, გუშინ უნგრეთის პარლამენტის წინ მდებარე მოედანზე ფეიერვერკიც მოეწყო 1956 წლის მოვლენების სახსოვრად და ქვეყნის სახელმწიფო დროშაც საზეიმოდ აღიმართა. ცერემონიალს ევროპის თვრამეტი სახელმწიფოს მეთაური და ორი პრემიერ-მინისტრი, ესპანეთისა და ნორვეგიის მონარქები, ევროკომიისიისა და ნატო-ს ხელძღვანელები ესწრებოდნენ.

გუშინ უნგრეთის პარლამენტში ხელი მოეწერა "ბუდაპეშტის თავისუფლების დეკლარაციას", ხოლო დედაქალაქის ცენტრში, გმირთა მოედანზე, "სახალხო" გამოსვლების დროს დაღუპულთა მემორიალი აღიმართა.

ამის გარდა, უნგრეთის პოლიტიკოსებმა და უცხოელმა ლიდერებმა გვირგვინით შეამკეს 1956 წლის ამბოხის მეთაურის იმრე ნადის საფლავი.

ბუდაპეშტში აჯანყება 1956 წლის 23 ოქტომბერს მაშინ დაიწყო, როდესაც ქუჩაში პოლიტიკური თავისუფლების გაფართოების მოთხოვნით, სტუდენტები გამოვიდნენ. მოგვიანებით პროტესტანტთა რიცხვი დაახლოებით 200 ათასმდე გაიზარდა.

იმავე წლის 4 ნოემბერს, საბჭოთა ჯარებმა აჯანყება ჩაახშეს. შეტაკებების შედეგად დაიღუპა 2800-მდე სამოქალაქო პირი და 700 ჯარისკაცი. ბუდაპეშტის ამბოხის ჩახშობას მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ევროპაში უმსხვილეს ძალადოების აქტს უწოდებენ. დაღუპულთა გარდა უნგრეთმა ამბოხების შედეგად 200 ათასი ადამიანი "დაკარგა", მათ მეზობელ ავსტრიაში, იქიდან კი მთელ მსოლფიოში მოახერხეს ემიგრაცია.

1958 წელს საბჭოთა მმართველებმა გააკეთეს განცხადება, რომლის მიხედვითაც იმრე ნადი სიკვდილით იქნა დასჯილი.

# კიდევ ერთი შეხვედრა

### ფიროსმანის ოცნება ახდა

მზევინარ ხუციშვილი



ნიკალას მაგიდა

"პო და, რა გვინდა, ძმებო, იცით, - უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხის სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასთვის იყოს ახლო, ავაშენოთ დიდი სახლი, რომ შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე, თქვენ კი ეს არ გინდათ, თქვენ სულ სხვას ლაპარაკობთ..."

ეს სიტყვები ფიროსმანმა 1916 წელს მხატვრათა კავშირის გამგეობის სხდომაზე წარმოთქვა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და მისი ოცნება ახდა. თუმცა არა "სადმე, ქალაქის შუაგულში", არამედ სწორედ მის სოფელში - მირზაანში, მისივე სახელობის მუზეუმში, რომელიც 1979 წელს დაარსდა და საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ერთადერთი მუზეუმი იყო, რომელიც მხატვრისთვის შეიქმნა. იქ დიდი მაგიდა დაუდგამთ. ზედ სამოვარიც დგას. დოქებიცაა, რომლიდანაც ღვინოს ჩამოასხამდნენ და ფიალებიც, რომლებითაც ეს ღვინო დაილეოდა. თეფშებიც იყო, თუმცა არავინ არაფერს მიირთმევდა. მაგიდა დაობლებულიყო სტუმრების მოლოდინში.

საქართველო-გერმანიის საზოგადოება, რომლის ვიცე-პრეზიდენტია გოჩა ღულელაური, 18 ოქტომბრიდან მირზანსაა და თბილისში მართავს ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო გამოფენას და საუბრებს "ფიროსმანის მაგიდასთან" სახელწოდებით - "შეხვედრა ფიროსმანთან". პროექტით დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება თბილისში გაიმართა, ხოლო 21 ოქტომბერს შედგა მარშრუტი "თბილისი - მირზაანი".

ყოფილი სასტუმრო "ივერიის" მიმდებარე ტერიტორიიდან ჟურნალისტებთან ერთად ხელოვნებათმცოდნეები, მხატვრები და მწერლები გაემგზავრნენ. კახელები ფიროსმანობას აღნიშნავდნენ. თითქმის ყველა ოჯახში სუფრა იყო გაშლილი. მირზაანში მისულებს კი უამრავი ადამიანი დაგვხვდა. მათ შორის, პროექტში მონაწილე 37 ხელოვანი გერმანიიდან. იყვნენ უბრალოდ ფიროსმანის ხელოვნების თაყვანისმცემლებიც. მუზეუმში, ფიროსმანის ნამუშევრებთან ერთად, რამდენიმე გერმანელი მხატვრის შემოქმედებაც იყო წარმოდგენილი.

პროექტით გათვალისწინებული "ფიროსმანის მაგიდა" გაიხსნა და დისკუსია-საუბრებიც შედგა. გოჩა ღულელაურთან, თემურ ჯავახიშვილთან, ლაშა ბაქრაძესთან, ზვიად რატიანთან, ნინო ჭოღოშვილთან, ლიკა მამაცაშვილთან...

ჰამბურგის დოკუმენტური ფილმების სააგენტოს "ჰაიდემედიას" წარმომადგენელი 60-წუთიან დოკუმენტურ ფილმს იღებს ფიროსმანზე, საქართველოზე, ქართულ ღვინოსა და ხსენებულ პროექტზე. ისაუბრეს ფიროსმანზე, მის შემოქმედებასა და საერთოდ ხელოვნებაზე. გერმანელი ხელოვანები დისკუსიაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფიროსმანის სიყვარულში გვეჯიბრებოდნენ.

**გოჩა ღულელაური:** "შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის ფიროსმანი სავიზიტო ბარათია. ამიტომ მნიშვნელოვანია და პროექტის მიზანიც ეს არის - ფიროსმანის შემოქმედების პოპულარიზაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ, დიალოგი ქართველ და უცხოელ ხელოვანთა შორის, რათა მოხდეს ქართული კულტურისა და თანამედროვე ხელოვნების ინტრეგრაცია მსოფლიო სახელოვნებო სივრცეში და მასში ფიროსმანის დამკვიდრება. მსგავსი დისკუსიები კი არა მხოლოდ ფიროსმანის სახელს, არამედ თავად თანამედროვე ხელოვნებას სჭირდება, რაც ხელს უწყობს იდეების, ინფორმაციის გაცვლას."

**ჰანს შაიბი:** "ასეთ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ დროს ხდება გამოცდილების გაზიარება. იბადება ახალი იდეები, რაც ერებს აახლოებს, იმის პირობაა, რომ ერთმანეთს უფრო უკეთ გავიცნობთ. მოხარული ვიქნებით, თუ ეს შეხვედრები ტრადიციად იქცევა და მომავალშიც გაგრძელდება."

**ლიკა მამაცაშვილი:** "ფიროსმანმა საქართველოსა და ქართულ კულტურას უამრავი მეგობარი შესძინა. მისი ოცნების განხორციელების იდეა სწორედ საქართველოს მეგობრებს - გერმანელ კულტურის მოღვაწეებს ეკუთვნით. ასე დაიბადა პროექტი "შეხვედრა ფიროსმანთან", რომლის მიზანია სამუზეუმო მტვერი მოაცილოს მხატვრის სახელს და მისი ოცნების "მაგიდა" ხელოვანთა ურთიერთგაცნობისა და დიალოგის ადგილად აქციოს. თვითონ პროექტი "შეხვედრა ფიროსმანთან" კი არის თანამედროვე ხელოვანთა შეხვედრა წარსულთან და მომავალთან, რომელიც თითოეულ მონაწილეს საშუალებას აძლევს გაეცნოს კოლეგების შემოქმედებას და საკუთარი შესაძლებლობები ახალ კონტექსტში უცხო თვალით დაინახოს. იმედი გვაქვს, ასეთი შეხვედრები გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას."

**სტეფანე ჰომბერგი:** "როცა გავიგე ამ პროექტის შესახებ, ძალიან დავინტერესდი და უყოყმანოდ დავთანხმდი მონაწილეობაზე. მე ფიროსმანმა საქართველო გამაცნო. მიხარია, რომ ქართველები კონტრასტულები არიან. ბევრი რამ ვნახე. საქართველო მეტისმეტად შთამბეჭდავია. იმედი მაქვს, ჩემი ფილმი მოგეწონებათ, რომელიც აუცილებლად ორენოვანი - გერმანულ-ქართული იქნება."

**თემურ ჯავახიშვილი:** "აღფრთოვანებული ვარ პროექტით. როცა ამდენი სტუმარი ჩამოდის საქართველოში, ეს დიდი წარმატებაა, რადგან ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელმაც სულ რამდენიმე წელია მოითქვა სული. ფიროსმანს პატივს სცემენ იმ ქვეყნის ხელოვანები, სადაც გენიალური ექსპრესიონისტები დაიბადნენ. ჩვენ ძალიან გვჭირდება მათი მხარდაჭერა და მათთან ურთიერთობა."

პროექტი ამით არ დასრულებულა. გერმანელი ხელოვანები ქართველებთან ერთად კიდევ რამდენიმე ღონისძიებას განახორციელებენ, რაც 26 ოქტომბერს დაიხურება გამოფენით "ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება".

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 12 ივნისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო-ანალიტიკური სივრცის შექმნა"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1 - კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა - ზარზმის და უბისის სამონასტრო კომპლექსების მაგალითზე გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი" - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი,***

***ლოტი 2 - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში უძრავ ძეგლებზე არსებული საინფორმაციო ნაკადების მონაცემთა ბაზის შექმნა და ციფრულ ფორმატში გადაყვანა - გამარჯვებული არ გამოვლინდა,***

***ლოტი 3 - "საქართველოსა და თბილისის მუზეუმების ვებ-გვერდების შექმნა" - კავშირი კულტუროლოგიული კვლევის ცენტრი***

2006 წლის 22 აგვისტოს ტენდერის მე-3 ლოტზე გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2006 წლის 13 ოქტომბერს ტენდერის პირველ ლოტზე გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 19 ივლისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშთა რესტავრაცია-რეაბიოლიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1 - ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ.N11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ი/მ ლევან ასაბაშვილი***

2006 წლის 8 სექტემბერს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 19 ივლისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1 - ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების, უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების ინვენტარიზაცია ?შპს "სენსონი"***

2006 წლის 8 სექტემბერს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 31 მაისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"ქალაქების: თბილისისა და ბათუმის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1 - ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება" გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი" - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი,***

***ლოტი 2 - ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება" გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი" - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი,***

2006 წლის 10 აგვისტოს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 20 ივლისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია-გამოცემები"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1 - "უბისას ეკლესიის ხატები და კედლის მხატვრობა - XIVს" შპს "ტრიადა"***

2006 წლის 30 აგვისტოს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## ქართველი და აფხაზი მწერლების ერთობლივი კრებული

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, საპრეზიდენტო პროგრამა "ჩემი სახლის" ფარგლებში, ქართველი და აფხაზი პოეტებისა და პროზაიკოსების ერთობლივ კრებულს გამოსცემს.

როგორც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, კრებულში შევა როგორც დევნილი პოეტებისა და პროზაიკოსების, ისე თანამედროვე აფხაზი მწერლების შემოქმედება.

"აფხაზეთის თემატიკა უამრავი თანამედროვე ქართველი და აფხაზი მწერლის შემოქმედებაში აისახა. ამ ეტაპზე, ავტორებთან მოლაპარკებები მიმდინარეობს. კრებულში დაახლოებით 20 მწერლის ნაწარმოები შევა და ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცემა", - აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, კრებულში, შესაძლოა, რომელიმე ოსი ავტორიც შევიდეს. წიგნს გამომცემლობა "არეტე" დაბეჭდავს. **ინტერპრესნიუსი**

## გამოფენა "ქართული სიმღერა"

სანკტ-პეტერბურგის, ფიოდორ დოსტოევსკის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში 30 ოქტომბერს გამოფენა, "ქართული სიმღერა" გაიხსნება.

ფოტოგამოფენა, რომელიც იური ალეინიკოვმა მოამზდა, ორ თემატურ ნაწილად იყოფა. "საქართველო. გაზაფხული 89..." - 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ პერიოდს ასახავს, ხოლო "პეტერბურგის ქართული ალბომი" რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალქში ქართული დიასპორის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. პირველი გამოფენა პეტერბურგელმა დამთვალიერებელმა 1999 წელს, ხოლო მეორე გამოფენა მიმდინარე წლის იანვარში იხილა. გამოფენის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ "ქართული სიმღერა" საზოგადოებას შეახსენებს იმ კეთილგანწყობის შესახებ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში რუს და ქართველ ხალხს შორის არსებობს. გამოფენა 9 დეკემბრამდე გაგრძელდება. **ინტერპრესნიუსი**

## ანტიქართული კამპანიის წინააღმდეგ

რუსეთის კულტურის ცნობილი მოღვაწეები საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე ანტიქართულ კამპანიას გმობენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით რუსმა ხელოვანებმა ღია წერილი გამოაქვეყნეს, რომელიც მიმართულია რუსეთში ეთნიკური წმენდის წინააღმდეგ. "არა - ეთნიკურ წმენდას, არ გააჩაღოთ ომი კავკასიაში" - ამ ლოზუნგით წერილის ავტორებმა მასობრივი ანტიქართული კამპანია რუსეთის სახელმწიფოს სირცხვილად შეაფასეს.

"პუტინის ბრძანების შესრულებამ, რომელიც შეეხებოდა უცხოელების ყოფნის რეგულირებას ბაზრებზე, ეთნიკური წმენდის სახე მიიღო... მთავრობამ მიიღო აბსურდული მცდელობები შეეთხზა საქმეები ქართველი კულტურის მოღვაწეების წინააღმდეგ... დაიწყო საქართველოს მოქალაქეების იძულებითი დეპორტაცია", - ნათქვამია წერილში.

წერილში აგრეთვე, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რუსი ხალხი უნდა შეეწინააღმდეგოს მათ, ვინც თავზე ახვევს ქართველების ზიზღს და ამ ფაქტს საუკუნოვანი მეგობრობა დაუპირისპიროს. **პრაიმ-ნიუსი**

## 24.10.2006წ. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების დამატება

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 18 ოქტომბერს გაზეთ "24 საათში" მოძრავი (მობილური) ხმის ჩამწერი სტუდიის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული განმეორებითი ტენდერის განცახდებაში შესული ცვლილება როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

- ხმის რეჟისორის მომზადების კურსები, მანქანაში აპარატურის დამონტაჟება-ინსტალაცია, აპარატურის გაცნობა, (ტრეინინგი)- 3 თვე, ასევე ერთი წლის განმავლობაში უფასო კონსულტაციები.

# "გზაჯვარედინები. კულტურათა დიალოგი"

### ქართველ მხატვართა გამოფენა გერმანიაში

ანა სუხიშვილი



ტატო ახალკაციშვილი



მალხაზ დათაშვილი

"ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნო" - ასე ჰქვია მხატვართა ჯგუფს, რომელშიც ოთხი ახალგაზრდაა გაერთიანებული: ტატო ახალკაციშვილი, მალხაზ დათაშვილი, ირაკლი ბუგიანი და ლევან მინდიაშვილი. "ყოველთვის მეკითხებიან, ეს ფიგურატიული ხელოვნება რაღა არისო" - ეღიმება ლევან მინდიაშვილს და ცდილობს, მარტივად აგვიხსნას მისი არსი. ტერმინი "ფიგურატიული ხელოვნება" დასავლეთის თანამედროვე არტისტულ წრეშია დამკვიდრებული. იგი სხვადასხვა სტილის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. ფიგურატიული ხელოვნება მოიცავს გამომსახველობით საშუალებათა მთელ სპექტრს უკიდურესი პრიმიტივიზმიდან უკიდურეს ნატურალიზმამდე, მასში ჯერ კიდევ შეიცნობა ასახული საგანი.

ჯგუფის წევრები დიდი ხნის მეგობრები არიან. ლევანი და ტატო სამხატვრო სკოლიდანვე მეგობრობდნენ, მოგვიანებით მალხაზიც შეიამხანაგეს. ირაკლი კი სამხატვრო აკადემიაში გაიცნეს. აკადემიაშივე გადაწყვიტეს, ერთად ემუშავათ და ჯგუფური გამოფენები მოეწყოთ. თუმცა 2003 წლამდე ეს არ მოხერხდა. 2003 წლის მაისში კი, ყოფილ სასტუმრო "საქართველოში", ჯგუფის დებიუტი შედგა. ამ დროისათვის ირაკლი უკვე გერმანიაში სწავლობდა, მაგრამ ჯგუფთან თანამშრომლობა არ შეუწყვეტია (წელს დიპლომიც დაიცვა კარლსრუეს აკადემიაში). საქმე აეწყო. თბილისურ დებიუტს ლიკანის გამოფენა მოჰყვა.

ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი იყო მანჰაიმში (გერმანია) მოწყობილი გამოფენა. სწორედ მაშინ აირჩია ჯგუფმა სახელწოდება "ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნო", რადგან კრიტიკოსების აზრით ფიგურატივიზმი მათი ნამუშევრების არსებითი ნიშანი იყო. გერმანიიდან მხატვრები უკვე სერიოზული გეგმებით დაბრუნდნენ და კიდევ არაერთი გამოფენა მოაწყვეს.

ჯგუფისთვის წარმატებული აღმოჩნდა დებიუტი საერთაშორისო გამოფენაზე. 2005 წლის თებერვალში ოსნაბრუკში (გერმანია), საერთაშორისო არტ-ბაზრობაზე, ჯგუფმა მთავარი პრიზი აიღო.

წელს "ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნო" მეორე დიდ საერთაშორისო პროექტში იღებს მონაწილეობას. პროექტს ჰქვია "გზაჯვარედინები. კულტურათა დიალოგი", ორგანიზატორი და კურატორია გერმანელი მხატვარი მარგარეტ შულცი. ამ პროექტისთვის მზადება სამ წელიწადს მიმდინარეობდა. ჯგუფს ნამუშევრები უკვე ერთი წელია მზად აქვს და შარშან შემოდგომაზე თბილისელ დამთვალიერებელსაც წარუდგინეს გალერეა "უნივერსში". ნამუშევრების ზოგადი თემაა "მგზავრები". "ვცადეთ, შევხებოდით ურთიერთობის პრობლემას თანამედროვე სამყაროში, სადაც კონტაქტი ადამიანებს შორის მინიმუმამდეა დასული და საკუთარ თავში ჩაკეტილობა და გაუცხოება კრიზისულ ზღვარს აღწევს." პროექტში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნის მხატვრები: გერმანიიდან, ესპანეთიდან, შტატებიდან, ბოლივიიდან, აფრიკიდან... ეს პროექტი არაა ერთჯერადი. იგი მიზნად ისახავს მხატვრების დაახლოებას, შემოქმედებითი აზრების გაცვლას და გამოცდილებათა გაზიარებას. პროექტის ფარგლებში ჩატარდება კონფერენციები და სხვადასხვა კულტურული საღამოები, შედგება საუბრები.

გამოფენა ორ ქალაქში ჩატარდება - გელზენკირხენსა და დორტმუნდში. 19 ოქტომბერს გელზენკირხენში უკვე გაიხსნა გამოფენის პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი დორტმუნდში გაიხსნება 19 ნოემბერს და ზუსტად ერთ თვეში დაიხურება. როგორც ამბობენ, დახურვის ცერემონიალი დიდი და საზეიმო უნდა იყოს, თუმცა სიურპრიზების შესახებ მხატვრებმა ჯერ არაფერი იციან.

"ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნო" 4 დეკემბერს საშობაო არტ-ბაზრობაშიც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ებერბახში გაიმართება. ვუსურვოთ წარმატებები.

# თოვლის ბაბუასავით დარიგებული ხელფასები

მზევინარ ხუციშვილი

გამომდინარე იქიდან, რომ რუსთავის მკვიდრი ვარ, ხშირად მეკითხებიან - სად არის მეტალურგია, აზოტის ქარხანა, რა ხდება, მუშაობენ თუ არაო? აზრად არავის მოსდის მკითხოს უფრო მნიშვნელოვანი საკითხები. მაგალითად: როგორი ინტელექტუალური ცხოვრებით ცხოვრობს ქალაქი? ამჯერად თქვენი ყურადღება რუსთავის მწერალთა კავშირის სახლზე მინდა შევაჩერო.

რუსთავის მწერალთა კავშირს საკამოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. თუ ქალაქის 60 წლის ტრადიციებზე შეიძლება ვისაუბროთ, მისი დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე. მის სათავეში რუსთაველებისთვის კარგად ცნობილი ღვაწლმოსილი ადამიანები იდგნენ: პროზაიკოსი კარპენ მუმლაძე, სილოვან ახვლედიანი, გიგლა ჭავჭავაძე. მოგვიანებით ეს წრე ლიტერატურულ გაერთიანებად გარდაიქმნა, შემდგომში განყოფილებად და ბოლოს საქართველოს მწერალთა კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციად. ათიოდე წელია იგი უკვე ამ სტატუსით არსებობს. თუმცა სტატუსს იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც მის ისტორიას და ტრადიციას, რადგან იგი მთლიანად ქალაქის ლიტერატურულ ძალებს აერთიანებდა და მასში დაახლოებით 40-50 შემოქმედი იყო გაწევრიანებული. ქალბატონი მარინა ცხვედიაშვილი დღესაც სიამაყით იგონებს ამ ადამიანებს და აღნიშნავს: **"მათ დიდი წვლილი მიუძღვით ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. ჩამოთვლას ვერ დავიწყებ, რადგან არ მინდა ვინმე გამომრჩეს. მიუხედავად გაჭირვებისა, თავიაანთი საქმის ერთგულები იყვნენ, თავიანთი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არც პრემიებით და არც ყურადღებით დიდად განებივრებულნი არ იყვნენ, მათ არამარტო დიდი და ძლიერი შემოქმედება დაგვიტოვეს, არამედ ქალაქის კოლორიტებიც იყვნენ. ბევრი მათგანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ საკუთარი წიგნის გამოცემაც ვერ მოასწრო. მათ შენობაც კი არ გააჩნდათ. იკრიბებოდნენ ბიბლიოთეკებში, სხვადასხვა დაწესებულებებში, აქტიურად მუშაობდნენ, დიდი ენთუზიაზმით და საქმისადმი სიყვარულით. 90-იან წლებში კი ყაზბეგის ქუჩაზე ძველი სახლმართველობის შენობის ორი პატარა, საშინლად ცივი და ნესტიანი ოთახები გამოეყოთ, რომლებიც საკმაოდ შეუფერებელი იყო მწერლებისთვის".**

ქალბატონი მარინა ცხვედიაშვილი პროფესიით პოლიტეკონომისტია და ამჟამად სამი პოეტური კრებულის ავტორია. ჯერ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი იყო, შემდგომში მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. 2004 წლიდან კი არჩევნების გზით უკვე თავმჯდომარეა.

დღეს ორგანიზაცია 60-მდე ადამიანს აერთიანებს. შენობა კი, რომელშიც იმყოფებიან, ქალაქის საიუბილეო, 50 წელთან დაკავშირებით, მაშინდელი თავმჯდომარის ქალბატონ მერი შალვაშიძის და ქალაქის მერის ბატონ მერაბ ტყეშელაშვილის დიდი მცდელობით 1998 წელს მწერლებს გადაეცათ. **"მიუხედავად იმისა, რომ შენობა სახალხო ფრონტს ეკუთვნოდა, უფუნქციო, დაკეტილი და ნაგვის ბუნაგად იყო ქცეული. ჩვენ იგი გარემონტებული და დასუფთავებული გადმოგვეცა. ბატონმა ნოდარ ნათაძემ დიდსულოვნად დათმო იგი. შენობა თავად ყოფილმა პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გახსნა. მაშინ დაფინასებაც გვქონდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ბატონი მერაბ ტყეშელაშვილი რუსთავის კულტურული ცხოვრებისთვის ბევრს აკეთებდა. მაშინ, როცა ხალხი ავტომობილებში საწვავს ჭიქებით ასხამდა, თბილისიდან მოდიოდა საზოგადოება ფესტივალ "ოქროს ნიღაბზე" დასასწრებად. რთული წლები იყო, ქალაქის ბიუჯეტს უჭირდა, მაგრამ მაინც გვეხმარებოდნენ. თუმცა დაფინანსება მხოლოდ 2004 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდა. წელიწადი და სამი თვე უხელფასოდ ვიმუშავეთ. არ ვიცი რატომ დამკვიდრდა მაშინ ასეთი ტენდენცია, რატომ დაშინდა ადგილობრივი ხელისუფლება. ოფიციალურად არავინ აცხადებდა, მაგრამ როგორც კულისებს მიღმა შევიტყვეთ, თურმე მწერლების დაფინანსება ცოდვა ყოფილა. ვიცი, რომ ამ ადამიანებს სურვილიც ქონდათ და შინაგანად თანაგვიგრძნობდნენ, გზებსაც ეძებდნენ, როგორ დაგვხმარებოდნენ. მაგრამ ფაქტი ერთი იყო, - დაფინანსება აღარ გვქონდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე თვეში 23 ღონისძიება მოვაწყვეთ. დავდიოდი და ვთხოვდი ბიზნესმენებს, ადამიანებს, რომლებსაც დახმარება შეეძლოთ, თუმცა ჩვენთვის არავინ მოიძებნა. გადავწყვიტეთ შეგვექმნა რუსთავის შემოქმედთა სახლი, რომლის დამფუძნებელნი ოთხი იურიდიული პირი - საქართველოს მწერალთა კავშირი, რუსთავის მუნიციპალური თეატრი, მხატვართა კავშირი "გამა" და ფიზიკური პირი, მე გახლავართ. სწორედ მაშინ, 31 დეკემბერს მთელი წლის გაუცემელი ხელფასები მოგვცეს და თოვლის ბაბუასავით კარდაკარ დავდიოდი და ვარიგებდი".**

ეს ადამიანები მხოლოდ ენთუზიაზმით უამრავ ღონისძიებას აწყობენ. ეს არის არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ გასვლითი ღონისძიებებიც. შეხვედრები მწერლებთან, საზოგადოებისთვის ცნობილი უამრავი ადამიანის მოწვევა. სტუმრობა რეგიონებში და ლიტერატურურლი საღამოების გამართვა. მუშაობა ახალგაზრდებთან, რომლებსაც გზაზე დაყენება და ორიენტაციის მიცემა სჭირდებათ. ყოველ ოთხშაბათს კი ლიტერატურული საღამო, სადაც ერთმანეთის შემოქმედებას ეცნობიან, იხილავენ და კრიტიტკულად აანალიზებენ. თუმცა სახარბიელო მდგომარეობა ფინანსურად არც ეხლაა. **"შენობაში გადმოვედით, მაგრამ უამრავი გადასახადი დაგვხვდა ელექტროენერგიის, ტელეფონების, რომლებიც დღესაც მოგვყვება. ზამთრები გაგვიტარებია ელექტროენერგიის გარეშე, 0 გრადუს ტემპერატურაზე. არ გაგვაჩნია ფოტოაპარატი, რადიო, სკამები, გიმნაზიას ვაწუხებთ, რომ დიდი ღონისძიების დროს საზოგადოება ფეხზე არ იდგეს. ირაკლი წერეთელმა სრულიად უანგაროდ ჩამოგვიტანა პიანინო, შემდეგ ასაწყობი ფულიც კი გამოგვიგზავნა. რაც შეეხება ლიტერატურულ პრემიებს, ასეთი რამ არც კი გვახსოვს. დაახლოებით ათიოდე წლის წინ სამხარეო ორგანოთა კომიტეტმა გასცა რაღაც ლიტერატურული პრემია, თუმცა ეს ისე ჩუმად მოხდა, წესიერად არც კი ვიცით ვის მისცეს. აგრეთვე კარპენ მუმლაძის საგვარეულო საზოგადოებამ და მისმა ოჯახმა ერთ წელიწადს მისივე სახელობის პრემია გასცა 1000 ლარის ოდენობით, რომელიც სამად გაიყო. მისი ლაურეატები პოეზიაში მე და იური ჯინჭარაძე გავხდით, ხოლო პროზაში თინათინ სიყმაშვილი. დიდი მცდელობა მქონდა ძველ ხელისუფლებასთან ადგილობრივ ტელევიზიაში გაგვეკეთებინა პოეზიის ხუთი წუთი, რადგან ქვემო ქართლი ძალიან რთული რეგიონია, როგორც ენობრივი, ისევე ეთნიკური თვალსაზრისით. სამწუხაროდ შედეგი ვერ მივიღეთ".**

ორგანიზაციაში შიდა ოპოზიციაც არსებობს, რომლის წყალობითაც ამ ზაფხულს მერიის სამსახურთან სერიოზული პრობლემები შეიქმნა. **"იყო მოსაზრებები თითქოს ორგანიზაციაში არ მიმდინარეობს სერიოზული და სათანადო მუშაობა. მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობა არასწორად იყო ინფორმირებული და ვფიქრობ, როცა ჩვენს შორის დიალოგი შედგება, ურთიერთობაც გაირკვევა."**

ბატონ მურად ჭოლოკავას ხელმძღვანელობით ორგანიზაციაში ჟურნალი "ორბეთი" და ბატონ გივი ჯახუას მწერალთა ასოციაცია "რუსთაველი" არსებობს, რომელსაც აგრეთვე თავისი გამომცემლობა აქვს, თუმცა უსახსრობის გამო რეგულარულად არც ერთი არ გამოდის. წელიწადნახევარია ჩამოყალიბდა ფოლკლოლური ანსამბლი მარინა ცხვედიაშვილის და ქეთევან ქველიაშვილის ინიციატივით, რომელმაც ბათუმის ფესტივალზე მთავარი ჯილდო მოიპოვა. დაგეგმილია კიდევ არაერთი ღონისძიებაც, რომლებიც, ალბათ ისევ და ისევ ამ ადამიანების ენთუზიაზმით და გულისხმიერებით განხორციელდება.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ხის განძელების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 18 ოქტომბერს გამოცხადებული იქნა ტენდერი ხის განძელების შესყიდვის შესახებ.

აღნიშნულ ტენდერში, პირველ ლოტში გაჟღენთილი ხის განძელის განსაკუთრებულ თავისებურებაში, განძელების ზომა ნაცვლად 225X23X16 სმ-სა განისაზღვროს 210X23X16 სმ-ით.

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

**შესყიდვების კომისია**

## განცხადება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იწვევს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ფასთა კოტირების საშუალებით სხვადასხვა სახის სატვირთო-სამგზავრო მანქანების ტენტების შესყიდვაზე.

ფასთა კოტირების დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია 2006 წლის 25 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი. ოთახი №201. ტელ.: 91-03-54.



მეუღლე მარიკა, შვილები ანა, სანდრო და ლუკა, დედა ვენერა, და ხათუნა, ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლევან ნაჭყებია**

პანაშვიდი 24 და 25 ოქტომბერს 17:00 სთ
გამოსვენება 26 ოქტომბერს 14:00 სთ
მის: დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, 28 კ. I სადარბაზო.

## შპს „საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 24 ოქტომბრიდან აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის მომსახურების შესყიდვის შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს ცხრა ლოტად სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

*ლოტი 1 მცხეთა-ზაჰესის გადასარბენი*
*ლოტი 2 ახალდაბა-ბორჯომის გადასარბენი*
*ლოტი 3 ზესტაფონი-ჭიათურის გადასარბენი*

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757 და შესაბამისი გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახ მომართვის წარმოდგენის შემდეგ პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის დეფექტური აქტები განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **14 ნოემბერი** 9.00 საათადან 18.00 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ)სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.1.4 პრეტენდენტების მიერ ფასები წარმოდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ ვალუტა - ლარში დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

**სატენდერო კომისია.**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# ინსტიტუტი რომელიც ქვეყანას სჭირდება

25-27 ოქტომბერს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი, მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის კოოპერაციული პროგრამის (ECP/GR) (ვაშლი, მსხალი) სამუშაო ჯგუფის მესამე შეხვედრას უმასპინძლებს. ღონისძიებაში სავარაუდოდ ევროპის 33 ქვეყანა, მათ შორის ისრაელისა და თურქეთის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ღონისძიება მასშტაბურია და ჩვენი ქვეყანა მასში პირველად მონაწილეობს.

შეხვედრის მნიშვნელობაზე და ინსიტუტის სამომავლო გეგმებზე მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტეს დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თეიმურაზ დეკანოსიძე გვესაუბრა: "მეცნიერთა საერთაშორისო თანასაზოგადოება მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს და ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს მცენარეთა გენეტიკური რესურსების გადარჩენას, კონსერვაციას და მათ გამოყენებას, ფრიად მნიშვნელოვანი და წონადია. ღონისძიებაში, რომელიც ჩვენს ინსტიტუში ტარდება, საქართველო პირველად მონაწილეობს. ამ დიდ ფორუმზე ჩვენი მეცნიერები დავით მაღრაძე და ზვიად ბობოქაშვილი დეტალურად გააცნობენ უცხოელ კოლეგებს ვაშლისა და მსხლის გენეტიკურ რესურსებს, მათი დაცვის აუცილებლობას. მეცნიერები გაეცნობიან საქართველოს, როგორც ხეხილის ბევრი სახეობების, ქვესახეობების და სახესხვაობების წარმოშობის ერთ-ერთ კერას, საინტერესო ობიექტს, რომლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მსოფლიო გენოფონდში მაღალი ხვედრითი წილის მქონე უნიკალური და უძველესი აბორიგენული ქართული ჯიშებისა და ფორმების მრავალფეროვნების შენარჩუნება.

სტუმრები ახლოს გაეცნობიან ქართველი მეცნიერების კვლევის მიმართულებებს, რაც საგრძნობლად აამაღლებს ჩვენი ინსტიტუტის ცნობადობას საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში და ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას ევროსტრუქტურებში.

ECP/GR 1980 წელს დაფუძნდა, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციით. პროგრამას კი მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო-ინსტიტუტი (IPGRI - რომი) ხელმძღვანელობს. ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს მცენარეთა გენეტიკური რესუსრების გამოყენების ზრდას მთელს ევროპაში. საქართველო ამ ორგანიზაციაში მხოლოდ 2005 წელს გაწევრიანდა (მანამდე დამკვირვებლის სტატუსტით მონაწილეობდა). ქართველი მეცნიერები ორგანიზაციის ექვს სამუშაო ჯგუფში უკვე მონაწილეობენ, აქედან ოთხ ჯგუფში ინსიტუტის ახალგაზრდა მეცნიერები არიან ჩართულები".

**- ბატონო თემურ, რამ განაპირობა ღონისძიების მესვეურთა დაინტერესება, რომ ეს შეხვედრა საქართველოში ჩატარებულიყო?**

- უპირველეს ყოვლისა ქვეყანამ, თავისი ეკოლოგიური თავისებურებით, თვითმყოფადობით, ინსტიტუტის შესაძლებლობებმა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებს - მევენახეობა-მეღვინეობას ემსახურება. საუკუნეზე მეტი ისტორიის მქონე ინსტიტუტი ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ცენტრია რესპუბლიკაში, რომლის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს - ყურძნის, ხილის მდგრადი მოსავლის და მათი გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფით, კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიღება; რაციონალურად გამოიყენოს, აღადგინოს და შეინარჩუნოს ბუნებრივი რესურსები; დაამუშაოს და დანერგოს მაპროფილებელი დარგების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები; შექმნას ქვეყანაში სასურსათო დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური ზრდის პირობები.

ათეული წლების მანძილზე იქმნებოდა ინსტიტუტის ისტორია და ტრადიციები, ეროვნული საგანძური, რომელმაც დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება მოუტანა მას მეცნიერთა საერთაშორისო თანასაზოგადოებაში. ინსტიტუტში შექმნილ პროდუქციას საერთაშორისო და სხვა სახის გამოფენებსა და დეგუსტაციებზე მიღებული აქვს ოქროს და ვერცხლის მედლები, დიპლომები, ასზე მეტი საავტორო მოწმობა, პატენტი. აქვს უძველესი ტრადიციებისა და თანამედროვეობის ამსახველი მუზეუმი, მდიდარი ენოთეკა და სხვ. მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ყურადსაღებია, რომ ქვეყნის და შესაბამისად კვლევისათვის ურთულეს პერიოდშიც ინსტიტუტმა შეძლო შეენარჩუნებინა ქმედითუნარიანობა, არ დაეკარგა ღირსეული მემკვიდრეობა, შეევსო და გაემდიდრებინა იგი. სწორედ ამ პერიოდში შემუშავდა მევენახეობა-მეღვინეობის და მეხილეობის რეაბილიტაციის და განვითარების კონცეფციები; "საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის" შესახებ, ახალი ტექნოლოგიები, საინოვაციო წინადადებები და სხვ.

**- შევეხოთ დღევანდელობას, მის სამენციერო პოტენციალს, ტექნიკურ ბაზას, გამორჩეულ კვლევებს.**

- სადღეისოდ ინსტიტუტი ურთულეს პერიოდს გადის. საქართველოს მთავრობამ ეროვნული მასშტაბის ცვლილებები განახორციელა მეცნიერების ორგანიზაციისა და მართვის სფეროში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მიენიჭათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. ამ სასიკეთო პროცესს, გონივრული მიდგომა სჭირდება. რეფორმა სტურქტურისა და კადრების ოპტიმიზაციას, კვლევის რეორიენტაციას, ტექნიკური ბაზის მიზნობრივ გამოყენებას ითვალისწინებს. ინსტიტუტის თანამშრომელთა რაოდენობა ახალი საშტატო განრიგით 140 ერთეულითაა წარმოდგენილი (ნაცვლად 220-ისა). აქედან, ხუთი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტია, 20 მეცნიერებათა დოქტორი, 50-მდე კი მეცნიერებათა კანდიდატია. რაც შეეხება ტექნიკურ ბაზას, გვაქვს რეგიონალური (კახეთი, შიდა ქართლი, დასავლეთ საქართველო) საცდელ-საკონსულტაციო ცენტრები, ექსპერიმენტალური ბაზები, სანერგე, ღვინის ქარხნები, საყრდენი პუნქტები. ამ ქონების (იგი სახელმწიფო საკუთრებაა) მიზანშეწონილობა, გამოყენების ეფექტურობა, მისი დამკვიდრება რეორგანიზაციის პერიოდის ურთულესი ეტაპია. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ერთეულების დასაკავებლად საკონკურსო ციებ-ცხელება უკვე დაწყებულია, ინსტიტუტში მუშაობა ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. გრძელდება კვლევა მევენახეობის სპეციფიკური ზონების დასადგენად (პროგრამა მიზნობრივად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ 227 ათასი ლარით), რომლის საბოლოო მიზანი ფრიად მნიშვნელოვანია - იურიდიულად დაცული იქნეს ღვინის ქართული სახელწოდებები (მაგ. "ხვანჭკარა", "წინანდალი" და ა. შ.), შემცირდება მისი ფალსიფიკაციის შესაძლებლობები, გაიზრდება ქართული ღვინის ხარისხი და ავტორიტეტი საერთაშორისო ბაზარზე. სადღეისოდ დიდი ყურადღება ეთმობა ვაზისა და ხეხილის გენოფონდის აღდგენა-შენარჩუნებას, საკოლექციო ნაკვეთების გაშენებას, ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ინტენსიურ ტექნოლოგიების უზრუნველყოფას, ქართული ღვინისა და ხილის სამკურნალო-კვებითი ღირებულების შესწავლას და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების პრაქტიკაში განხორციელების მექანიზმი, ამ საქმით კი ფერმერთა და კერძო სექტორის დაინტერესება. გამოყენებითი კვლევების ინსტიტუტისათვის იგი სიცოცხლისუნარიანობის უპირველესი მახასიათებელია. ამ მიზნითაა შექმნილი თვითდაფინანსებაზე მყოფი სტრუქტურული დანაყოფი - პროექტირების, ფერმერთა მეცნიერული უზრუნველყოფისა და მარკეტინგის ცენტრი. ეს ის რგოლია, რომელმაც უდიდესი წვლილი უნდა შეიტანოს ინსტიტუტის საკუთარი სახსრების გენერირების საკითხში, მიაღწიოს მეცნიერისა და კერძო მეწარმის სტრატეგიულ ალიანსს.

**- ვხედავ მოვლილ კარ-მიდამოს, სასიამოვნო სამუშაო გარემოს, ბატონო თემურ, დღევანდელ პირობებში ამის მიღწევა ადვილი არ უნდა იყოს.**

- ინსიტუტის წინამორბედმა ხელმძღვანელობამ, კოლექტივმა უზარმაზარი შრომა გასწიეს, რათა მსოფლიოს ბანკის ყურადღება მიეპყროთ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, 2000 წ ქ. ვაშინგტონში ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლის თანახმადაც ქვეყნის აგრარულ სექტორში პრიორიტეტულ დარგებად მევენახეობა-მეხილეობა იქნა აღიარებული, ხოლო დარგების მენციერული უზრუნველყოფა ინსტიტუტს დაევალა. ამრიგად, პროექტით - "სასოფლო-სამეურნეო კვლევა" დანერგვა-კონსულტაცია და სწავლება - ინსტიტუტი რეფორმის ობიექტად და განზოგადოების მოდელად დამტკიცდა, ხოლო პოლიტიკის გატარებისათვის მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილმა თანხამ 1.8 მლნ აშშ დოლარი შედგინა. ფინანსურმა უზრუნველყოფამ მნიშვნელოვნად შეცვალა კვლევის ინფრასტრუქტურაც - გარემონტდა შენობა, მოეწყო შიდა კომუნიკაციები, გაშენდა საცდელი-საჩვენებელი და საკოლექციო ნაკვეთები, შეიქმნა დანერგვა-კონსულტირების სამსახური, უცხო ენებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების კურსები და ა. შ.

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, "არეტ" პროექტზე მომუშავე ჯგუფის ქმედითი დახმარებით ხორციელდება დღევანდელი ღონისძიებაც, მათმა ხელშეწყობამ შეგვაძლებინა თამამად წარვდგეთ საერთაშორისო თანასაზოგადოების წინაშე.

დღევანდელი ფორუმი გვარწმუნებს, რომ ინსიტუტის კოლექტივმა საქმით გაამართლდა მოპოვებული საერთაშორისო ნდობა და იმედოვნებს, რომ ხელისუფლების მხარდაჭერის შემთხვევაში, შეძლებს მნიშვნელოვანი სასიკეთო როლი ითამაშოს ქვეყნის ესოდენ მნიშვნელოვანი დარგების განვითარების საქმეში, მის ეკონომიკურ ძლიერებაში. ამას იმედით მოელის ქართველი მეურნე, აგრარული მეცნიერება.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს მცხეთის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

| № | თანამდებობის დასახელება | საშტატო რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | აპარატის უფროსი | 1 | 700 |
| | საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება | | |
| 2 | განყოფილების უფროსი | 1 | 480 |
| 3 | მოსამართლის თანაშემწე | 9 | 450 |
| 4 | სხდომის მდივანი | 9 | 330 |
| 5 | სპეციალისტი (საკადრო საკითხებში) | 1 | 250 |
| 6 | სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში) | 1 | 250 |
| 7 | ქსელის ადმინისტრატორი | 1 | 250 |
| | კანცელარია და მოქალაქეთა მისაღები (განყოფილება) | | |
| 8 | განყოფილების უფროსი | 1 | 480 |
| 9 | წამყვანი სპეციალისტი (არქივარიუსი) | 1 | 280 |
| 10 | წამყვანი სპეციალისტი | 1 | 280 |
| 11 | სპეციალისტი | 3 | 250 |
| 12 | კურიერი | 5 | 220 |
| | მაგისტრატი მოსამართლის აპარატი | | |
| 13 | მოსამართლის თანაშემწე | 4 | 450 |
| 14 | სხდომის მდივანი | 4 | 330 |
| 15 | სპეციალისტი | 4 | 250 |
| 16 | კურიერი | 4 | 220 |
| | მანდატურის სამსახური | | |
| 17 | სამსახურის უფროსი | 1 | 500 |
| 18 | მანდატური | 19 | 300 |

კონკურსის პირობები:

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა (დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად), ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი.

მოხელეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს, აქვს შესაბამისი განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მანდატურის სამსახურში მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 22-დან 50 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

■ სასამართლოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული, საგადასახადო, სამეწარმეო და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის კარგი ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება

■ განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და შრომის კანონმდებლობის კარგი ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმის წარმოების ერთიანი წესების", "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულების კარგი ცოდნა;

დ) სამოქალაქო, სამეწარმეო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის, ასევე სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის კარგი ცოდნა.

■ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) სამოქალაქო, სამეწარმეო, სამოქალაქო-საპროცესო სამართლისა და სასამართლოს სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-საპროცესო, საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობის ცოდნა, სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა, სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

■ სხდომის მდივნის თანამდებობაზე:

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

ა) უმაღლესი ან არასრული უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

ა) უმაღლესი ან არასრული უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია

ა) უმაღლესი ან არასრული უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

■ სპეციალისტის თანამდებობაზე (საკადრო საკითხებში):

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და შრომის კანონმდებლობის ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (პროფესიულ დონეზე).

■ სპეციალისტის თანამდებობაზე (სამეურნეო საკითხებში):

ა) საშუალო განათლება;

ბ) "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

■ ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობაზე:

ა) სპეციალური განათლება;

ბ) ვინდოუს 2000/2003 სერვერ - ადმინისტრირების საწყისების (მომხმარებელთა, ქსელური რესურსების, უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა) ცოდნა;

გ) კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების (კომპიუტერების, საბეჭდი და პერიფერიული მოწყობილობების ინსტალაცია, პრობლემების დიაგნოსტიკა) ცოდნა;

დ) მონაცემთა ბაზების რომელიმე სისტემის საწყის დონეზე ადმინისტრირებისა და საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა.

კანცელარია და მოქალაქეთა მისაღები

■ განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმის წარმოების ერთიანი წესების", "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პარეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულების კარგი ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;

დ) სამოქალაქო, სამეწარმეო, ადმინისტრაციული, საგადასახადო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის კარგი ცოდნა.

■ წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე (არქივარიუსი):

ა) უმაღლესი ან სპეციალური განათლება;

ბ) საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმის წარმოების ერთიანი წესების", "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულების კარგი ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

■ წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმის წარმოების ერთიანი წესების", "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულების კარგი ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

■ სპეციალისტის თანამდებობაზე:

ა) უმაღლესი ან სპეციალური განათლება;

ბ) საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმის წარმოების ერთიანი წესების", "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულების კარგი ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

■ კურიერის თანამდებობაზე:

ა) უმაღლესი ან საშუალო განათლება;

ბ) საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა, "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულების კარგი ცოდნა;

გ) მართვის მოწმობა.

მანდატურის სამსახური

■ სამსახურის უფროსის თანამდებობაზე

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის, "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" და "საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონების, "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა;

გ) კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

■ მანდატურის თანამდებობაზე:

"საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" და "საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონების, "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა.

კონკურსს ატარებს მცხეთის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა (დიპლომი);
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ორი ფოტოსურათი;
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

მანდატურის სამსახურის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ცნობა ნასამართლობის შესახებ.

დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, განცხადება და სხვა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში, 10-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა. კონკურსი მოეწყობა გასაუბრების ფორმით.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17, მცხეთის რაიონული სასამართლო.

**საჯარო სამსახურის ბიურო**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე.**

**ლოტი N1**

ახალციხე რაიონული სასამართლოს, მებაღიშვილის ქ. N82, შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. განაშენიანების ფართი - 480,5 მ²;**
**2. საერთო ფართი 1088,7 მ²;**
**3. საამშენებლო მოცულობა - 4324,5 მ³**

**ლოტი N2**

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს, ი. სიორაძის ქ. N 14, შენობის სარემონტო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. განაშენიანების ფართი - 447 მ²;**
**2. საერთო ფართი 732,8 მ2;**
**3. საამშენებლო მოცულობა - 2767,5 მ³**

**ლოტი N3**

ფოთის რაიონული სასამართლოს, მდებარე აღმაშენებლის ქ. N3, შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. განაშენიანების ფართი - 534 მ²;**
**2. საერთო ფართი - 1602 მ2;**
**3. საამშენებლო მოცულობა - 6730 მ³**
**4. სარეკონსტრუქციო ფართი - 665 მ²;**

**ლოტი N4**

ხაშურის რაიონული სასამართლოს, მდებარე კოსტავას ქ. N 15, შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. განაშენიანების ფართი - 458 მ²;**
**2. საერთო ფართი 809,6 მ2;**
**3. საამშენებლო მოცულობა - 5027 მ³**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 14 ნოემბრიდან 15 ნოემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად.*

*ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).*

*ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;*

*მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;*

*ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;*

*ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).*

*მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;*

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით;

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია თელია, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32. ტელ.: 921189

# საქართველოს პროკურატურა აცხადებს სტაჟიორთა მიღების კონკურს

"საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ" (სსმ N146, ნაწილი III, მუხლი 1326, 10.12.04) საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 10 დეკემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა მიღების კონკურს.

სტაჟიორთა კონკურსი მიზნად ისახავს პროკურატურის სისტემაში ახალი კადრების მოზიდვას, რომელიც ჩატარდება სამ ეტაპად. პირველი ორი ეტაპი ჩატარდება ტესტირების ფორმით, რომელთა წარმატებით გავლის შემთხვევაში კონკურსანტებს ჩაუტარდებათ გასაუბრება. კონკურსში გამარჯვებულები გაივლიან ერთ წლამდე სტაჟირებას საქართველოს პროკურატურაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია დაიწყება 2006 წლის 24 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 7 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 17 სთ-მდე.

სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N24) უნდა წარმოადგინოს:

1. წერილობითი განცხადება;
2. მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მოწმობების ასლები;
3. ავტობიოგრაფია (ნაბეჭდი ფორმით);
4. დიპლომის ასლი, ნიშნების ფურცელთან ერთად;
5. ორი რეკომენდაცია;
6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. ორი ფერადი ფოტოსურათი (3/4);
8. სერტიფიკატის ასლი პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა რაოდენობა განისაზღვრულია 100 ერთეულით, შემდეგი პროკურატურების მიხედვით:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურა;
2. აჭარის ა/რ პროკურატურა;
3. ქ. თბილისის პროკურატურა;
4. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა;
5. მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა;
6. კახეთის საოლქო პროკურატურა;
7. შიდა ქართლის საოლქო პროკურატურა;
8. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა;
9. სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა;
10. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა;
12. ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურა;
13. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურა;
14. გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურა;
15. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურა;
16. ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა;
17. ქუთაისის რაიონული პროკურატურა;
18. ზესტაფონის რაიონული პროკურატურა;
19. სამტრედიის რაიონული პროკურატურა;
20. ოზურგეთის რაიონული პროკურატურა;
21. მცხეთის რაიონული პროკურატურა;
22. დუშეთის რაიონული პროკურატურა;
23. მარნეულის რაიონული პროკურატურა;
24. ახალციხის რაიონული პროკურატურა;
25. ზუგდიდის რაიონული პროკურატურა;
26. ამბროლაურის რაიონული პროკურატურა;
27. ცაგერის რაიონული პროკურატურა;
28. ბათუმის რაიონული პროკურატურა.

წერილობითი კონკურსის (ტესტირების) პირველი ეტაპი ჩატარდება ზოგადი უნარების ტესტებში, კონკურსის გამოცხადებიდან არაუადრეს სამი კვირისა, ხოლო ტესტირების მეორე ეტაპის საფუძველზე შემოწმდება სტაჟირების კანდიდატთა თეორიული მომზადების დონე. მეორე ეტაპი ჩატარდება პირველი ეტაპის ჩატარდებიდან ერთ კვირაში.

კონკურსის მესამე ეტაპის (გასაუბრების) ჩატარების დრო და ადგილი გამოქვეყნდება წერილობითი კონკურსის მეორე ეტაპის ჩატარებიდან გონივრულ ვადაში.

წერილობითი ეტაპების ჩატარებამდე ორი დღით ადრე, ტესტირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების დაზუსტების მიზნით, სტაჟიორობის კანდიდატი უნდა დაუკავშირდეს საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნოს, შემდეგ საკონტაქტო ტელეფონებზე: **40 50 11, 40 50 15, 40 50 16, 40 50 17, ან მობილური - 8 (55) 18 09 37).**

ტესტირების პირველ ეტაპზე დასაშვებად სტაჟიორობის კანდიდატმა თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ტესტირების პირველ ეტაპზე, სტაჟიორობის კანდიდატმა დადებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუხოს შეთავაზებული ზოგადი უნარების ტესტების 70 %-ს.

იმ შემთხვევაში, თუ სტაჟიორობის კანდიდატი ტესტირების პირველ ეტაპს ვერ გადალახავს, მეორე ეტაპზე არ დაიშვება.

ტესტირების მეორე ეტაპზე სტაჟიორობის კანდიდატმა დადებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუხოს შეთავაზებული ტესტების 75 %-ს (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, 1957 წლის ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, 1959 წლის ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ, 1993 წლის მინსკის კონვენცია საოჯახო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესი).

ტესტირების მეორე ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტაჟიორობის კანდიდატთათვის დასაკავებელი თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისათვის შედგება გასაუბრება.

სტაჟიორს, საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის თავმჯდომარე განუსაზღვრავს სტაჟირების გავლის ინდივიდუალურ პროგრამას.

სტაჟიორს სტაჟირების პერიოდში მიეცემა ანაზღაურება.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გენერალური პროკურორის ბრძანებით სტაჟიორს შეიძლება ვადაზე ადრე (მაგრამ არაუადრეს 6 თვისა) მოეხსნას სტაჟირება და დაინიშნოს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობაზე.

სტაჟირების საერთო ვადის გასვლის შემდეგ, სტაჟიორები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სტაჟირებას, ჩაირიცხებიან საქართველოს პროკურატურის რეზერვში.

პროკურატურის ორგანოებში ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში, რეზერვში ჩარიცხული პირის თანხმობით, კომისიის თავმჯდომარე გენერალურ პროკურორს წარუდგენს რეზერვში ჩარიცხულ იმ პირთა მონაცემებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს. გენერალური პროკურორის მიერ კანდიდატის მოწონების შემთხვევაში რეზერვში ჩარიცხული პირი ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე.

**დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N24 (ტელეფონები - 40 50 11, 40 50 15, 40 50 16, 40 50 17, ან მობილური - 8 (55) 18 09 37).**

**დანართი**

**საქართველოს გენერალური პროკურატურა**

**საქართველოს პროკურატურის სტაჟიორთა კონკურსის პირველი ეტაპის (ტესტირება) პროგრამა**

**ზოგადი უნარების ტესტებსა და პიროვნების საკვლევ კითხვარებში**

**თბილისი
2006 წელი**

**ზოგადი უნარების ტესტი**

**ინსტრუქცია**

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან და 80 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

**არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს.**

*პასუხის მონიშვნისას:*
*n პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი*
*n ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება*
*n დასვით X ნიშანი ამ უჯრაში*

**თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში).**

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისთვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

წერილობითი კონკურსის პირველ ეტაპში მონაწილე პირმა დადებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუხოს შეთავაზებული ზოგადი უნარების ტესტების 70 %-ს მაინც.

**ტესტებზე სამუშაოდ განკუთვნილია 3 საათი და 10 წუთი, აქედან 2 საათი და 40 წუთი ზოგადი უნარების ტესტებისათვის, ხოლო 30 წუთი პიროვნების საკვლევი კითხვარებისათვის.**

**ვერბალური ნაწილი**

**ანალოგიები**

*ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოყოფილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.*

*სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. შეარჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც მიმართება სიტყვათა მნიშვნელობებს შორის გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.*

*მაგალითად:* ***კენჭი: ქვა***
*(ა) ველოსიპედი : მანქანა*
*(ბ) ბილიკი : გზა*
*(გ) ოთახი : ბინა*
*(დ) ფოთოლი : ბუჩქი*

*სწორი პასუხია (ბ), რადგან მიმართება - "ბილიკი არის მომცრო გზა" მსგავსია მიმართებისა - "კენჭი არის მომცრო ქვა".*

*ნიმუში*

**1. ნაკვერჩხალი: ცხელი**

(ა) ლიმონი : მჟავე
(ბ) ღრუბელი : ქათქათა
(გ) ლოკოკინა : სწრაფი
(დ) მიწისძვრა : დანგრეული

**წინადადების შევსება**

*მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული.*

*გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი - რამდენიმეს.*

*სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.*

*ნიმუში*

**1.** ლიტერატურული ნაწარმოები ----- იმ სინამდვილეს, რომელშიც იგი იქმნება, ----- ის არ ----- მას -----.

(ა) დოკუმენტურად აღწერს / იმდენად, რამდენადაც / ასახავს / დეტალურად
(ბ) აკრიტიკებს / მაშინაც კი, როცა / ამართლებს / სრულად
(გ) ამახინჯებს / მიუხედავად ამისა / აღწერს / სარწმუნოდ
(დ) უკავშირდება / მაგრამ / ასახავს / რეალისტურად

**ლოგიკა**

*ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების მიხედვით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.*

*ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.*

*ნიმუში*

**1.** დავუშვათ, რომ სასამართლოში განიხილება რამდენიმე ეჭვმიტანილის საქმე.
n ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ ყველა ეჭვმიტანილი დამნაშავეა
n დამცველი ამტკიცებს, რომ არც ერთი ეჭვმიტანილი არ არის დამნაშავე

*ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია* ***შეუძლებელი****?*

(ა) არ არის მართალი არც ერთი - არც ბრალმდებელი და არც დამცველი
(ბ) ბრალმდებელი არ არის მართალი, ხოლო დამცველი მართალს ამბობს
(გ) ბრალმდებელი მართალია, დამცველი ტყუის
(დ) ორივე მართალია - ბრალმდებელიც და დამცველიც

**წაკითხული ტექსტის გააზრება**

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

*ნიმუში*

ინგლისელი მათემატიკოსის, ფიზიკოსისა და ასტრონომის - ისააკ ნიუტონის - მრავალი ნაშრომიდან აღსანიშნავია "სინათლისა და ფერების ახალი თეორია", "ოპტიკა" და "ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური პრინციპები" .

პრობლემები, რომლებიც ნიუტონს აინტერესებდა და შემდეგში წარმატებით გადაწყვიტა, ბუნებისმეტყველებაში უკვე ცნობილი იყო. ახალგაზრდა ნიუტონი გაეცნო როგორც ძველი, ისე ახალი დროის ავტორების შრომებს. კეპლერის ნაშრომმა ("დიოპტიკამ") მასზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა. ცოდნით შეიარაღებული ნიუტონი დამოუკიდებელ გზას გაჰყვა და უკვე სტუდენტობის წლებში ბინომის ზოგადი თეორია ჩამოაყალიბა. მოგვიანებით კი სწორედ მან დაადგინა მექანიკის ძირითადი კანონები.

პირველ პერიოდში ნიუტონი ბევრს მუშაობდა ოპტიკის საკითხებზე. მან ახალი ტიპის ტელესკოპი შექმნა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო იუპიტერის თანამგზავრებსა და ვენერას ფაზებზე დაკვირვება. ამასთან ერთად, ნიუტონი მუშაობდა სინათლის თეორიის პრობლემებზეც. მას მიაჩნდა, რომ სინათლე განათებული სხეულიდან მცირე ნაწილაკების სახით გამოიფრქვევა. აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას არ იზიარებდა ჰოლანდიელი მეცნიერის - ჰიუგენსის - მიმდევარი რობერტ ჰუკი. ჰუკი, ნიუტონისგან განსხვავებით, სინათლის ტალღურ ბუნებას აღიარებდა.

იმჟამად ფერების თეორიაში გაბატონებული იყო მოძღვრება, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელედან მომდინარეობდა. ამ მოძღვრების თანახმად, ფერთა განსხვავებას სინათლისა და სიბნელის ერთმანეთთან გარკვეული რაოდენობით შეერთება იწვევს. ნიუტონმა კი კვლევის შედეგად დაადგინა, რომ სინათლის თეთრი სხივი, გატარებული სამწახნაგოვან პრიზმაში, განსხვავებული ფერის სხივებად იშლება; ხოლო ეს უკანასკნელნი, ხელახლა გატარებული პრიზმაში, აღარ დაიშლება და ამიტომ მარტივ ფერებს წარმოადგენს. და - პირიქით: ამ განსხვავებულ ფერთა სხივების შეერთებისას თეთრი სხივი მიიღება. სწორედ ეს აღმოჩენა დაედო საფუძვლად სპექტრულ ანალიზს.

ისააკ ნიუტონი ჯერ კიდევ 1666 წელს ცდილობდა, მექანიკის კანონების საფუძველზე აეხსნა ციური სხეულების მოძრაობა. მისი თეორია არსებითად გასროლილი სხეულის ტრაექტორიის შესახებ გალილეო გალილეის მიერ გამოთქმული აზრის განვითარებას წარმოადგენდა. მაშინ ნიუტონს ჯერ არ ჰქონდა ცნობა დედამიწის ზუსტი სიდიდის შესახებ. ეს სიდიდე მხოლოდ 1682 წელს დაადგინა ფრანგმა მეცნიერმა პიკარმა. პიკარის შედეგს კი უმალვე მოჰყვა ნიუტონის ნაყოფიერი მუშაობა, რაც საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ მან აღმოაჩინა ბუნების კანონთა კვლევაში თავისი მნიშვნელობით გამორჩეული - მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

1. ნიუტონის ცხოვრების რომელ სფეროს ასახავს ძირითადად ტექსტი?

(ა) ნიუტონის წვლილს ბუნებისმეტყველების განვითარებაში
(ბ) ნიუტონის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას
(გ) ისააკ ნიუტონის ურთიერთობას მეგობართა წრესთან
(დ) ისააკ ნიუტონის სამეცნიერო წოდებებს

2. ტექსტში აღნიშნულია ნიუტონის თვალსაზრისთა მიმართება სხვა მეცნიერთა შეხედულებებთან.
ჩამოთვლილთაგან რომელი შეფასებაა მართებული?

(ა) ნიუტონის ყველა დებულება ბუნებრივად აგრძელებდა და აღრმავებდა წინამორბედთა შეხედულებებს
(ბ) ნიუტონმა თავისი დებულებები ჩამოაყალიბა სრულიად დამოუკიდებლად, სხვა მეცნიერთა თვალსაზრისების გათვალისწინების გარეშე
(გ) ნიუტონის ყველა დებულება უარყოფდა წინამორბედ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს
(დ) ნიუტონის ზოგი დებულება რადიკალურად უპირისპირდებოდა წინამორბედთა აზრს, ზოგი კი უკვე გამოთქმულ მოსაზრებებს ავითარებდა

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს სწორად ნიუტონისა და ჰუკის მოსაზრებებს შორის არსებულ განსხვავებას?

(ა) ჰუკისგან განსხვავებით, ოპტიკის საკითხებს ნიუტონი სინათლის თავისებურებებზე დაკვირვებით შეისწავლიდა
(ბ) ჰუკის აზრით, ნიუტონი ხელსაწყოებს იყენებდა ბუნების იმ მოვლენების შესასწავლად, რომლებზედაც უშუალო (შეუიარაღებელი თვალით) დაკვირვებაც კი საკმარისი იყო
(გ) ნიუტონი, ჰუკის შეხედულების საპირისპიროდ, მიიჩნევდა, რომ სინათლე ნაწილაკების სახით გამოსხივდება
(დ) ჰუკის აზრით, ნიუტონის მიერ ციურ სხეულებზე დაკვირვებით მოპოვებული ცოდნა მექანიკურად ვრცელდებოდა ოპტიკურ მოვლენებზეც

4. ტექსტის რომელ მონაკვეთს შეარჩევთ იმის დასასაბუთებლად, რომ ნიუტონის მოღვაწეობა მხოლოდ თეორიული ხასიათისა არ იყო, იგი ცდას - პრაქტიკულ საქმიანობას - შეიცავდა?

(ა) იმ მონაკვეთს, რომელშიც აღნიშნულია მის მიერ მექანიკის ძირითადი კანონების დადგენა
(ბ) პირველ აბზაცს, რომელშიც დასახელებულია ისააკ ნიუტონის ნაშრომები
(გ) იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია სინათლის თეთრი სხივის დაშლისა და მარტივი ფერების შესახებ
(დ) იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია დედამიწის ზუსტი სიდიდის დადგენის შესახებ

5. რა იყო ნიუტონის მიერ ფერების თეორიაში შემოტანილი ძირეული ხასიათის ცვლილება, სიახლე?
(ა) ნიუტონმა ექსპერიმენტის მეშვეობით დაამტკიცა არისტოტელეს შეხედულების მართებულობა
(ბ) ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ნიუტონმა აღმოაჩინა თეთრი ფერის სინათლის სხივის არსებობა
(გ) ნიუტონმა ექსპერიმენტის მეშვეობით დაამტკიცა, რომ მარტივი ფერების შეერთებით თეთრი ფერი მიიღება
(დ) ნიუტონმა ექსპერიმენტით დაამტკიცა, რომ თეთრი სხივის გარდა სინათლის სხვა ფერის სხივებიც არსებობს

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნიუტონის მიერ მიღებული რომელი შედეგის განსაკუთრებულ ღირებულებას აღნიშნავს ავტორი?
(ა) ბინომის ზოგადი თეორიის ჩამოყალიბებას
(ბ) ახალი ტიპის ტელესკოპის შექმნას
(გ) სინათლის სხივთან დაკავშირებულ აღმოჩენას
(დ) მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენას

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელმა მოვლენამ შეუწყო ხელი ნიუტონს, რომ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი?
(ა) გასროლილი სხეულის ტრაექტორიის დადგენამ
(ბ) დედამიწის ზუსტი სიდიდის განსაზღვრამ
(გ) ციური სხეულების მოძრაობის ფაზების დადგენამ
(დ) ფერთა დაშლის კანონის აღმოჩენამ

8. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამოხატავს ტექსტის ავტორის პოზიციას?

(ა) ნიუტონის თეორიები წინამორბედ მეცნიერთა მოსაზრებების მართებულობას ადასტურებდა
(ბ) ნიუტონის მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი პერიოდი
(გ) ნიუტონის დიდ მიღწევებს ნიადაგი წინამორბედთა მიერ ჰქონდა შემზადებული
(დ) ნიუტონის მიღწევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი ტიპის ტელესკოპის შექმნა

9. რა არის მოცემული ტექსტის დანიშნულება, ძირითადი მიზანი?

(ა) ისააკ ნიუტონის ნაშრომების გაცნობა და ანალიზი
(ბ) ნიუტონისა და მის წინამორბედ მეცნიერთა დებულებების შედარება
(გ) ისააკ ნიუტონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა
(დ) ნიუტონის სამეცნიერო ინტერესის სფეროებისა და მნიშვნელოვანი მიღწევების გაცნობა

**მათემატიკური ნაწილი**
*ნიმუშები*

1. თბილისის დროსა და ლონდონის დროს შორის განსხვავება 3 საათია. როცა თბილისში 15 საათია, ლონდონში ამ დროს 12 საათია. ლონდონიდან თბილისში გამოფრინდა თვითმფრინავი ლონდონის დროით 19 საათზე. რომელ საათზე ჩამოფრინდება თვითმფრინავი თბილისში (თბილისის დროით), თუ ფრენას სჭირდება 5 საათი?
(ა) 20 საათზე
(ბ) 24 საათზე
(გ) დილის 3 საათზე
(დ) დილის 5 საათზე

2. კახამ 69 ცალი ფანქარი ერთნაირ კოლოფებში ჩააწყო. ერთ კოლოფში მხოლოდ 10 ცალი ფანქარი ეტევა. სულ ცოტა რამდენი კოლოფი დასჭირდა კახას ფანქრების ჩასაწყობად?
(ა) 6
(ბ) 7
(გ) 8
(დ) 9

3. საჭადრაკო ტურნირში 5 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ყოველმა მოჭადრაკემ თითო პარტია ითამაშა თითოეულ სხვა მოჭადრაკესთან. სულ რამდენი საჭადრაკო პარტია გათამაშებულა ამ ტურნირზე?
(ა) 5
(ბ) 8
(გ) 10
(დ) 20

4. K წერტილი ABCD მართკუთხედის BC გვერდის შუა წერტილია. რამდენჯერ მეტია ABCD მართკუთხედის ფართობი KDC სამკუთხედის ფართობზე?
(ა) 2-ჯერ
(ბ) 3-ჯერ
(გ) 4-ჯერ
(დ) 6-ჯერ




5. ა, ბ და ც ისეთი რიცხვებია, რომ ც ნაკლებია ა-ზე 9-ჯერ, ხოლო ბ მეტია ც-ზე 3-ჯერ. რომელი რიცხვია უფრო მეტი, ა თუ ბ, და რამდენჯერ?
(ა) ა მეტია ბ-ზე 3-ჯერ
(ბ) ა მეტია ბ-ზე 6-ჯერ
(გ) ა ნაკლებია ბ-ზე 3-ჯერ
(დ) ა ნაკლებია ბ-ზე 6-ჯერ

**დანართი**

**დავალებათა პასუხები**
ვერბალური ნაწილი
ანალოგიები: **1.** (ა) წინადადების შევსება: **1.** (დ) ლოგიკა: **1.** (დ)
წაკითხული ტექსტის გააზრება:
**1.** (ა) **2.** (დ) **3.** (გ) **4.** (გ) **5.** (გ) **6.** (დ) **7.** (ბ) **8.** (გ) **9.** (დ)

მათემატიკური ნაწილი
**1.** (გ) **2.** (ბ) **3.** (გ) **4.** (გ) **5.** (ა)

მოკლედ

## რეკორდები მეხიკოში

მეხიკოში დასრულდა საჭადრაკო ფესტივალი, რომლის დახურვის ცერემონიალზე ერთი მეტად საინტერესო რეკორდი დამყარდა. შედგა ერთობლივი სეანსი 13 500 საჭადრაკო დაფაზე. ეს რეკორდი გინესის წიგნში შევიდა.

ერთობლივ სეანსში მონაწილეობის მისაღებად 700-დე გროსმაისტერი იყო მიწვეული. ყველაზე დიდი ინტერესი ანატოლი კარპოვმა და ალექსანდრა კოსტინიუკმა გამოიწვიეს, სწორედ მათ მოუწიათ ყველაზე მეტ მოყვარულთან დაპირისპირება. კარპოვმა, ამასთან ერთად, კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა, მან 1951 წიგნზე დატოვა საკუთარი ავტოგრაფი.

## ამელია უარყოფს

მას შემდეგ, რაც სერიოზულად დაშავდა "ჩელსის" მეკარე პეტრ ჩეხი, არ წყდება საუბარი ლონდონურ კლუბში ახალი მეკარის მისვლაზე. ვისი გვარი არ გაჟღერდა ამასთან დაკავშირებით, ამბობდნენ "ჩელსის" მაისურს ბარტეზი მოირგებსო, შემდეგ საუბარი იყო ბუფონის ტრანსფერზე, კვირას ითქვა, რომ ლონდონელები "ლივორნოსა" და იტალიის ნაკრების მეკარე მარკო ამელიას ყიდულობენო, თუმცა ეს ჭორი თავად ამელიამ უარყო: "ამ ეტაპზე ამ თემაზე საუბარი საერთოდ უაზრობად მიმაჩნია, ჩემი მხრივ ახლა კლუბის შეცვლაზე ფიქრი "ლივორნოს" უპატივისმცემლობა იქნებოდა. მერწმუნეთ "ჩელსისგან" მოწვევა არ მქონია და კლუბის დატოვებას არ ვფიქრობ".

გუშინვე კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა, რომლის თანახმადაც ლონდონში ჩავიდა საფრანგეთის ნაკრები ყოვილი მეკარე სტეფან პორატო. 33 წლის კიპერი ამჟამად ფრანგული "აიაჩოს" ღირსებას იცავს.

## ლარსონი დიდ ფეხბურთს უბრუნდება

ჰენრიკ ლარსონმა გასული სეზონის დასრულების შემდეგ ფაქტობრივად დაასრულა საფეხბურთო კარიერა. ამჟამად იგი შვედურ "ჰელსინბორგში" თამაშობს, თუმცა შესაძლებელია ჰენრიკი კვლავ დაუბრუნდეს დიდ ფეხბურთს, როგორც ამბობენ "ასტონ ვილას" თავკაც დევიდ ოლირის ძალიან უნდა შვედი ფორვარდის გადაბირება. სავარაუდოდ, თუ ლარსონი ოლირის შეთავაზებას დათანხმდა, იგი ბირმინგემულ კლუბში სეზონის მეორე ნახევარში ითამაშებს.

## კაპელო კმაყოფილია

კვირას ესპანეთის პრიმერა დივიზიონში დიდი მატჩი გაიმართა. ესპანური სუპერკლასიკო მადრიდის "რეალის" დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. სამეფო კლუბმა ღირსეული რევანში აიღო გასულ სეზონში განცდილი სამარცხვინო მარცხის შემდეგ. "ბარსელონას" დამარცხება შესაძლოა "რეალის" აღზევების ათვლის წერტილადაც კი მივიჩნიოთ. მატჩის შემდეგ კმაყოფილებას არ მალავდა მადრიდელთა იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო: "ახლა უკვე ნამდვილ გუნდს ვგავართ. როცა კლუბში მოვედი ვთქვი, რომ ბრძოლისუნარიანი კოლექტივი უნდა ჩამოვაყალიბო. "ხეტაფესთან" განცდილი მარცხის შემდეგ ფეხბურთელებთან სერიოზული საუბარი მქონდა და ეტყობა ამან დადებითად იმოქმედა მოთამაშეებზე. მიმაჩნია, რომ ახლა არაფრით ჩამოუვარდებით იმავე "ბარსელონას".

ცხადია, კაპელოსავით კმაყოფილი ფრენკ რაიკაარდი ვერ იქნებოდა, თუმცა ჰოლანდიელმა აღიარა, რომ მეტოქემ სრულიად დამსახურებულად მოიგო: "უნდა ვაღიაროთ, რომ მარცხი დამსახურებული იყო, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩემმა გუნდმა ცუდად ითამაშა, გარკვეულწილად არ გაგვიმართლა. ამ თამაშის წაგებით ტრაგედიის შექმნა არ ღირს. ჩემპიონობის ბედი ერთ შეხვედრაში არ წყდება".

## ნუ ჩამოწერთ "ლივერპულს"

მას შემდეგ, რაც ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში "ლივერპული" "მანჩესტერთან" დამარცხდა, ბევრმა ჩათვალა, რომ მერსისაიდული კლუბი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ველარ ჩაერევა. განსხვავებული აზრი აქვს სერ ალექს ფერგიუსონს: "არა მგონია, რომ ამ მარცხის გამო "ლივერპულის" ჩამოწერა ღირდეს. დარწმუნებული ვარ სეზონის მეორე ნახევარში ეს გუნდი სულ სხვა ფეხბურთს აჩვენებს. რაფა ძლიერი მწვრთნელია და შეძლებს კრიზისის დაძლევას".

## სტვენას არ ვიმსახურებდით

იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში "მილანი" საკუთარ მინდორზე "პალერმოსთან" დამარცხდა. მატჩის შემდეგ "სან სირომ" "მილანი" მინდვრიდან სტვენით გააცილა.

"მეორე გაშვებულ გოლამდე ურიგოდ არ გვითამაშია. სტვენას კი ნამდვილად არ ვიმსახურებდით, თუმაც გულშემატკივართა დამოკიდებულება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და შევეცდებით, რომ მომალში ფანებს სტვენის საბაბი არ მივცეთ", - განაცხადა მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ.

## ტაისონის მიმდევარი

ყველას კარგად ახსოვს ოდნავ კურიოზული ინციდენტი, რომელიც მაიკ ტაისონისა და ევანდერ ჰოლიფილდის კრივის დროს მოხდა, რკინის მაიკმა მეტოქეს ყურზე უკბინა. ეს ამბავი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ახლა კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ეტყობა ცნობილ მოკრივეს ფეხბურთელი მიმდევარი გამოუჩნდა. ინგლისის ჩემპიონატის უკანასკნელი უტრის შეხვედრაში "ტოტენჰემსა" და "ვესტ ჰემს" შორის არგენტინელმა მასკერანომ ჯერმაინ დეფოს წინააღმდეგ იუხეშა. მსაჯმა არგენტინელ ნახევარმცველს ყვითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ "დეზების" ფორვარდმა ჩათვალა, რომ სასჯელი საკმარისი არ იყო და მასკერანოს ყურზე უკბინა.

აღსანიშნავია, რომ ამ ინციდენტის გამოძიება ინგლისის სპორტის მინისტრმა მოითხოვა, თუმცა ეტყობა იმის დამტკიცება, რომ დეფომ მართლა უკბინგა მასკერანოს ყურზე, რთული იქნება.

"არგენტინელს ყურზე ნაკვალევი არ აქვს, ალბათ ჯერმაინს მისთვის არც უკბენია", - განაცხადა "ტოტენჰემის" მწვრთნელმა მარტინ იოლმა.

## მალუდასა და ფრედის გარეშე

"მარსელისა" და "ლიონის" დაპირისპირებაში ჟერარ ულიეს გუნდმა კი გაიმარჯვა, მაგრამ ორი მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა. ტრავმები მიიღეს ფლორინ მალუდამ და ფრედმა, სავარაუდოდ ორივე რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს და "ლიონს" ვერც ჩემპიონთა ლიგის მატჩში დაეხმარებიან.

## ბოლონის დაითხოვენ

"მონაკომ" სეზონი საკმაოდ სუსტად დაიწყო, კლუბის მესვეურების აზრით, ეს პირველ რიგში ლასლო ბოლონის ბრალია, რომელიც სწორედ სეზონის დასაწყისში ჩაუდგა სათავეში მონეგასკურ კლუბს. ფრანგულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბოლონის უახლოეს დღეებში დაატოვებინებენ თანამდებობას.

## რონალდო ახალ როლში

ალბათ მულტსერიალ "სიმპსონების" შესახებ უკვე ყველამ იცის. ეს სერიალი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში. მომავალი წლიდან ამ უცნაური ოჯახის ახალი სერიები გამოვა. აღსანიშნავია, რომ მულტსერიალს ერთი მუდმივი პერსონაჟი დაემატება - ეს იქნება ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რონალდო, რომელიც სიმპსონების ოჯახში ამღზრდელად დაიწყებს მუშაობას.

ახალი სერიები, როგორც უკვე გითხარით, მომავალ წელს გამოვა ცისფერ ეკრანებზე, საინტერესოა რას ასწავლის ფეხბურთელი ბარტსა და ლიზას.

## მორატი მოურინიოს გადაბირებას ცდილობს

სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა გუშინ იტალიურ მედიაში, თურმე "ინტერის" მფლობელი მასიმო მორატი ჟოზე მოურინიოს გადაბირებას ლამობს, მეტიც მორატი უკვე შეხვდა "ჩელსის" პორტუგალიელ მწვრთნელს და მასთან მოლაპარაკებაც შემდგარა.

ამჟამად "ჩელსიში" მოურინიოს წელიწადში 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს უხდიან, საინტერესოა რამდენს შესთავაზებს მორატი პორტუგალიელს, რათა გადაიბიროს.

# ჯაბა კანკავამ "შახტარი" დააშამათა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში უკრაინის ჩემპიონატის მე-11 ტურში ქართველ გულშემატკივართათვის სასიამოვნო სენსაცია დაფიქსირდა: უკრაინული ფეხბურთის აღიარებული გრანდი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მონაწილე დონეცკის "შახტარი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა კიევის "არსენალთან" ანგარიშით 0:1. ჩვენთვის კი ყველაზე სასიხარულო ის ფაქტია, რომ ამ შეხვედრაში ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი კიევის "არსენალის" და საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველმა, ჯაბა კანკავამ გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ 20 წლის ქართველი ფეხბურთელი ამპლუით საყრდენი ნახევარმცველია და მეტოქეთა კარების დალაშქვრა მის პირდაპირ მოვალეობებში არ შედის, "შახტართან" გატანილი გოლი გამონაკლისი ნამდვილად არ არის. მიმდინარე ჩემპიონატში კანკავამ უკვე სამი გოლი გაიტანა და სამივე მნიშვნელოვანი: ქართველი ლეგიონერის ამ გოლების წყალობით "არსენალმა" ორჯერ ანგარიშით 1:0 მოიგო, ერთი შეხვედრა კი ფრედ დაასრულა. შესაბამისად, "არსენალის" მიერ მოპოვებული 18-დან 7 ქულა ერთპიროვნულად ჯაბა კანკავას ანგარიშზეა. სიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა ეს გოლები არა რაიმე მახვილგონივრული კომბინაციის და საგოლე პოზიციაზე გასვლის შემდეგ გაიტანა, არამედ შორეული დარტყმების წყალობით, რაც კიდევ უფრო ზრდის ჩვენებურის დამსახურებას. ჯაბა კანკავასთან გუშინდელი სატელეფონო საუბარი სწორედ "შახტართან" თამაშით დავიწყეთ.

- დასამალი არ არის, რომ "შახტართან" მატჩში, თანაც გასვლით შეხვედრაში, ყველანი ფრეზე ყაბულს ვიყავით. ზავაროვმა ("არსნეალის" მთავარი მწვრთნელი, რედ.) დაცვაზე ორიენტირებული ტაქტიკა აირჩია, რაც მოულოდნელი არ ყოფილა. თუ არ ჩავთვლით კიევის "დინამოს", "შახტართან", თანაც სტუმრად, თუნდაც ქულის მოპოვება უკრაინაში ბრწყინვალე შედეგად ითვლება. ხშირად კიევის "დინამოს" ასეთი ქულა კიევის "დინამოსთვისაც" არაერთხელ გამხდარა სანატრელი. შესაბამისად, პირველ ტაიმში და მთლიანად მატჩში ჩვენი ძირითადი მოვალეობა იყო საკუთარი კარის "მშრალად" შენახვა, რაც შეხვედრის პირველ ნახევარში თავდადებული თამაშის წყალობით მოვახერხეთ კიდეც. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ პირველ ორმოცდახუთ წუთში ჩვენს კართან სახიფათო მომენტების მაინცა და მაინც დიდი სიმრავლე არ ყოფილა. "შახტარმა" ორი მწვავე შეტევა განახორციელა და ორივეჯერ - სტანდარტული მდგომარეობების გათამაშების ხარჯზე. მეორე ტაიმიც იგივე განწყობით დავიწყეთ და 64-ე წუთზე გოილის გატანა მოვახერხეთ. ამის შემდეგ მთელი გუნდით საკუთარ საჯარიმოში ჩავდექით და ანგარიშის შენარჩუნება მოვახერხეთ.

**- როგორ ვითარებაში გაიტანე გოლი?**

- კუთხურის ჩაწოდების უფლება მოვიპოვეთ. ჩამოწოდების შემდეგ მასპინძლებმა ბურთი მოიგერიეს. მე საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ვიყავი და ჩემკენ წამოსული მაღალი ბურთი თავით ერთ მეტოქეს ზემოდან გადავუგდე, შემდეგ კი შეუჩერებლად დავარტყი. ბურთი დაბალი ტრაექტორიით წავიდა და კარის კუთხეში შევარდა. "შახტარის" მეკარე დარტყმის მომენტს მის საჯარიმოში არსებული ფეხბურთელთა სიმრავლის გამო ვერ ხედავდა და რეაგირება ვერ მოახერხა.

**- "არსენალის" გამორჩეული ლიდერი ხარ. ეს მომეტი ადგილობრივ ფეხბურთელებს ხომ არ აღიზიანებთ?**

- ნამდვილად არა. "არსენალი" უაღრესად მეგობრული და ერთ მუჭად შეკრული გუნდია. ჩვენ მეგობრები ვართ მოედანზე, ძმაკაცები - მოედნის გარეთ. "არსენალის" წარმატებების მთავარი მიზეზი სწორედ ეს არის.

**- ეროვნულ ნაკრებში და "არსენალში" შენმა თანაგუნდელმა ლაშა ჯაკობიამ სერიოზული ტრავმა მიიღო. რამდენად ჩქარა გამოჯანმრთელდება ჯაკობია?**

- ლაშამ მუხლის ჯვარედინი იოგები დაიზიანა, რაც მართლა მძიმე ტრავმაა. მან უკვე გაიკეთა ოპერაცია და ამჟამად თბილისში იმყოფება. რამდენადაც ვიცი, იგი თამაშს მომავალი წლის თებერვლამდე ვერ შეძლებს.

**- "არსენალი" სატურნირო ცხრილში მესამე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს "დნეპრთან" და "კარპატთან" ერთად. ასეთი მაღალი სატურნირო მდგომარეობა შენი კლუბის ფინანსურ მდგომარეობას ნამდვილად არ შეესაბამება. "არსენალს" მეპატრონე არ ჰყავს და ცნობილია, რომ გუნდი დეკემბრის შემდეგ შეიძლება დაიშალოს. შენ რას აპირებ?**

- ამ გუნდში ისე კარგად ვგრძნობ თავს, რომ თუ სპონსორი გამოჩნდა, აუცილებლად დავრჩები. როგორც ვიცი, ამჟამად მიმდინარეობს სპონსორების მოძიების სამუშაოები. მე "არსენალთან" კონტრაქტი დეკემბრამდე მაქვს და თუ კლუბმა სპონსორი ვერ იშოვა, სხვა გუნდში მომიწევს გადასვლა. კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, თუმცა, უკრაინული გუნდებიდან რამდენიმე შემოთავაზება მაქვს. გავიმეორებ - დიდი იმედი მაქვს, რომ "არსენალი" არ დაიშლება და ამ კლუბში შევძლებ კარიერის გაგრძელებას.

**- საქართველოს ნაკრების ოთხივე ოფიციალურ შესარჩევ შეხვედრაში მიიღე მონაწილეობა. დღეს უკვე ცივი გონებით შეგიძლია შეაფასო ეს მატჩები...**

- შედეგით, რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილო ვარ. გარკვეულმა სუბიექტურმა და ობიექტურმა მიზეზებმაც შეგვიშალა ხელი. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ პირველი წელი არ არის, რაც ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობ და შემიძლია შევადარო თუნდაც შარშანდელი და წლევანდელი ნაკრები. პროგრესი ძალიან დიდია. კლაუს ტოპმიოლერი მართლაც ნამდვილი პროფესიონალი, ბრწყინვალე სპეციალისტი და დიდი გამოცდილების მქონე მწვრთნელია. თუ მას საქართველოს ნაკრებში მუშაობისთვის დიდი დრო მიეცემა, მაღალი კლასის გუნდს ჩამოაყალიბებს.

# მეფე წავიდა. გაუმარჯოს მეფეს!

პირველი გვერდიდან

ემოციები ორად იყო გაყოფილი. ერთნი "ფერარის" ბრაზილიელ მესაჭეს ფელიპე მასას ულოცავდნენ "ბრაზილიის დიდ პრიზზე" გამარჯვებას, მეორენი - "რენოს" ესპანელ მრბოლ ფერნანდო ალონსოს.

ფელიპეს გამარჯვება იმად იყო მნიშვნელოვანი, რომ ფორმულა 1-ის "ჯადოქრის" აირტონ სენას შემდეგ ბრაზილიაში ბრაზილიელს არ ემარჯვა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, რომელიც 13 წლის წინათ "იმოლაზე" (სან მარინოს დიდი პრიზი) ტრაგიკულად დაიღუპა, "ინტერლაგოსზე" სამჯერ - 1990, 1991 და 1993 შეძლო პირველობა. სენას დაღუპვის შემდეგ მის მემკვიდრედ რუბენს ბარიკელოს ასახელებდნენ, მაგრამ საკმაო ხნის განმავლობაში მიხაელის ჩრდილის ქვეშ ყოფნა უწევდა.

ამიტომაც იყო, დაჯილდოების ცერემონიალზე ფელიპე თანამემამულეებს წამდაუწუმ ბრაზილიის დროშისკენ რომ მიუთითებდა - მე თქვენ გამარჯვება მოგიტანეთო!

"ბრაზილიელებს შინ 13 წელიწადია არ უმარჯვიათ. ფანტასტიკურმა მანქანამ მაქცია სამყაროს უბედნიერეს ადამიანად. ვერც კი წარმოიდგენთ, ახლა რას განვიცდი. ოცნება ასრულდა!"

უჩვეულო ის იყო, რომ ლეგენად ქცეული მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონისთვის, თავდაპირველად "მზეჭაბუკად", მოგვიანებით კი "წითელი ბარონად" შერაცხული მიხაელ შუმახერისთვის არავის ეცალა. არადა, კაცმა ბრაზილიის დიდი პრიზით საკუთარ ბრწყინვალე კარიერას დაუსვა წერტილი.

და ვინ დარჩა სამეფო ტრასებზე? ამბობენ, შესაძლოა დიდი მიხაელის ადგილი ფერნანდო ალონსომ დაიკავოსო. ყოველ შემთხვევაში, ესპანელი ერთადერთია დღევანდელ მრბოლებს შორის, ვინც მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსით სარგებლობს. ამასთან, ალონსომ ზედიზედ მეორედ მოიპოვა ჩემპიონობა. თანაც ვისთან ჭიდილში!



მასამ ბრაზილიას გამარჯვება გაახსენა.

2007 წელი შუმახერის გარეშე ბევრს ვერც წარმოუდგენია, მაგრამ ფაქტია, მიხაელმა წასვლა ისურვა. დარჩნენ ალონსო, კიმი რაიკონენი, ჯენსონ ბატონი, ფელიპე მასა. მომავალში სწორედ ამ ოთხეულის ოსტატობით უნდა დავტკბეთ. შეძლებს თუ არა ესპანელი გაისად წარმატებას, რთული სათქმელია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ 2007 წლიდან "მაკლარენ-მერსედესის" ღირსების დაცვა მოუწევს. მაკლარენელებს კარგი ბოლიდები კი ჰყავთ, მაგრამ სტაბილურობით არ გამოირჩევიან. მეორე ის, რომ რამდენადაც კარგი არ უნდა იყოს ბრიტანული საჯინიბოს ბოლიდი, მასთან შეგუება, საკუთარ ჭკუაზე მოყვანაა საჭირო. ერთი სიტყვით, გასახედნია.

დღევანდელი გადასახედიდან, გაისად ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატი სკუდერიელთა გუნდი უნდა იყოს. ეგაა, გასარკვევია, იტალიელები პირველი მრბოლის სტატუსით ვის დაასაჩუქრებენ, ფელიპე მასას, რომელიც "ფერარის" აშკარად წარმატებით მოერგო, თუ ცივსისხლიან კიმი რაიკონენს, რომელსაც ყველანაირი მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ ჩემპიონი გახდეს. რაც შეეხება ჯენსონ ბატონს, ის, როგორც ჩვენში იტყვიან, პერსპექტიული ბიჭია.

ერთი სიტყვით, ფორმულა 1-ის 57-ე მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა. ფერნანდო ალონსომ ბრაზილიაში მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ ზედიზედ მეორედ დაიდგა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი. ფრანგული საჯინიბო იმავდროულად კონსტრუქტორთა ჩათვალშიც გახდა ჩემპიონი, რაც ჯანფრანკო ფიზიკელას დამსახურებაცაა (მეექვსე ადგილი დაიკავა). ფელიპე მასამ რბოლა მოიგო და ამით ბრაზილიას აჩუქა სიხარული. მესამე ადგილით დაასრულა 2006 წლის ჩემპიონატი ჯენსონ ბატონმა. მიხაელ შუმახერი არც კვარცხლბეკზე მდგარა და არ ჩემპიონი გამხდარა (მეოთხემ დაასრულა რბოლა), მაგრამ ბრწყინვალე კარიერას დაუსვა წერტილი.

### მრბოლრთა საჩემპიონო დავა

1. ფერნანდო ალონსო .............134
2. მიხაელ შუმახერი .................121
3. ფელიპე მასა ...........................80

### კონსტრუქტორთა ჩემპიონატი

1. "რენო" ..................................206
2. "ფერარი" .............................201
3. "მაკლარენ-მერსედესი" ......110




ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

ს ი ა ხ ლ ე !

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

ჩვენ მივდევთ დროს!

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

ულტრათანამედროვე
სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს
ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8
ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## ყველაზე სექსუალური ავტომობილები

ბრიტანულმა სადაზღვევო კომპანია Yes Insuranse-მ ჩაატარა ავტომფლობელთა გამოკითხვა, რომლითაც ცნობილი გახდა, რომ ადამიანების 68 პროცენტს ერთხელ მაინც საკუთარ ავტომობილში სექსუალური კავშირი დაუმყარებია, თანაც, მათ 51 პროცენტს პირდაპირ მოძრაობის დროს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა 6 პროცენტი ამ დროს ავტოავარიაში მოჰყვა, რისი დადგენაც, კაცმა რომ თქვას, იყო კიდეც აღნიშნული გამოკითხვის მიზანი.

ამ მონაცემების შეგროვების შემდეგ იგივე სადაზღვევო კომპანია უკვე სექსუალური კონტაქტისათვის ყველაზე მოხერხებული ავტომობილების გამოვლენითაც დაინტერესდა და რეიტინგიც შეადგინა. გამოკითხულთა უმრავლესობამ ამ საქმისათვის უპირატესობა Volvo Estate-ს მიანიჭა, რომელიც თურმე საჭირო სივრცით გამოირჩევა. მეორეზე Mercedes Benz Sprinter Van გავიდა, მესამეზე კი VW Camper Van. საპატიო ათეულში კიდევ შევიდნენ: BMW3 Series Saloon, Ford Escort, Audi TT, Land Rover Discovery, Porsche Carrera და VW Golf. როგორც ხედავთ, მსოფლიოში ძლიერ პოპულარული იაპონური ავტომობილები სექსისათვის გამოუსადეგარი ყოფილა.

## Altadis-ის უძვირფასესი სიგარები



ფრანგულ-ესპანურმა თამბაქოს კომპანიამ Altadis-მა მადრიდში Cohiba-ს მარკის მსოფლიოში უძვირფასესი სიგარები Behike წარმოადგინა. ერთი საგარის ღირებულება 375 ევრო (420 დოლარი) გახლავთ. აღნიშნული სიგარები შარშან ჰავანას ფაბრიკა El Laguito-ში 4 ათასი ცალის ოდენობით Cohiba-ს მარკის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით დამზადდა. დასასრულს დავძენთ, რომ Behike ინდიელთა დიალექტზე შამანს ნიშნავს.

## აშშ-ს მოსახლეობამ 300 მილიონს გადააჭარბა

B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3245 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9958 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4747 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7435 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8141 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1257 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2953 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3043 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2010 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4068 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3353 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1975 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1473 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2724 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1894 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2565 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4083 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5469 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1078 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3331 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3208 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2615 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5703 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6266 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0649 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1096 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4567 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5146 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4151 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4504 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8377 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0295 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1364 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4452 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2385 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3860 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0777 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2207 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2239 |




# ეთნიკურ საფუძველზე წარმოშობილი დისკომფორტი

### რა აფერხებს რუსეთიდან საქართველოში კაპიტალის გადმოტანას

თინა შავაძე

*რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი ჩიხში შევიდა. მეზობელი ქვეყნის ოფიციალური პირები ბლოკადის მოხსნის კონკრეტულ ვადებს დღემდე არ ასახელებენ, რაც ემიგრანტი ქართველების მდგომარეობას უფრო ამძიმებს. ამის გამო, აშკარაა - ბევრი ქართველი საქმოსნის მიერ დაგროვილი კაპიტალი საფრთხის წინაშე დადგა. მიუხედავად ამისა, არც ერთი მათგანს საქართველოში დაბრუნების შესახებ განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. რამდენად შესაძლებელია კაპიტალის რეპატრიაცია, რა ოდენობის კაპიტალია ეს და მართლაც ფიქრობენ თუ არა ქართველი საქმოსნები სამშობლოში დაბრუნებაზე - ამ საკითხებზე "24 საათი" ექსპერტებს ესაუბრა.*




B2

# სამეურნეო თავისუფლება - ეკონომიკური წინსვლის საწინდარი

ამბროსი ბრიშიკაშვილი
*კრაკოვიდან*

*ვინმეს შეიძლება ისე ეჩვენებოდეს, რომ პოლონეთმა, რომელიც უკვე ნატო-სა და ევროკავშირის წევრია, თავი დააღწია პრობლემებს და ახლა მშვიდად და განცხრომით ცხოვრობს. ეს მხოლოდ შორიდან შეიძლება ჩანდეს ასე. შევეცდებით გესაუბროთ ზოგიერთ იმ ეკონომიკურ პრობლემაზე, რომელიც ამ ქვეყანას განსაკუთრებით აწუხებს...*

- როგორ გავზომოთ ეკონომიკური თანასწორობა
- პოლონეთში ეკონომიკურ ზრდაზე სწრაფად ბიუროკრატია იზრდება
- თუ სხვაგვარად შეუძლებელია, იძულებული ხარ, ქრთამი მისცე
- თავისუფლების არარსებობის უარყოფითი შედეგები
- თავისუფლება, არა მხოლოდ სამეურნეო ცხოვრებაში

B4

# Business Week-მა საუკეთესო ბიზნესსკოლები გამოავლინა

ნინო სურამელაშვილი

*ამერიკულმა ყოველკვირეულმა გამოცემამ Business Week-მა გამოკვლევა ჩაატარა, რომლის მიზანიც მგა-ს (Master of Business Administration) პროგრამების ეფექტურობის განსაზღვრა იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო სტრუქტურებში. პირველი ადგილი რეიტინგში ჩიკაგოს უნივერსიტეტმა დაიკავა.*

**სიახლეები ბიზნესის ნიჭიერი მაგისტრების ბაზარზე სასიკეთოა, ბიზნესსკოლების დეკანები და მასწავლებლები ერთ ადგილზე არ დგანან. ბევრი მათგანი უახლეს ისტორიაში ყველაზე ამბიციურ რეფორმებს ატარებს.**



B3

# ეთნიკურ საფუძველზე წარმოშობილი დისკომფორტი

პირველი გვერდიდან

"საქართველოს ბანკისგან" კონსულტაცია მოქალაქის სტატუსით მივიღე. ოფიცრის განმარტებით, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ შემიძლია საბანკო ანგარიშის გახსნა და ანგარიშზე ნებისმიერი ოდენობის, თუნდაც მილიონების შეტანა და, ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეყნის მოქალაქე ვარ.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, როცა საქართველოში ნებისმიერი ბანკის ანგარიშზე 30 ათას ლარზე მეტი თანხა ჩაირიცხება, მაშინ ბანკი ვალდებულია, ამ ფაქტის შესახებ ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აცნობოს. სამსახური იკვლევს, საიდან მოვიდა და რა საქმეში დაიხარჯება ეს თანხა. ზემოთ აღნიშნული სამსახურის უფროსი ნიკა გეგუჩაძე განმარტავს, რომ თანხის გადმოტანა რუსეთიდან ნებისმიერ ქართველს შეუძლია, ოღონდ ეს კაპიტალი იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკების გაყიდვითა და ადამიანებით ვაჭრობის გზით არ უნდა იყოს ნაშოვნი. როგორ უნდა დაამტკიცოს ემიგრანტმა, რომ ფული კრიმინალური გზით არ უშოვნია? გეგუჩაძე ამბობს, რომ არსებობს სქემები და ინფორმაციები ისეთი ადამიანების შესახებ, რომლებიც ტრანსნაციონალურ დანაშაულებში მონაწილეობენ. ეს გასაგებია, მაგრამ საშუალო ფენის ქართველი ემიგრანტები (რომლებმაც 100 ათასი დოლარის ზევით თანხა დააგროვეს) ამბობენ: "გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლებას ადვილად შეუძლია, ადამიანი დაადანაშაულოს, საბანკო ანგარიში დაუყადაღოს და ის კრიმინალად მიიჩნიოს. ამიტომაც, საქართველოში კაპიტალის დაბრუნება - ეს ერთი საფრთხიდან გაქცევა და უფრო დიდ საფრთხეში გადაჩეხვაა." სწორედ ამ მიზეზით ისინი საქმის ევროპის ქვეყნებში გადატანაზე ფიქრობენ.

საქართველოში საინვესტიციო შიმშილია. თითქმის ორი წელია, ქვეყანაში არ შემოსულა ისეთი მნიშვნელოვანი კერძო კაპიტალი, რომელიც ახალი ან ძველი საწარმოს ამოქმედების საფუძველი გახდებოდა. ამის მიზეზი უამრავია. სამთავრობო დონეზე დეკლარირებული განაცხადი - საქართველოს კარი ყველა ინვესტორისთვის ღიაა - ჯერ კიდევ ეჭვს იწვევს. მასმედია ხშირად ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ შევიდა პოლიცია საწარმოში, როგორ ჩამოართვეს საქართველოში უძრავი ქონება უცხოეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეს. მოკლედ, ქვეყანაში, სადაც ეკონომიკას ნიღბიანი სპეცრაზმელებით ებრძვიან, ეს ყველაფერი დამუხტულ გარემოს ქმნის და უარყოფითად მოქმედებს "დალაგებულ" ინვესტორზე. როგორც ამბობენ, ამის გამო არ მუშაობს საქართველოს პრეზიდენტის პროპაგანდაც. რა თქმა უნდა, თხოვნასთან ერთად სააკაშვილმა ემიგრანტ ბიზნესმენ ქართველებს გარკვეული გარანტიებიც უნდა შესთავაზოს. მით უმეტეს, ახლა, როცა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ბევრი ქართველი საქმოსნის მიერ დაგროვილი კაპიტალი საფრთხის წინაშე დადგა.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში კაპიტალის კონცენტრაცია დიდია, მაგრამ იქაური საქმიანი წრეების ინტერესები განვითარებულ ბაზრებს უკავშირდება. დღემდე არა მარტო საქართველო, არამედ მთლიანად დსთ-ს სივრცის ქვეყნები კაპიტალის მოზიდვის მინიმალურად აუცილებელ პირობებს ვერ პასუხობს. შეიძლება ითქვას, რომ კერძო სექტორში ქართველებს აქვთ გარკვეული მიღწევები და ეს, ძირითადად, მაინც დსთ-ს სივრცის ქვეყნებით შემოიფარგლება. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი გასვლა მსოფლიო ასპარეზზე 10-12 წლის წინ დაიწყო. გლობალური მასშტაბით, განვითარებულ ქვეყნებში ქართველი ემიგრანტების ინტეგრირება არ არის წარმატებული. მაქსიმალური პოზიციები, რაც საქართველოდან წასულ მოქალაქეებს უჭირავთ - ან სტუდენტია, ან ისეთი ტიპის ემიგრანტი, რომელიც ყოველდღიური გამომუშავებით არის დაკავებული და არა დიდი კაპიტალის დაბანდებით ან დაგროვებით.

ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენს საზოგადოებას რუსეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს, რასაც ადასტურებს ის შთამბეჭდავი ციფრი, რომელიც მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩვენი მოსახლეობის კონცენტრაციას ასახავს. იქ 700-800 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ისინი შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ: ვინც ყოველდღიურ გამომუშავებაზე მუშაობს (დაბალი ფენა) და ის, ვინც მცირე და საშუალო ბიზნესითაა დაკავებული. ბიზნესმენთა ფენა, რომელმაც მოახერხა ეკონომიკური ინტეგრაცია და ბიზნესში საკმაოდ მაღალ პოზიციებს მიაღწია, ქართული ფსიქო-კულტურული მენტალობიდან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ მათი ცხოვრების ბოლო მაინც საქართველოშია. ბუნებრივია, ამაზეა მიბმული მათი სამომავლო გეგმები და ცდილობენ დაგროვილი კაპიტალი, როგორმე, საქართველოში მშვიდობიანად გადმოიტანონ.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის პეზიდენტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი დიმიტრი ჯაფარიძე ამბობს: "ვფიქრობ, კაპიტალი საკმაოდ შთამბეჭდავია. თავი დავანებოთ იმ ქართველ ბიზნესმენებს, რომლებმაც ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწიეს. საქმე ეხება რუსული რეალობისთვის უმნიშვნელო მაჩვენებლებს, რომელიც საქართველოსთვის საკმაოდ დიდია. გამოკვლევებიც ადასტურებს, რომ საშუალო ფენის ქართველმა ემიგრანტებმა 300-500 ათასი დოლარი იშოვეს. საქართველოსთვის ეს სოლიდური კაპიტალია, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფისთვის საკმარისია. ამ პროექტის პერსპექტივაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ რუსეთში შეიქმნა დისკომფორტი ეთნიკურ საფუძველზე და ის გასცდა ქუჩას, მეტროს, სადგურს, და ნელ-ნელა მაღალ ფენებსაც შეეხო. ეს კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც, ვთქვათ, არის სტიმული იმისა, რომ ქართველმა ემიგრანტებმა სამშობლოში დაბრუნებაზე და კაპიტალის გადმოტანაზე იფიქრონ. მით უმეტეს, ახლა არის ამის პირობები. სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენების გამო ახლა აბსოლუტურ ზენიტშია ის იდეოლოგიური მიმართულება, რომ "ქართველები ცუდები არიან, დისკომფორტს უქმნიან რუსეთს საერთაშორისო ასპარეზზე", და ეს პროპაგანდა გადადის ქართველი წარმომავლობის ადამიანების ზურგზე. ამიტომაც ის, ვინც მცირე ან დიდ კაპიტალს ფლობს, აქტიურად ფიქრობს სამშობლოში დარუნებაზე. ეს არის ის მასტიმულირებელი ელემენტი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ უნდა გამოიყენოს და დაიწყოს რეალური ხელშეწყობა იმისთვის, რომ ჩვენი ფული საქართველოში დაბრუნდეს."

მილიონერმა ქართველმა ემიგრანტებმა - ბიძინა ივანიშვილმა, ბადრი პატარკაციშვილმა და კახა ბენდუქიძემ მოასწრეს სამშობლოში კაპიტალის რაღაც ნაწილის გადმოტანა. მაგრამ დღეს მათ ხშირად ახსენებენ, როგორ იშოვეს ფული და ამას სხვადასხვა წრეებში ზემოქმედების საშუალებად იყენებენ. რა თქმა უნდა, არსებული მდგომარეობის შესახებ კარგად იციან რუსეთში მცხოვრებმა დანარჩენმა მილიონერებმა და ისინი, არსებული საფრთხის მიუხედავად, ევროპის ქვეყნებში საქმის გადატანაზე ფიქრობენ.

საქართველოს ხელისუფლება დიდხანს საუბრობდა ფინანსურ ამნისტიაზე და პარალელურად სასამართლოებში კერძო სექტორზე შეკერილ საქმეთა რაოდენობა იზრდებოდა - ჩნდებოდა შიშიც. მიღებული ცუდი კანონის გამო ფინანსური ამნისტია არაეფექტური აღმოჩნდა. სხვა შემთხვევაში, ქართული წარმომავლობის საქმოსნები ფინანსური ამნისტიით ისარგებლებდნენ და ახლა მათ მიერ რუსეთში დაგროვილ კაპიტალს ასეთი საფრთხე არ შეექმნებოდა. ამ ხალხის საქართველოში დასაბრუნებლად ხელისუფლებამ მასტიმულირებელი ნაბიჯები უნდა გადადგას. დიმიტრი ჯაფარიძის შეფასებით, იმ ოდენობის თანხა, რომელსაც რუსეთიდან ველოდებით, თუ ეტაპობრივად დაიძრა, ქვეყანას 5-6 წლის განმავლობაში საინვესტიციო შიმშილს მოუხსნის. ქვეყანა კაპიტალის მოსაზიდი ისეთი სამოთხე უნდა გახდეს, რომლის მსგავსიც მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე და განვითარებულ ქვეყნებში არ არსებობს. ერთი რამ უნდა გავიგოთ - კაპიტალი რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს, ის მაინც პროდუქტიული საზოგადოებისკენ მიილტვის, სადაც მშვიდ და ცივილიზებულ გარემოში იარსებებს. ამიტომაც დიდხანს ლოდინი არ შეიძლება, ახლა უნდა დაიწყოს დიამეტრულად განსხვავებული ქმედებები ეკონომიკის ასაღორძინებლად. უნდა მოხერხდეს იმ კაპიტალის მოზიდვა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოიშვა, ხოლო მოგვიანებით, პოლიტიკური არასტაბილურობისა და სხვა მიზეზთა გამო, ამ ქვეყნის გარეთ აღმოჩნდა. მრავალმა ქვეყანამ, ფინანსური ამნისტიის გამოცხადებით, მოახერხა გადინებული კაპიტალის რეპატრიაცია ანუ დაბრუნება მშობლიურ გარემოში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კაპიტალის პატრონს ძალიან სპეციფიკური აზროვნება აქვს. ის ფიქრობს - თუ ქართველი საკუთარი ფულით ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში რაღაც შეფერხებებია და კაპიტალის ჩასადებად იქ უსაფრთხო გარემო არ არსებობს.

## საქართველომ ზამთრისთვის თხევადი გაზის შემოტანა, შესაძლოა, თურქმენეთიდანაც დაიწყოს

საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი აცხადებს, რომ ზამთრის პერიოდში ქვეყანაში თხევადი აირის დეფიციტის შექმნა ნაკლებად სავარაუდოა. მისი თქმით, ამჟამად საქართველოში თხევადი აირი აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან შემოდის. "თუმცა, ბოლო თვეების განმავლობაში აზერბაიჯანიდან შემოტანილი ეს პროდუქტი საქართველოს მოთხოვნილებას სრულად ვერ აკმაყოფილებს. ჩვენი ინფორმაციით, აზერბაიჯანი ამ პროდუქტს, საქართველოს გარდა, თურქეთსა და ევროპაშიც ჰყიდის. თუ აზერბაიჯანიდან თხევადი აირის იმპორტი სრულყოფილად ვერ განხორციელდება, საქართველოში თხევადი აირის ალტერნატიულ წყაროდ, შესაძლოა, თურქმენული გაზი აირჩიონ. ჩვენი კომპანიები მასზე გადასვლას უკვე აქტიურად იწყებენ. თუმცა თურქმენეთიდან შემოტანილი თხევადი აირი გაცილებით ძვირი დაჯდება, ვიდრე აზერბაიჯანიდან. აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ერთი ტონა თხევადი აირის საბაზო ღირებულება - 216, ხოლო თურქმენული - 360 დოლარია. ამას ემატება ტრანსპორტირების ხარჯები.

როდესაც ქვეყანაში აზერბაიჯანული და თურქმენული თხევადი აირი ერთმანეთს ენაცვლება, მაშინ კონკურენტული გარემო იქმნება და ორივეს შემომტანი კომპანიები შეეცდებიან პროდუქციის გაყიდვას. თუკი საქართველოში მხოლოდ თურქმენული აირის შემოტანა დაიწყება, ის აუცილებლად გაძვირდება," - განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა. **მედიანიუსი**

## სემეკმა თერთმეტ ენერგოსაწარმოს ლიცენზია ჩამოართვა

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიები თერთმეტ ენერგოსაწარმოს გაუუქმდა. როგორც სემეკში აცხადებენ, ამის მიზეზი ის გახდა, რომ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების უმრავლესობა ვერ ანაწილებს 120 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

როგორც ცნობილია, 2006 წლის 1 სექტემბრიდან ელექტროენერგიის განაწილების საქმიანობისთვის გასანაწილებელი ელექტროენერგიის მოცულობად სწორედ 120 მილიონი კილოვატსაათი დაწესდა.

ენერგოსაწარმოებისთვის ლიცენზიების გაუქმების მიზეზი გახდა ისიც, რომ ისინი ვერ ასრულებენ "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, ამ კანონის თანახმად, ელექტროენერგიის განაწილების საქმიანობა არის ორი ან მეტი მიწოდების პუნქტიდან ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიღება, განაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია და ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლებზე, "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით" დადგენილ მოცულობაზე მეტი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) რეალიზაცია, ასევე, ელექტროენერგიის გატარება მისი მომხმარებლებისთვის.

ზემოთ ხსენებული მიზეზებით, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიები შემდეგ ენერგოსაწარმოებს გაუუქმდა: შპს "სინათლე", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო "ფერმერი", შპს "გორგოტა", შპს "საქაერონავიგაცია", შპს "პატარა კახი", შპს "ენერგია" (წყალტუბო), "ელექტრომექანიკოსი", შპს "მცირე ენერგოკომპანია", სააქციო საზოგადოება "ენერჯი ინვესტი", სააქციო საზოგადოება "რუსთავის მეტალურგიული ქარხანა." **მედიანიუსი**

## პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დოკუმენტს მხარი დაუჭირა

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს "მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს მიერთების შესახებ".

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლილი ბეგიაშვილი განმარტავს, ეს დოკუმენტი ეხება ყველა მცენარეს და მცენარეული პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის საკითხს, რაც მავნე ორგანიზმების და ინფექციების გადატანის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამ დოკუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ ეს საკითხი საქართველოში უკვე დარეგულირდება საერთაშორისო სისტემით და ნორმატივებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მცენარეთა და მცენარეული პროდუქციის ექსპორტ-იმპორტისთვის საქართველოშიც იმოქმედებს შესაბამისი ლაბორატორია და ლიცენზიების გაცემის სამსახური. დოკუმენტი ძალაში მას შემდეგ შევა, რაც პარლამენტი მის რატიფიცირებას მოხადენს.

კომიტეტი ამ დოკუმენტს დადებით დასკვნას აძლევს, თუმცა კამათი გამოიწვია საქართველოში ამერიკული პეპლის მომრავლების საკითხმა. ფრაქცია მრეწველების წარმომადგენლის თამაზ ყაჭეიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საერთაშორისო სისტემასთან დაახლოებაზე საუბრობს, ამ ზაფხულს სამეგრელო და გურია ამერიკულმა პეპელამ შეჭამა. მისი თქმით, ხელისუფლება ამ საკითხის გადასაჭრელად სათანადო ზომებს არ იღებს.

ამ საკითხში ოპოზიციას, გარკვეულწილად, კომიტეტის თავმჯდომარეც დაეთანხმა. "არ შეგიძლიათ მიმართოთ მთავრობას, რომ ერთი ძველი ვერტმფრენი შეიძინონ, რათა ამ პეპლის მოწამვლა ვერტმფრენიდან მოხდეს. ეს ხომ არ არის შეიარაღება, რომ რუსეთის გაღიზიანება გამოწვიოს. ბოლოს და ბოლოს, ვიტყვით, რომ ამერიკულ პეპელას ვებრძვით და რუსეთს ეს სახელი მაინც დაამშვიდებს," - განაცხადა კოტე გაბაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქუთაისის ბიუჯეტში 5 მლნ. 465 ათასი ლარი გადაირიცხება

მთავრობის კანცელარიის ინფორმაციით, ტრანსფერიდან 1 მილიონ 973 ათასი ლარი მჭედლიძის, როძევიჩის, ირაკლი აბაშიძის, გაპონოვის, სოლომონ I-ის, გამარჯვებისა და ჯანელიძის ქუჩების საკანალიზაციო სისტემისა და გზების აღდგენას მოხმარდება.

512 ათასი ლარი კიბულისა და წერეთლის ქუჩებზე წყლის მილების შეცვლისთვის არის გათვალისწინებული. 500 ათასი ლარით თაბუკაშვილის და ლესელიძის ქუჩების, ასევე ავტოქარხნის სამხრეთი დასახლებების გაზმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია იგეგმება. 990 ათასი ლარი ქუთაისში ფასადების კაპიტალურ შეკეთებას მოხმარდება.

ტერიტორიული ბიუჯეტისთვის გამოყოფილი ტრანსფერიდან 760 ათასი ლარი მრავალპროფილიანი სახლების გადახურვის, 385 ათასი ლარი - შანიძის აღმართის, განათლების პირველი შესახვევის, ტყიბულის, ბაგრატის, ბარნოვისა და ნინოშვილის ქუჩების საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაციის, ხოლო 345 ათასი ლარი კი ღვარსადენის შეკეთებისთვის არის გამოყოფილი. **ინტერპრესნიუსი**

## ხვალ კახეთში ქართულ-იტალიური ღვინის ქარხანა გაიხსნება

25-27 ოქტომბერს კახეთში, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში გაიმართება ღვინის კომპანია "ბადაგონის" მთავარი საწარმოს - ევროპული სტანდარტების თანამედროვე ქართულ-იტალიური ღვინის ქარხნის გახსნის საზეიმო ცერემონიალი.

სტუმრები - მსოფლიოს გამოჩენილი მეღვინეები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, საზოგადოების ცნობილი სახეები იტალიიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, კანადიდან, ავსტრალიიდან, ჩინეთიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან თბილისს 24 ოქტომბერს ეწვევიან. მათ შორის არიან მსოფლიოს საუკეთესო მეღვინეთა ათეულის წევრი - ღვინის საერთაშორისო ლაბორატორია "ენოზისის" ხელმძღვანელი დოქტორი დონატო ლანატი, კომპანია "არმანიაკის" პრეზიდენტი ჟან-პიერ დარტიგალონგი, ცნობილი ფრანგი კინოსახიობი კაროლ ბუკე, უკრაინის რადას დეპუტატები, საქართველოს ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე, უკრაინელი საოპერო მომღერალი ვლადიმერ გრიშკო, უკრაინული ესტრადის ვარსკვლავი სვიატოსლავ ვაკარჩუკი.

დღეს, თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" ჩამობრძანებული სტუმრებისთვის გაიმართება ოფიციალური მიღება. პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში, მიღების დროს, კომპანია "არმანიაკის" პრეზიდენტი ჟან-პიერ დარტიგალონგი კომპანია "ბადაგონის" ორ წარმომადგენელს მიიღებს "არმანიაკის" რაინდთა საერთაშორისო ელიტური კლუბის მუშკეტერთა რიგებში.

25 ოქტომბერს ალავერდის ტაძარში, სადაც კომპანია "ბადაგონის" დახმარებით გაიხსნება ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ღვინის მარანი, მონასტრის მამები პირველად ჩამოასხამენ სამონასტრო ღვინოს და ბარძიმს.

იმავე დღეს ზემო ხოდაშენში სტუმრები მოინახულებენ თავად ქარხანას. 24-27 ოქტომბერს გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენლები, კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გახსნის ცერემონიალის დროს, ქართველი და უცხოელი სტუმრებისთვის გაიმართება საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლი "რუსთავი", ქართული ნაციონალური ბალეტი (სუხიშვილები), ნანი ბრეგვაძე, ქართული კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

კომპანია "ბადაგონის" ქარხნის გახსნას დაესწრება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. **მედიანიუსი**


GALT & TAGGART SECURITIES

23 ოქტომბერი 2006

საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 781,538 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 50,992,184 |

| 20-ოქტომბერი-2006 | | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.745 | ▼ | -0.20% | 2.65% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 602.2 | ▼ | -1.20% | 70.60% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 532.1 | ▼ | -1.01% | 66.08% |

GTBC ინდექსი (GEL) და სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




გაცვლითი კურსი GEL/US




სადეპოზიტო სერტიფიკატების საშ.შეწონილი % და ემისიის მოცულობა (GEL'000)




სადეპოზიტო სერთიფიკატების დაფარვის კალენდარი

| ემისიის დღე | დაფარვის დღე | ვადიანობა | საშ.% | მოცულობა (GEL'000) |
|---|---|---|---|---|
| 19-სექ-06 | 19-[illegible]-06 | 91 დღე | 11.74% | 412 |
| 21-სექ-06 | 21-დეკ-06 | 91 დღე | 11.99% | 400 |
| 25-სექ-06 | 23-[illegible]-06 | 28 დღე | 11.99% | 1,500 |
| 26-სექ-06 | 26-დეკ-06 | 91 დღე | 12.00% | 525 |
| 27-სექ-06 | 25-[illegible]-06 | 28 დღე | 11.98% | 2,000 |
| 28-სექ-06 | 28-დეკ-06 | 91 დღე | 11.73% | 1,000 |
| 29-სექ-06 | 28-[illegible]-06 | 28 დღე | 11.99% | 2,005 |
| 9-ოქტ-06 | 6-ნოე-06 | 28 დღე | 12.00% | 1,000 |
| 20-[illegible]-06 | 17-[illegible]-06 | 28 დღე | 11.99% | 1,000 |
| სულ | | | | 9,842 |

| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 12,830 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 391,243 |

საფონდო და ობლიგაციების ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 1.01%-ით შემცირდა 532.1-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 781.5 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები საქართველოს ბანკის ობლიგაციასა და თორმეტ აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო სამი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 1.48%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ფლობა, ფასმა დაიკლო 0.57%-ით) და გაერთიანებული ქართული ბანკი (UGB, გაყიდვა, ფასმა დაიკლო 28.29%-ით) საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპის აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 76.1% მოდიოდა.

**გასულ კვირას საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს "საქართველოს ბანკმა" (GSE: GEB), აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ განაცხადა,** რომელიც მიმდინარე წლის 6 ნოემბერს არის დანიშნული. აღნიშნულ კრებაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:
1) სს "საქართველოს ბანკის" დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება ბანკის სამომავლო გეგმებსა და სტრატეგიაზე, მათ შორის დეპოზიტარული ხელწერილების საშუალებით ბანკის აქციების ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ; 2) სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის შემცირება 5 წევრამდე და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა; 3) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების დამტკიცება; 4) სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა და სარევიზიო კომისიის წევრთა ანაზღაურების დამტკიცება; 5) ნებადართული კაპიტალის ფორმით სს "საქართველოს ბანკის" ახალი აქციების გამოშვება და ამგვარ აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება. ნავარაუდევია 7,127,210 ახალი აქციის გამოშვება დამატებითი კაპიტალის მოსაზიდად ეროვნული ბანკის ნორმატივებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკის საკრედიტო პორტფელის შემდგომი ზრდისათვის, ბანკის მიერ შემდგომი შესყიდვების განსახორციელებლად, ბანკის თანამშრომელთა საკომპენსაციოდ და აგრეთვე დღის წესრიგის პირველი საკითხის შესაბამისად განხილული მიზნებისათვის; 6) სს "საქართველოს ბანკის" წესდებაში ცვლილებების შეტანა.

ინფლაცია

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) 2006 წლის მე-2 კვარტლის ინფლაციის მაჩვენებლები გამოაქვეყნა.** აღნიშნული ინფორმაცის მიხედვით 2006 წლის მე-2 კვარტალში საქართველოში სამომხმარებლო ფასები გაიზარდა 4.1%-ით, ხოლო გასულ წელთან შედარებით 11.4%-ით. დოკუმენტშია აღნიშნულია, რომ ფასების მატება განაპირობა საერთაშორისო ბაზრებზე მეტალისა და ენერგომატარებლების ფასების ზრდამ და რომ საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა მიიღეს კოორდინირებული ზომები ინფლაციის შესამცირებლად. შედარებისათვის, 2006 წლის ივლისის მდგომარეობით წლიური ინფლაცია 14.5%-ს შეადგენდა, თუმცა სექტემბრის მდგომარეობით 11.2%-მდე შემცირდა. ეროვნული ბანკის პროგნოზის მიხედვით ინფლაციის მაჩვენებელი 8.3-9.0%-მდე უნდა შემცირდეს 2006 წლის ბოლოსთვის.

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.20%-ით დაეცა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 12.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 0.6 მლნ აშშ დოლარით მეტია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჯამში 2.5 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

GALT & TAGGART SECURITIES

საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 80, 19 ოქტომბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 21 | 19.50 | 19.58 | 19.55 | 134.3 | 10,275 | 200,898 | 329,969,797 | - |
| UTC | 19 | 0.65 | 0.75 | 0.70 | 93.3 | 47,700 | 33,205 | 71,852,732 | ფლობა |
| AMB | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 2,085 | 2,085 | 584,511 | რეკ. გარეშე |
| DAMK | 1 | 3.50 | 3.50 | 3.50 | na | 16 | 56 | 208,639 | რეკ. გარეშე |
| IND | 9 | 0.10 | 0.10 | 0.10 | na | 20,482 | 2,048 | 25,010 | რეკ. გარეშე |
| KR99 | 1 | 5.50 | 5.50 | 5.50 | na | 432 | 2,376 | 2,032,602 | რეკ. გარეშე |
| STP | 1 | 11.00 | 11.00 | 11.00 | 163.8 | 20 | 220 | 7,894,854 | რეკ. გარეშე |
| TUSB | 3 | 90.00 | 90.00 | 90.00 | -1.1 | 3 | 270 | 71,280 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 241,158 | | |

სესია No. 79, 17 ოქტომბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEBON | 2 | 101.35 | 101.35 | 101.35 | 0.8 | 8 | 811 | | - |
| GEB | 21 | 19.50 | 19.50 | 19.50 | 133.7 | 16,989 | 331,286 | 329,092,218 | - |
| UTC | 34 | 0.68 | 0.70 | 0.70 | 93.6 | 40,895 | 28,504 | 71,955,969 | ფლობა |
| UGB | 2 | 2.00 | 2.00 | 2.00 | 72.4 | 100 | 200 | 82,000,000 | გაყიდვა |
| STLM | 1 | 0.50 | 0.50 | 0.50 | na | 500 | 250 | 43,512 | რეკ. გარეშე |
| SMEL | 1 | 2.50 | 2.50 | 2.50 | na | 68,995 | 172,488 | 1,724,865 | რეკ. გარეშე |
| AGVQ | 1 | 1.50 | 1.50 | 1.50 | na | 4,530 | 6,795 | 90,296 | რეკ. გარეშე |
| DAMK | 1 | 3.50 | 3.50 | 3.50 | na | 13 | 46 | 208,639 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 540,380 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

16 ოქტომბერი, 2006 – 20 ოქტომბერი, 2006

| ოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.15 | 1.08 | 1.19 | 1.12 | -2.6 | 3,339,400 | 251.0 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.63 | 2.59 | 2.82 | 2.82 | 2.7 | 2,380,253 | 410.3 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.55 | 1.46 | 1.55 | 1.49 | -3.9 | 608,000 | 140.1 | ყიდვა |
| Frontera | GBP | 57.59 | 45.00 | 56.80 | 45.00 | -21.7 | 297,094 | 3,005.1 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფიც. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 19.55 | 1.48 | 134.30 | 19-ოქტ-06 | 532,184 | 329,969,797 | 17.4 | 67.7 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.1 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ფლობა | 0.70 | -0.57 | 93.33 | 19-ოქტ-06 | 61,709 | 71,852,732 | 9.4 | 7.9 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 2.00 | -28.29 | 72.41 | 17-ოქტ-06 | 200 | 42,000,000 | 10.0 | 5.0 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | გაყიდვა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 28-სექ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 11.0 |
| ყაზბეგი | KAZB | გაყიდვა | 5.00 | 0.00 | 100.00 | 21-სექ-06 | 0 | 14,000,000 | 42.7 | 7.1 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | გაყიდვა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.0 |
| რუსთავცემენტი | RUCE | გაყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 594,093 | 632,622,356 | | 100.0 |

ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შედეგები

16 ოქტომბერი, 2006 – 20 ოქტომბერი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | გაყ | საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 101 | 101 | 101 | - | 11.00 | 2 | 617 | 0.74 | B-/ B3/ B+ |
| პროკრედიტ ბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | -2 | 997 | 0.03 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა ყიდვა: 10%-20% ზრდა ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა, გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0179, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

## ინგლისურ-ჰოლანდიური და ინდური კომპანიები გაერთიანდნენ

ფოლადის მწარმოებელი ინგლისურ-ჰოლანდიური კომპანია "Corus"-ი ინდურ "Tata Steel"-ის წინადადებას დათანხმდა - "Tata" ერთობლივი საწარმოს შესასყიდად 6,4 მილიარდ ევროს გადაიხდის.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ეს თანხა გაცილებით მცირეა, მაგრამ ფოლადის მწარმოებელთათვის ეს გარიგება მომგებიანია, რადგან ინდური კომპანია მის ძველ ვალებსაც დაფარავს. მხოლოდ საპენსიო ფონდისთვის "Corus"-ს 190 მილიონი ევრო აქვს გადასახდელი.

სასაქონლო საქმის ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა მიეცემა მძიმე მრეწველობის განვითარების საქმეში, რადგან ინდური კომპანია, სიძლიერის მიხედვით, მსოფლიოში 56-ე ადგილს იკავებს, ხოლო ინგლისურ-ჰოლანდიური - მეცხრეს.

გაერთიანებით ერთობლივი საწარმო ყოველწლიურად 23 მილიონი ტონა ფოლადის წარმოებას მოახერხებს.

ეს გარიგება ინდური კაპიტალის ევროპულ ბიზნესთან გაერთიანების მეორე შემთხვევაა. პირველი იყო "მიტალ სტილისა" და "არქელორის" შერწყმა. ამ გარიგებაში ინდურმა მაგნატმა "ლაკშმიმ" "მიტალ სტილს" 26 მილიარდი ევრო გადაუხადა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩინეთი და ეგვიპტე ნავთობის სექტორში თანამშრომლობას აღრმავებენ

ჩინეთის კორპორაცია "შინოპეც"-ის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ვან ტიანპუმ და ეგვიპტის ნავთობის მინისტრმა შეთანხმებას მიაღწიეს. შეთანხმების შედეგად, ორ ქვეყანას შორის ნავთობის სექტორში თანამშრომლობა გაღრმავდება.

თანამშრომლობის ახალი სფეროები, შესაძლოა, გახდეს ნავთობგადამუშავება, გაზის დაზვერვა და მოპოვება, ასევე შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარება.

2005 წლის ოქტომბრის თვეში "შინოპეც"-მა და ეგვიპტის სახელმწიფო ნავთობკომპანია "Thawra Petroleum"-მა შექმნეს ერთობლივი საწარმო "Sino-Thawra Drilling Co.", სადაც პარტნიორების ერთობლივმა ინვესტიციებმა 18 მლნ დოლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთი ნავთობის მოპოვების შემცირებას არ აპირებს

რუსეთის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ანდრეი დემენტიევის განცხადებით, რუსეთი არ აპირებს, ოპეკის გადაწყვეტილება შეასრულოს და ნავთობის მოპოვება შეამციროს.

დემენტიევის თქმით, რუსეთი, ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, ზრდის ნავთობის მოპოვებას და არავის გავლენის ქვეშ მოქცევას არ აპირებს.

"რუსეთი არ არის ერთი ნავთობკომპანია და ოპეკის წევრი. ამიტომ მის წესებს ჩვენ არ დავემორჩილებით," - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

შეგახსენებთ, რომ ოპეკმა მიიღო გადაწყვეტილება, ნავთობის მოპოვების კვოტების 1 მლნ 200 ათასი ბარელით შემცირებასთან დაკავშირებით. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო ოპეკის გადაწყვეტილებას არადროულს უწოდებს

საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ აღნიშნა, რომ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) ინიციატივა ნავთობის მოპოვების კვოტების შემცირების შესახებ რამდენამდე არაადროულია.

სააგენტოს განცხადებით, ჩრდილოეთ ნახევარსფერო ზამთრის პერიოდში ნავთობზე მოთხოვნილების ზრდას მოელის, ასევე არსებობს რისკი მიწოდების შეფერხებასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მეთაურის კლოდ მანდილის თქმით, სავარაუდოდ, ეს ყველაზე არახელსაყრელი დროა ნავთობის მოპოვების შემცირებისათვის. **ჯი-ეიჩ-ენი**

# Business Week-მა საუკეთესო ბიზნესსკოლები გამოავლინა

პირველი გვერდიდან



ბიზნესსკოლების პროგრამებს სამი წლის განმავლობაში კრიზისული პერიოდი ედგათ; აბიტურიენტების რაოდენობის კლება, ბაზარი, რომელიც გულგრილად ხვდებოდა მგას ნიჭიერ კურსდამთავრებულებს და თვითკრიტიკული ანალიზის ეპიკური გამოხდომები ამ ხარისხის თაობაზე. კრიტიკოსები აკადემიურ წრეებში, და მათ გარეთ, ბიზნესსკოლების სტანდარტულ პროგრამას ყველაზე უსარგებლოსა და ყველაზე არასწორს უწოდებდნენ. საკადრო სააგენტოები, რომლებიც სხვა დროს სიხარულით იხდიდნენ 100 ათას დოლარზე მეტს ბიზნესსკოლის საუკეთესო კურსდამთავრებულებისათვის, შეშფოთდნენ და აცხადებდნენ, რომ ბევრ მათგანს საბაზრო მენეჯმენტის გამოცდილება აკლდა. ხარისხის მომავალი ეჭვქვეშ დადგა და ბევრ სკოლას მოუხდა თავისი პროგრამების რეალური სამყაროს მოთხოვნებსა და სირთულეებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირება.

დღეს მგა გაჯანსაღების გზას ადგას. მართალია, მოთხოვნილება ხარისხზე ისეთ პიკს ვერ აღწევს, როგორც 2002 წელს, მაგრამ სამწლიანი ჩავარდნის შემდეგ დღის სწავლებაზე განცხადებების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ბიზნესის მაგისტრებმა კი გრანტების მსხვილი პაკეტები მიიღეს, პირველად 1990-იანი წლების საპნის ბუშტის შემდეგ. "მრავალი წლის შემდეგ, ბიზნესის მაგისტრების სამუშაო ადგილების ბაზარი კვლავ ყველაზე ძლიერია, - ამბობს General Electric Co. -ს წამყვანი სპეციალისტი კადრების სფეროში სტივ კეინელი, - წინადადებები არც ისე ბევრია, მოთხოვნა კი იზრდება."

ჟურნალს მაგალითად "წარმატების ერთ-ერთი ისტორია" მოჰყავს, რომელიც ჩიკაგოს უნივერსიტეტთან - რეიტინგის ლიდერთანაა კავშირში. პრიტი განდის სასწრაფოდ სჭირდებოდა გრანტი. ახალი ონკოლოგიური პრეპარატების გამოკვლევა Pfizer Inc.-ში ძალიან მნიშვნელოვანი საქმე იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ ახალი პრეპარატის გამოტანას ბაზარზე, შესაძლოა, ათეული წელი დასჭირვებოდა. და 2002 წელს განდიმ, რომელიც მაშინ ოჰაიოს უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის 26 წლის კურსდამთავრებული იყო, ბიზნესკარიერაზე დაიწყო ფიქრი. ბიზნესის მაგისტრის ხარისხი პირველი ლოგიკური ნაბიჯი იყო, ხოლო ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბიზნესსკოლა, მისი არასტანდარტული რეპუტაციისა და სკოლის მსოფლიო დონის მასწავლებლების შემადგენლობის გათვალისწინებით, საუკეთესო ვარიანტი იყო.

სკოლამ იმედები გაამართლა. იქ ჩასულმა განდიმ დაინახა ახალი შენობა იტალიური მოედნით, სადაც სტუდენტები და მასწავლებლები იკრიბებოდნენ და ერთმანეთს იდეებს უზიარებდნენ, ხოლო დეკანი ედვარდ შნაიდერი გაუთავებლად იგონებდა ისეთ ამოცანებს, რომელთა წინაშეც ისინი არასოდეს მდგარან. განდის ყველაზე მეტად ჩიკაგოს პროგრამის ერთ-ერთი ასპექტი მოეწონა, რომელიც ნებას რთავდა პირველკურსელებს, მომდევნო კურსების ლექციებს დასწრებოდნენ. განდიმ ფინანსები, სტრატეგია და მარკეტინგი აირჩია, რამაც მას საშუალება მისცა, საზაფხულო სტაჟირება გაევლო Abbott Laboratories-ში.

ჩიკაგოს ბიზნესსკოლაში ჩაბარებამდე განდის ცოდნა ფინანსების სფეროში საკუთარ ჩეკების წიგნაკში ბალანსის ცნობებით ამოიწურებოდა. სწავლის დამთავრების შემდეგ კი ფინანსურ სფეროში ისე იყო გათვითცნობიერებული, რომ მაცდუნებელი წინადადება მიიღო კომპანიებისგან: Abbott Labs-ი, Deloitte Consulting-ი და Washington Mutual-ი. საბოლოოდ მან უფროსი ფინანსური მრჩევლის თანამდებობა აირჩია "Microsoft-ში", სადაც მისი ხელფასი დაახლოებით 100 ათასი დოლარია - იმაზე ორჯერ მეტი, რასაც Pfizer-ში იღებდა. "მე ისე მოვიქეცი, როგორც სწავლულს შეეფერებოდა - ფინანსურ სამუშაოს ტექნოლოგიების კომპანიაში მუშაობა ვარჩიე," - ამბობს განდი.

ნაწილობრივ ამითაც შეიძლება აიხსნას ჩიკაგოს სკოლის წინსვლა 2006 წლის ბიზნესსკოლების გამოკვლევაში, რომელსაც Business Week-ი ორ წელიწადში ერთხელ ატარებს. ჩიკაგოს სკოლას ყოველთვის ღირსეული ადგილი ეჭირა Business Week-ის რეიტინგებში. ამ გამოკვლევების დაწყებიდან (1988 წელს) დღემდე ის ხუთეულის უცვლელი წევრია. იქ ასწავლიან ლაურეატები, რომელთა შორის ერთ-ერთი - მაკარტურის "გენიოსების" გრანტის მფლობელი კევინ მერფია, ორი კი - ნობელიანტი. ამ სკოლის კურსდამთავრებულები არიან Goldman Sachs-ის, Morgan Stanley-ისა და Merrill Lynch-ის ყოფილი გენერალური დირექტორები. მაგრამ სკოლის რეპუტაცია სტუდენტებს შორის ყოველთვის არაერთგვაროვანი იყო: მას დიდად აფასებდნენ ისინი, ვინც მკაცრ ანალიტიკურ პროგრამას ეძებდა და ნაკლებად ისინი, ვინც აქცენტს მექანიკურ სამუშაოზე აკეთებდა. შნაიდერის რეფორმებმა, რომლებიც სტუდენტებთან ყოველკვირეულ საუზმეს და მათი მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესებასაც ითვალისწინებდნენ, როგორც ჩანს, ბევრი რამ შეცვალა.

პროგრამები, რომლებსაც მაღალი რეიტინგი ჰქონდათ წინა წლებში, კვლავ სიის სათავეში არიან მოქცეულები. უარტონის სკოლამ პენსილვანიის უნივერსიტეტში ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლა (მე-2 პოზიციაზე). ამას კი ძლიერი სავალდებულო პროგრამისა და არჩევითი საგნების ფართო ასორტიმენტის, აგრეთვე, სწავლისადმი არატრივიალური მიდგომის ხარჯზე მიაღწია.

თუმცა ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის კელოგის მენეჯმენტის სკოლამ დაკარგა პირველი ადგილი, რომელიც წინა წელს ეკავა, ის მხოლოდ მესამე საფეხურზე დაეშვა. სტუდენტები კვლავინდებურად აქებენ კელოგს მკაცრი მასწავლებლების, განთქმული სტუდენტური საბჭოს და მასწავლებლების, ასევე დასაქმების სააგენტოების მხრიდან მხარდაჭერის გამო, რომელსაც ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა "თითქმის მშობლიური" უწოდა.

წინადადებები მდინარესავით მოედინება და კურსდამთავრებულებს აქამდე არარსებულ ჰორიზონტს უშლის თვალწინ. 30 საუკეთესო სკოლის კურსდამთავრებულებმა საბოლოო ჯამში ორ წინადადებაზე მეტი მიიღეს ადამიანზე, რაც 20 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. ხოლო იმ სტუდენტების რაოდენობამ, რომლებსაც შეთავაზება არ მიუღიათ, მკვეთრად იკლო.

თუმცა სიახლეები ბიზნესის ნიჭიერი მაგისტრების ბაზარზე სასიკეთოა, ბიზნესსკოლების დეკანები და მასწავლებლები ერთ ადგილზე არ დგანან. ბევრი მათგანი უახლეს ისტორიაში ყველაზე ამბიციურ რეფორმებს ატარებს. მთელი ქვეყნის დეკანებმა გააცნობიერეს, რომ ტრადიციული პროგრამები, რომლებიც მკაცრადაა დაყოფილი დისციპლინებად, უკვე აღარ შეესაბამება "სიბრტყობრივ სტრუქტურას", რომელიც დღეს არის მოდაში ამერიკულ კომპანიებში. უფრო მეტიც, თვით მართვა გახდა უფრო რთული. ხელმძღვანელებს ყოველდღე უწევთ პლანეტის ყველა კუთხიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება რეალური დროის რეჟიმში და რესურსების კოორდინირება საზღვრებისა და საათობრივი სარტყლების მიღმა.

# აშშ-ს მოსახლეობამ 300 მილიონს გადააჭარბა

მერაბ ლორთქიფანიძე



17 ოქტომბერს, გრინვიჩის დროით 11:46 საათზე, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა 300 მილიონს გაუტოლდა. 39 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყნის მოსახლეობამ 200 მილიონი შეადგინა და 91 წელი - მას შემდეგ, რაც 100-მილიონიან ზღვარს გასცდა.

ამგვარად, მოსახლეობის მხრივ, აშშ-მ მსოფლიოში მესამე ადგილი განიმტკიცა ჩინეთისა და ინდოეთის შემდეგ, რომელთა რიცხოვნობა, უკვე დიდი ხანია, მილიარდს გასცდა. თუმცა, ურბანიზაციის დონით, შტატები ამ ორივე ქვეყანას გაცილებით აღემატება.

აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიუროს ინფორმაციით, მოსახლეობის ზრდის მიხედვით, განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთისა და დასავლეთის შტატები, სადაც ლათინოსი ამერიკელები სჭარბობენ. იმავე ბიუროს მონაცემებით, 2004-2005 წლებში ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ (დაბადებულებს მინუს გარდაცვლილები) 1,7 მილიონი შეადგინა. იმავე პერიოდში, ემიგრანტთა ხარჯზე, აშშ-ს მოსახლეობა მილიონით გაიზარდა.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ბუნებრივი მატება ფიქსირდება. ეს მაშინ, როცა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის დაახლოებით 98 პროცენტი განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე მოდის.

აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით, ქვეყანაში ყოველ შვიდ წამში იბადება ადამიანი, ყოველ 13 წამში კი - კვდება. იმავდროულად, ქვეყანაში იმიგრანტთა რაოდენობა ყოველ 31 წამში ერთი ადამიანით მატულობს. საშუალოდ კი, აშშ-ს მოსახლეობას ყოველ 11 წამში ერთი ადამიანი ემატება.

აღსანიშნავია, რომ 1967 წელს, როცა აშშ-ს მოსახლეობა 200 მილიონი გახდა, ქვეყანამ ეს დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა. მაშინ ჟურნალმა “ნიუსუიკმა” გამოთქვა ცნობილი მოსაზრება - “რაც მეტი, მით უკეთესი”. მაგრამ ის დრო წარსულს ჩაბარდა, ახლანდელი ამერიკელები კი შეშფოთებულნი არიან ქვეყანაში ემიგრანტთა რაოდენობის უსასრულო ზრდით.

უფრო მეტიც, თავისი კონსერვატორული შეხედულებებით ცნობილმა მწერალმა პატრიკ ბუშენანმა თავის წიგნში “საგანგებო სიტუაცია: მესამე მსოფლიო შემოსევა და ამერიკის დაპყრობა”, ქვეყანაში ემიგრანტთა მოზღვავებას “ისტორიაში ყველაზე დიდი შემოსევა” უწოდა. მან აშშ რომის იმპერიას შეადარა, რომელიც ბარბაროსთა შემოსევამ დასცა.

იმავდროულად, ქვეყანაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც. მაგალითად, გარემოს დაცვის ექსპერტი მიშელ რეპლოჟი თვლის, რომ ქვეყნის მოსახლეობის ზრდაში ემიგრანტთა წილის მატებას ქვეყანაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია. ის ირწმუნება, რომ ამით ვითარდება აშშ-ს ნაკლებად ურბანული რაიონები და სულაც არ ზარალდება გარემო.

და მაინც, აშშ-ს მთავრობა სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს თავის სამხრეთულ საზღვრებს, საიდანაც ქვეყანაში ემიგრანტთა დიდი რაოდენობა შედის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის ფაქტიც გახდა, რომ წელს ქვეყნის დიდ ქალაქებში ადგილი ჰქონდა იმიგრანტთა საპროტესტო გამოსვლებს, რომლებითაც ისინი აშშ-ს მოქალაქეობას მოითხოვდნენ. მათს ლოზუნგებზე ეწერა - “ჩვენ ვართ ამერიკა”, “ამერიკა იმიგრანტების ქვეყანაა” და ა.შ.

მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით, აშშ-ს მოსახლეობაში ყველაზე დიდი ბუნებრივი მატებით ლათინოამერიკელები გამოირჩევიან. ქვეყნის მოსახლეობაში მათი ხვედრითი წილი 1967 წელს მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენდა, ამჟამად კი ეს მაჩვენებელი 14 პროცენტამდეა გაზრდილი. უფრო მეტიც, პროგნოზებით ნავარაუდევია, რომ ლათინოსთა პროცენტული რაოდენობა 2050 წელს მეოთხედს მიაღწევს.

უცნობია, თუ 1915 წელს ვინ გახდა აშშ-ს მეასმილიონე ადამიანი. სამაგიეროდ, 1967 წელს მეორასმილიონე ადამიანად ჟურნალმა “ლაიფმა” აღიარა ახალშობილი რობერტ კენ ვუ უმცროსი. ახლა კი არავინ იცის, ვინაა ქვეყნის მესამასმილიონე ადამიანი - ახალშობილი, თუ იმიგრანტი. მნიშვნელოვანი ზღვარის გადალახვა ქვეყნის მოსახლეობის ზრდის მონაცემების გათვალისწინებით, მიახლოებით დაფიქსირდა. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ აღწერის ბიურომ, ისტორიისათვის, საპატიო მოქალაქეობა 17 ოქტომბერს, გრინვიჩის დროით 11:46 საათზე დაბადებულ რომელიმე ახალშობილს მიაკუთვნოს.

აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიურომ გამოაქვეყნა მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა აშშ-ს მოსახლეობა იმ თითქმის საუკუნოვან პერიოდში, როცა მისი რაოდენობა ასი მილიონიდან სამას მილიონამდე იზრდებოდა.

- 1915 წელს იმიგრანტ მოქალაქეთა შორის გერმანელები სჭარბობდნენ, 1967 წელს ყველაზე მეტი ჩამოსული იტალიელი იყო, 2006 წელს კი - მექსიკელია;
- 1915 წელს საშუალოამერიკული ოჯახი 4,5 წევრს ითვლიდა, 1967 წელს ეს მონაცემი 3,3-მდე შემცირდა, ახლა კი საშუალოამერიკული ოჯახი მხოლოდ 2,6 წევრისგან შედგება;
- 1915 წელს ამერიკელთა მხოლოდ 45,9 პროცენტი ფლობდა საკუთრებას, 1967 წელს ეს მონაცემი 63,6 პროცენტამდე გაიზარდა, ახლა კი 68,9 პროცენტს მიაღწია;
- 1915 წელს ქვეყანაში 65 წელზე ხნიერი 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა (მთლიანი მოსახლეობის 4,5%), 1967 წელს ეს მონაცემი 19,1 მილიონამდე გაიზარდა (9,5%), ახლა კი 36,8 მილიონს შეადგენს (12.4%);
- 1915 წელს ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 54,5 წელს აღწევდა, 1967 წელს ეს მონაცემი 70,5 წლამდე გაიზარდა, ახლა კი 77,8 წელს მიაღწია;
- 1915 წელს ქვეყნის ქალების 23% პროცენტი მუშაობდა, 1967 წელს დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი 41%-მდე გაიზარდა, ამჟამად კი 58%-ს მიაღწია;
- 1915 წელს აშშ-ში 2,5 მილიონი ავტომობილი იყო რეგისტრირებული, 1967 წელს ავტომობილების რაოდენობამ 98,9 მილიონს მიაღწია, ახლა კი 237,2 მილიონია;
- 1915 წელს აშშ-ში ყველაზე პოპულარული სახელები იყო ჯონი და მერი, 1967 წელს - მაიკლი და ლაიზა, ახლა კი - ჯეკობი და ემილი.

გარდა ამისა:

- თანამედროვე ამერიკელ მოქალაქეზე იმაზე ოცი პროცენტით მეტი დამუშავებული მიწის ფართი (სახლი, სკოლა, მაღაზიები და გზები) მოდის, ვიდრე ოცი წლის წინ;
- ყოველი ამერიკელი მსოფლიოს საშუალო მოქალაქეზე სამჯერ მეტ წყალს მოიხმარს;
- აშშ-ში ურბანიზაციის მაღალი დონე უარყოფითად აისახება გარემოზე. მაგალითად, ქვეყნის მთავრობას ათასზე მეტი მცენარე და ცხოველის სახეობა გადაშენების პირას მყოფთა სიაში აქვს შეტანილი;
- აშშ მსოფლიოში გამომუშავებული ენერგიის თითქმის მეოთხედს მოიხმარს. ეს მაშინ, როცა ამ ქვეყანაზე მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი მოდის;
- თანამედროვე საშუალო ამერიკელი დღეში 2,3 კილოგრამ ნაგავს ტოვებს, ეს კი განვითარებადი ქვეყნების შესაბამის მონაცემთან შედარებით თითქმის ხუთჯერ მეტია. შედარებისთვის, 1960 წელს საშუალო ამერიკელი დღეში 1,4 კილოგრამ ნაგავს ტოვებდა.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის შემცირებამ და კორპორაციულმა სიახლეებმა. გამონაკლისი გახლდათ კომპანია Ford Motor Co, რომელმაც უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში სარეკორდო, 5,8 მილიარდი დოლარის ოდენობის წაგების შესახებ განაცხადა. სამაგიეროდ, ერთობ დამაიმედებელი სიახლეები გავრცელდა საფინანსო, ტექნოლოგიური და ბიოქიმიური სექტორის წარმომადგენელი კომპანიებისაგან.




საბოლოოდ, Dow Jones Index 0,62 პროცენტით, 12.077,21 პუნქტამდე გაიზარდა. 0,06 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.361,38 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,44 პროცენტით, 1.374,56 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობი 59 დოლარი-ბარელზე იაფი ღირს

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე ვაჭრობა ძვავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მატებით დაიწყო, რაც გასული კვირის ბოლოს დაფიქსირებული გაიაფების გამო შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდით იყო განპირობებული, თუმცა, ვაჭრობის განმავლობაში კვლავ კლება დაფიქსირდა და ნავთობის ფასი 59 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა.

კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 58,87 დოლარი, რაც მიმდინარე წლის 12 ოქტომბრის შემდეგ დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია, Light-ის მარკის ნავთობი კი 58,54 დოლარი/ბარელი ღირდა.

ბუნებრივი აირის ფასმა ოდნავ მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,256 დოლარი შეადგინა. ბუნებრივი აირის გაძვირების მიზეზი კვლავინდებურად ცივი ამინდებისა და მეტეოროლოგთა არადამაიმედებელი პროგნოზის გამო შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდა გახლდათ.

ძვავი ოქროს" გაიაფების მიზეზი აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის კვლავინდებურად ზრდის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გახლდათ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების დღე-ღამეში 1 მილიონი ბარელით შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების რეალურ ეფექტს ბაზარი დეკემბრამდე ვერ შეიგრძნობს. ასე რომ, ექსპერტთა ვარაუდით, ძვავი ოქროს" ფასები დაახლოებით ამჟამინდელ დონემდე უახლოესი 4-5 კვირის განმავლობაში შენარჩუნდება.

## ძვირფასი ლითონები კვლავ გაიაფდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროს და სხვა ძვირფასი ლიფონების ფიუჩერსებზე ფასების კლება გოგრძელდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 1,1 პროცენტით მოიკლო და 588,5 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 1,3 პროცენტით, 11,752 დოლარი/უნციამდე, პლატინა 0,7 პროცენტით, 1081,7 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 1,2 პროცენტით, 327,7 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ძვირფასი ლითონების გაიაფება ნავთობის ბაზარზე არსებულმა სიტუაციამ და ჩრდილოეთ კორეის კრიზისის მშვიდობიანად მოგვარების იმედმა განაპირობა. სამაგიეროდ, არსებობს ირანის ირგვლივ სიტუაციის კვლავინდებურად დაძაბვის საშიშროება, რამაც ძვირფასი ლითონების ფასების უფრო მნიშვნელოვან კლებას ხელი შეუშალა.

## პანამა არხის რეკონსტრუქციას მხარს უჭერს

კვირას პანამაში ჩატარებული საერთო-სახალხო რეფერენდუმის წინასწარი შედეგების მიხედვით, ამ ქვეყნის მოსახლეობის 78,8 პროცენტი მხარს უჭერს მესამე დამბის აშენებისა და არხის გაფართოვების შესახებ მთავრობის მიერ გამოთქმულ ინიციატივას. ასე რომ, პანამის არხის ადმინისტრაციას უფლება ეძლევა 5,25 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელოს და არხი თანამედროვე, მსხვილტონაჟიანი გემებისათვის გამოსადეგი გახადოს და უზარმაზარი რიგებიც შეამციროს.

არხის ადმინისტრაციის თავკაცის ალბერტო ალემანას აზრით, იგი გვარიანად მოძველდა და თუ მოდერნიზაცია დროულად არ განხორციელდება, 2012 წლისათვის ნაოსნობისა და ვაჭრობისათვის სრულიად გამოუსადეგარი გახდება. აღსანიშნავია, რომ პანამის მთავრობის გათვლით, არხის მოდერნიზაცია ქვეყნის ეკონომიკას ძლიერ წაადგება და მას 2025 წლისათვის ჰოლანდიის დონემდე აიყვანს.

დღეისათვის, პანამის არხზე მსოფლიოს საზღვაო ბრუნვის 5 პროცენტი მოდის და მისი წლიური ექსპლოატაციიდან შემოსავალი 1,4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

## ჩინეთი მსოფლიოს უმსხვილესი ლუდისმხდელია

ანალიტიკური კომპანია Bloomberg-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შარშანდელი და მიმდინარე წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემების მიხედვი, მსოფლიოს უმსხვილესი ლუდისმხდელი ქვეყანა ჩინეთია. კერძოდ, ჩინეთი წელიწადში 3 მილიარდ დეკალიტრამდე ლუდს აწარმოებს. მეორე ადგილზე აშშ გახლავთ, რომელიც წელიწადში 2,3 მილიარდ დეკალიტრ ლუდს ხარშავს, მესამე

970 მილიონი დეკალიტრით გერმანიაა, მეოთხე ბრაზილიაა (920 მილიონი დეკალიტრი), მეხუთე კი რუსეთი (892 მილიონი დეკალიტრი). სულ, 2005 წლის განმავლობაში 15,76 მილიარდი დეკალიტრი ლუდი მოიხარშა.

## ბაფეტი Lloyd's ვალებიდან ამოათრევს

მილიარდერი უორენ ბაფეტი სადაზღვევო კომპანია Equitas Ltd-ს ვალებს გადაიხდის. Equitas Ltd მსოფლიოში ერთ ერთი უმსხვილესი სადაზღვევო გაერთიანების Lloyd's of London-ის შვილობილი სტრუქტურაა. ბაფეტის საინვესტიციო კომპანია Berkshire Hathaway Inc 7 მილიარდ დოლარს გამოყოფს Equitas Ltd-ს სადაზღვევო გადასახადების დასაფარად "ასბესტის საქმეში", სანაცვლოდ კი უფლება ექნება განკარგოს კომპანიის საკადრო საქმეები და ვალები. გარიგება Berkshire Hathaway-სა და Equitas Ltd-ს შორის საშუალებას მისცემს Lloyd's თვითონაც შეამციროს და თავის კერძო ინვესტორებსაც შეუმციროს "ასბესტის საჩივრების" ვალები.

## წყალქვეშ ცხოვრება ფანტასტიკური თანხის საფასურად

ბოლო დროს რამდენიმე პროექტი შემუშავდა მსხვილი ოტელ-ლუქსების ასაშენებლად, რომლებიც ზღვის ფსკერზე იქნება განლაგებული. წყლის სასახლეები, სადაც რამდენიმე ასეული მდიდრული ნომერი იქნება, უკვე ამ ათწლეულის ბოლოს უნდა გაიხსნას ბრაზილიაში, ჩინეთში, ომანსა და მონაკოში. პირველი ოტელი ჩინეთში გაიხსნება 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის. მშენებლობა, სავარაუდოდ, 750 მლნ დოლარი დაჯდება. აღსანიშნავია, რომ წყალქვეშა სასტუმრო უკვე არსებობს ამერიკაში, ფლორიდის ნაპირებთან. მისი ფართობი სულ რაღაც 183 კვმ-ია. ადრე ის წყალქვეშა ლაბორატორია იყო, შემდეგ კი ბიზნესმენებმა შეისყიდეს, სასტუმროდ გადააკეთეს და "ჟიული" დაარქვეს, ჟიულ ვერნის პატივსაცემად. "ჟიული" პატარა, არაპრეტენზიული სასტუმროა და სულაც არ ჰგავს ხუთვარსკვლავიან ოტელს, სამაგიეროდ ილუმინატორიდან შესანიშნავი ხედი იშლება. იქ ერთი დღით ცხოვრება 400 დოლარი ღირს, ერთადერთი უსიამოვნება მაღალი წნევაა. მდიდრული წყალქვეშა ოტელების მშენებლობის ექსტრავაგანტულ იდეას დუბაელი შეიხი, მოჰამედ ბენ რაშიდ ალ მაკტუმი აფინანსებს. დღესდღეობით ოტელ-ლუქსის დაპროექტება თითქმის დასრულებულია. ოტელში ერთი დღე-ღამის გატარება 500-1500 დოლარი ეღირება.

## ირანი ბირთვულ ციკლს აითვისებს

თეირანში პალესტინელების მხარდასაჭერად გამართულ მიტინგზე ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ ხუთი წლის სემდეგ ისლამურ რესპუბლიკას შეუძლია გახდეს ბირთვული საწვავის არამარტო ექსპორტიორი დასავლეთში, არამედ ნახევარ ფასადაც გაყიდოს ის. მან აგრეთვე ბრალი დასდო ეუთოს უსაფრთხოების საბჭოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უკანონობაში და კიდევ ერთხელ დაატეხა ისრაელს თავს კრიტიკა. რითიც განამტკიცა ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესაძლებლობა.

## სნოუმ ახალი სამსახური იპოვა

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ჯონ სნოუმ უკვე ახალი სამსახური იპოვა. Associated Press-ის ინფორმაციით, ის საინვესტიციო კომპანია Cerberus capital Management LP-ს უხელმძღვანელებს. კომპანია Cerberus-ს გენერალური დირექტორის სტივენ ფაინბერგის თქმით, კომპანია ჯონ სნოუს ფინანსურ საკითხებში დაგროვილ გამოცდილებას აფასებს, რომელსაც ისინი კომპანიაში აუცილებლად გამოიყენებენ. კომპანია Cerberus-ი კერძო კაპიტალსა და ფონდებს კურირებს, რომლის საერთო მოცულობაც 16,5 მილიარ დოლარს შეადგენს. ცოტა ხნის წინ, აღნიშნულმა კომპანიამ General Motors-ის ფინანსური განყოფილება 14 მილიარდ დოლარად იყიდა. ჯონ სნოუ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ უწყებას 2003-2006 წლებში ხელმძღვანელობდა. სნოუ მინისტრის პოსტზე ჰენრი პოლსონმა შეცვალა. სამოცდაათიან წლებში ჯონ სნოუ ამერიკის შეერთებული შტატების ისეთ უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიას ხელმძღვანელობდა, როგორიც არის კორპორაცია CSX.

## NYSE -ს პრეზიდენტმა 100 მილიონი დოლარი მიითვისა

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კომპანია NYSE-ს ყოფილ პრეზიდენტს რიჩარდ გრასოს 185 მილიონიანი პრემიიდან 100 მილიონის გადახდა მოუწევს. ეს პრემია მან თანამდებობიდან წასვილს შემდეგ მიიღო. სასამართლომ დაადგინა, რომ მთელი ათი წლის მანძილზე, კომპანიის ყოფილი შეფი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ხელმძღვანელის პოსტზე გადასვლამდე კომპანიის კუთვნილ თანხებს უკანონოდ ითვისებდა. გრასოს წინააღმდეგ ფინანსური თაღლითობის მუხლით სასამართლო გარჩევის პროცესი 2003 წლიდან დაიწყო. მისი 139 მილიონიანი საპენსიო დანაზოგების შესახებ ინფორმაციის დამალვის გარშემო ატეხილი სკანდალის გამო გრასო იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა. სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილების თანახმად რიჩარდ გრასო კომპენსაციის სახით, უკანონოდ მითვისებული ფულის საკმაოდ დიდ ნაწილს დააბრუნებს.

## ამინდი

| | 24/10 | 25/10 | 26/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 14 | 15 | 11 |
| რიგა | 13 | 12 | 8 |
| ვილნიუსი | 13 | 8 | 9 |
| მოსკოვი | 12 | 11 | 9 |
| მინსკი | 13 | 11 | 11 |
| პარიზი | 17 | 12 | 15 |
| რომი | 26 | 23 | 26 |
| ლონდონი | 15 | 13 | 10 |
| მადრიდი | 20 | 16 | 17 |
| ბონი | 17 | 11 | 14 |
| ვარშავა | 13 | 16 | 10 |
| ათენი | 26 | 25 | 26 |
| ბერნი | 17 | 18 | 20 |
| ამსტერდამი | 15 | 8 | 11 |
| ოსლო | 12 | 13 | 8 |
| ანკარა | 21 | 22 | 23 |
| ვარნა | 22 | 22 | 21 |
| დელი | 32 | 33 | 33 |
| ტოკიო | 19 | 16 | 20 |
| კოპენჰაგენი | 12 | 9 | 7 |
| ბაქო | 18 | 17 | 17 |
| ერევანი | 21 | 20 | 21 |
| ასტანა | 1 | 8 | 5 |
| ჰელსინკი | 9 | 10 | 0 |
| დუბლინი | 13 | 11 | 12 |
| ლისაბონი | 22 | 21 | 21 |
| პრაღა | 17 | 11 | 14 |
| სოფია | 20 | 20 | 21 |
| ბუდაპეშტი | 20 | 20 | 18 |
| ბუხარესტი | 21 | 22 | 21 |

# სამეურნეო თავისუფლება - ეკონომიკური წინსვლის საწინდარი

პირველი გვერდიდან



გამოჩენილი ინგლისელი მათემატიკოსი, ეკონომისტი და პოპულარული გამოთქმების ავტორი კირილ ნორტცოტ პარკინსონი, რომელიც განსაკუთრებით ბიუროკრატიის კრიტიკითაა ცნობილი, თავის წიგნში - "ხანგრძლივი ცხოვრების საფუძვლები" გამოყოფდა რამდენიმე ფაქტორს, მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან, აფერხებენ და ზიანს აყენებენ ეკონომიკის თავისუფლებასა და მოქალაქეთა უფლებებს.

მისი ნააზრევის მიხედვით, პირველი პრობლემაა ხელისუფლების მეტისმეტად ცენტრალიზაცია, მეორე - გადასახადების უზომო ზრდა, მესამე - ბიუროკრატიის მატება, ხელისუფლების უმაღლეს საფეხურებზეც კი. ეს უკანასკნელი იწვევს უდიდესი აპარატის წარმოშობას, რომელიც თავის თავს თანდათან უფრო და უფრო მეტი რაოდენობის საქმეების გადაწყვეტის უფლებას აძლევს და ნაცვლად იმისა, რომ დაეხმაროს (რისთვისაც მისი შექმნა იყო გამართლებული), სულ უფრო უშლის ხელს მოქალაქეებს ნორმალურ მუშაობაში. შემდგომი ფაქტორია სახელმწიფო თანამდებობებზე პარაზიტების მუშაობა, ასევე, სახელმწიფოს გაზრდილი ხარჯები და ბოლოს, მემარცხენე სენტიმენტალიზმი, რომელიც გვპირდება, რომ შექმნილ დოვლათს ყველას თანაბრად გაუნაწილებს და არ ითვალისწინებს იმას, რომ სწორედ ესაა უსამართლობა.

### როგორ გავზომოთ ეკონომიკური თანასწორობა

ამ რამდენიმე კვირის წინათ, 70 ქვეყნის დამოუკიდებელი ექსპერტების კომისიამ (მათ შორის, პოლონეთის ადამ სმიტის სახელობის ცენტრის თანამშრომლებიც იყვნენ) გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი.

ინდექსში, რომელმაც მსოფლიოს 130 ქვეყანა მოიცვა, პოლონეთს 53-ე ადგილი უკავია. ერთის მხრივ, ეს მისასალმებელია, რადგანაც გასულ წელს ამ ქვეყანას 73-ე ადგილი ეკავა, მაგრამ გულახდილები თუ ვიქნებით, საამაყო ამაში ბევრი არაფერია. ეს დასკვნა 2004 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა და, როგორც ექსპერტები მოელიან, შემდგომ ინდექსში ეს ქვეყანა კიდევ უფრო უარეს პოზიციაზე იქნება წარმოდგენილი.

დაკავებული პოზიცია სხვა მხრივაცაა დამაფიქრებელი. კერძოდ, ბევრი ქვეყანა, რომლებიც ასევე ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება, ამ მხრივ გაცილებით კარგს შედეგებს უჩვენებს. ინდექსში, მაგალითად, ესტონეთი 12-ე, ლატვია - 35-ე, ლიტვა - 40-ე, ხოლო სლოვაკეთი და ჩეხეთი - 45-ე ადგილს იკავებს (ცნობისათვის: საქართველოს ამ ინდექსში 34-ე ადგილი უკავია). პოლონეთის შემდეგ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან მხოლოდ ალბანეთი, რუმინეთი და რუსეთი არიან.

მოხსენებაში ინდექსის ავტორები იმასაც ხსნიან, თუ რატომ ხდება, რომ ქვეყანა ამ მაჩვენებლის მიხედვით ბოლო ადგილზე ექცევა, ანუ რა უშლის ხელს მათი ეკონომიკის განვითარებას. ესაა: გაზრდილი ბიუროკრატია, სასამართლო სისტემის ცუდი და მოუქნელი მუშაობა, კორუფცია და თანდათან მზარდი სახელმწიფო აპარატი, რომელიც ყოველწლიურად ზრდის ეკონომიკაში თავისი ჩარევის მასშტაბებს.

### პოლონეთში ეკონომიკურ ზრდაზე სწრაფად ბიუროკრატია იზრდება

როგორც ექსპერტები აცხადებენ, პოლონეთის ეროვნული მეურნეობა თანდათან კარგავს თავისუფლების ხარისხს: 1989 წლის შემდეგ სახელმწიფო აპარატის მოხელეთა რიცხვი 160 ათასიდან 530 ათასამდე გაიზარდა, სამართლებრივი აქტების რაოდენობა - 375-დან 2 ათასამდე, ხოლო იმ დაწესებულებების რაოდენობა, რომელთაც ფირმების შემოწმება ევალებათ - 16-დან 40-მდე.

წლიდან წლამდე იზრდება ასევე უმაღლესი დონის მოხელეთა რაოდენობა: ოთხი წლის წინათ მთავრობა 15 მინისტრით იყო დაკომპლექტებული, ახლა მათი რიცხვი 4-ით გაიზარდა. ყოველი მთავრობის კაბინეტს (სენატისა და სეიმის მხედველობაში მიუღებლად) ხელისუფლების ფუნქციის განსახორციელებლად ემსახურება 93 ცენტრალური დაწესებულება, სადაც 162 ათასი მოხელე მუშაობს, რომელთა საშუალო ხელფასი 3000 ზლოტია (ეს დაახლოებით 1000 დოლარია, 1 დოლარი დაახლოებით - 3,15 ზლოტი).

1989 წლის შემდეგ პოლონეთის ყოველი მომდევნო მთავრობა თავის დაწესებულებებს ზრდის, რომ აღარაფერი ვთქვათ ათასგვარ კომისიებსა და კომიტეტებზე, რომლებსაც გავლენა აქვთ საკანონმდებლო აქტების შექმნაზე და ხელისუფლების პოლიტიკის გატარებაზე.

და ეს ხდება მაშინ, როდესაც ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ბიუროკრატიას ამცირებენ, ეკონომიკას შეუძლია, შვებით ამოისუნთქოს.

მაგალითად, ინგლისელებმა, რომლებიც ზემოთ ნახსენები ინდექსის ლიდერები არიან, ბოლო 15 წლის მანძილზე ერთი მესამედით შეამცირეს სახელისუფლებო დაწესებულებების რაოდენობა. შედეგიც არ აყოვნებს: გამოკითხულ ბრიტანელთა 70 პროცენტი აცხადებს, რომ ბოლო ხანებში მათი ცხოვრება გაადვილდა და რომ სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეების მოგვარება ახლა გაცილებით მარტივად და მოკლე დროში ხდება, ვიდრე ადრე.

ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი კანადაშიც. კერძოდ, ამ ქვეყანაში ამ რამდენიმე წლის წინ, ერთი ხელის (კალმის) მოსმით 50000 ადამიანი გაანთავისუფლეს სახელმწიფო სამსახურიდან. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ადამიანები კანადის მთავრობას უპატრონოდ როდი დაუტოვებია. ხელისუფლებამ მათთვის გამოყო შეღავათიანი კრედიტები, რათა ამ უკანასკნელთ საშუალება ჰქონოდათ, კერძო ბიზნესი წამოეწყოთ. ეს მართლაც ასე მოხდა და სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში კანადაში ეკონომიკური კონიუნქტურა აშკარად გაუმჯობესდა.

ამასთან, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაც უფრო მრავალდება ბიუროკრატია, მით უფრო ჭირს კანონის გატარება. პოლონეთის Transparency International- ის ხელმძღვანელი იულია პიტერი აცხადებს, რომ წესებისა და რთული პროცედურების შემოღება ქვეყანაში არღვევს მოხელეთა მიერ კანონების შესრულებაზე კონტროლის დაწესებას და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას. არადა, თავისუფლებაზე, მათ შორის, ეკონომიკურ თავისუფლებაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ კანონების შესრულებას ვიღაც აკონტროლებს, მათზე ვიღაც იღებს პასუხისმგებლობას. სხვა შემთხვევაში, კანონი მხოლოდ ქაღალდზე დარჩება.

- რა მნიშვნელობა აქვს, კონსტიტუციაში ჩაწერილია თუ არა სამეურნეო საქმიანობის წამოწყების თავისუფლება? პრაქტიკაში მოხელეს შეუძლია დამიხუროს ფირმა, ვინაიდან იგი "ეჭვობს", რომ რაღაც უსამართლობა ჩავიდინე. თუნდაც დამტკიცდეს, რომ მე ეს უსამართლობა უნებლიე შეცდომით მომიხდა, მაინც დამაჯარიმებს, - აცხადებს ვარშაველი ბიზნესმენი ანჯეი რატკოვსკი და ამატებს: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროსაც ქაღალდზე მრავალი უფლება გვქონდა, მაგალითად, არჩევნების ჩატარების უფლება, მაგრამ პრაქტიკაში ტოტალიტარული სახელმწიფო ჩვენ არაფერს გვეკითხებოდა.

ჭეშმარიტება მართლაც ამ მეწარმის მხარესაა. ვისაც თავის დროზე (როდესაც პოლონეთი სოციალისტურ ბანაკში იყო) საშუალება ჰქონდა, პოლონეთში სამეურნეო ცხოვრებას (არა მხოლოდ სამეურნეოს) გასცნობოდა, ახსოვს, რომ ყოველ ნაბიჯზე აბსურდულ კანონებსა და განკარგულებებს აწყდებოდა (არა ნაკლებს, ვიდრე სსრკ-ში).

### თუ სხვაგვარად შეუძლებელია, იძულებული ხარ, ქრთამი მისცე

როგორც ამბობენ, ამერიკის პრეზიდენტს როლანდ რეიგანს ჰყვარებია ხუმრობა: "მიწიერ ცხოვრებაში ყველაზე უკვდავია ბიუროკრატია - რადგან დაიბადება, აღარასოდეს არ მოკვდება". იგი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დროსაც ეფექტურად ებრძოდა ამ პათოლოგიას. თავისი პრეზიდენტობის დროს მან თითქმის გაანახევრა ქვეყანაში სახელმწიფო მოხელეების რაოდენობა.

ბიუროკრატიას ერთი თვისებაც აქვს - არ კმაყოფილდება იმით, რომ თავად დიდი უბედურებაა საზოგადოებისათვის, თავის ფერხულში სხვა უბედურებასაც, მაგალითად, კორუფციასაც ითრევს.

კორუფციის მიხედვით კი პოლონეთში ნამდვილად ვერაა საქმე კარგად. კერძოდ, Transparency International- ის კვლევიდან ცხადი ხდება, ამ ქვეყანამ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ამ სახის რეიტინგში მსოფლიოში 26-ე ადგილს იკავებდა, ახლა 46-ე ადგილზე "ჩამოიჩოჩა". ამ ორგანიზაციის ექსპერტების განცხადებით, პოლონეთში უფრო ხშირად აძლევენ (იღებენ) ქრთამს, ვიდრე კორუფციისაგან გატანჯულ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აფრიკაში - ნიგერია, ხოლო აზიაში - ბანგლადეში; მხოლოდ 2005 წელს პოლონეთში ქრთამი მისცა (შესაბამისად, ვიღაცამ აიღო) 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა. ევროპის კომისიის ინიციატივით განხორციელებულმა გამოკვლევებმა, რომელიც ევროკავშირის ყველა ქვეყანაში განხორციელდა ეგრეთ წოდებული "ევრობარომეტრის" ფარგლებში, დაადასტურა, რომ 88 (ალბათ, 100-დან?) პოლონელი საკუთარი ბიზნესის წამოწყების ხელშემშლელად სწორედ კორუფციას ასახელებს.

### თავისუფლების არარსებობის უარყოფითი შედეგები

ამქვეყნად არ არსებობს ქვეყანა, სადაც ეკონომიკურ თავისუფლებას პრობლემები წარმოეშვას. სამაგიეროდ, რამდენიც გნებავთ, იმდენი ქვეყანაა, სადაც სახელმწიფო აპარატის მეტისმეტ გაბერვას, ამ უკანასკნელის იმ საქმეებში ჩარევას, რომელსაც უშუალოდ მოქალაქეები უნდა სწყვეტდნენ, პრობლემები მოსდევს.

ამასთან, კორუფცია ერთადერთი უარყოფითი მნიშვნელოვანი შედეგი როდია, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების არარსებობას მოსდევს. მისი შედეგია ასევე გრძელვადიანი უმუშევრობა, რომლიც, როგორც ამას ხშირად ფიქრობენ ხოლმე, არაა თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების ლოგიკური შედეგი. ფართო მასშტაბით ჩატარებულმა კვლევებმა, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინიციატივით განხორციელდა, უჩვენა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს ინტერვენციის (ჩარევის, შეჭრის) ისეთი ფორმები, როგორიცაა დიდი და ცუდი ფორმით გაცემული დახმარებები, მაღალი გადასახადები, რომლებსაც დიდი სოციალური ხარჯები იწვევს, ათასგვარი კანონები, რომელთა დაწესების აუცილებლობაც საეჭვოა, აფერხებენ ფირმების შექმნასა და საქმიანობას და როგორც ამ პროცესების თანამდევ შედეგს - ადამიანებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამ ორგანიზაციის კვლევები იმასაც გვეუბნება, რომ ეკონომიკის ინტენსიური ბიუროკრატიული რეგულირება აფერხებს ტექნიკური პროგრესის მიღწევების სამეურნეო საქმიანობაში დანერგვას და, შესაბამისად, ხელს უშლის ეკონომიკის ეფექტურობის გაზრდას, რის გარეშეც წარმოუდგენელია მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლება (როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, საბჭოთა კავშირში).

### თავისუფლება, არა მხოლოდ სამეურნეო ცხოვრებაში

შემთხვევითი როდია, რომ - როგორც ამას წერდა ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, სოვეტოლოგი რიჩარდ პაიპსი - სამეურნეო თავისუფლების მქონე ქვეყნებში სხვა სახის თავისუფლებაც მოწონებული და ნებადართულია. კერძოდ, ისეთებიც, როგორებიცაა უფლება კერძო საკუთრებაზე, სწრაფი და სამართლიანი სასამართლო, დაწესებულებებში საქმეების გადაწყვეტის ოპერატიულობა, ყოველგვარი გართულებისა და ქრთამის გარეშე. და პირიქით, ქვეყნებში, სადაც შეზღუდულია ეკონომიკური თავისუფლება, ხშირად სამოქალაქო თავისუფლებასაც ზღუდავენ.

ამიტომ სამეურნეო თავისუფლებისათვის ისევე უნდა ვიბრძოლოთ, როგორც თავის დროს კომუნიზმის დამხობისათვის. ეს კი მაინც, ძირითადად, ამომრჩევლებმა უნდა გააკეთონ, რომელთაც ხმა უნდა მისცენ ჭკვიან, გაურყვნელ, გაუსვრელ ადამიანებს. როგორც კი ამის აუცილებლობას რიგითი მოქალაქეები, ამომრჩევლები გაიგებენ, ეს უკვე მეორე დღეს პოლიტიკოსებსაც ეცოდინებათ და ჩვენს ცხოვრებასაც უკეთესობისაკენ სვლა დაეტყობა.

## ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დღეს აუქციონი გაიმართება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ზაჰესში მდებარე შენობა-ნაგებობებსა და 150 ათას კვ. მეტრი ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს ყიდის. საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი ღირებულება 5 მილიონ 250 ათას აშშ. დოლარით განისაზღვრა. 200 ათას აშშ დოლარად შეფასდა თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე მშენებარე შენობა და მასზე დამაგრებული 3970 კვ.მეტრი მიწის ფართი. **ინტერპრესნიუსი**

## კოტე გაბაშვილი ავსტრიის ვალთან დაკავშირებით განმარტებებს ითხოვს

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი დამატებით დასკვნებს მოითხოვს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის და სააქციო საზოგადოება ავსტრიის კონტროლბანკს, როგორც ექსპორტის ხელშეწყობის შესახებ 1981 წლის კანონის შესაბამისად, ავსტრიის რესპუბლიკის სახელით მოქმედ აგენტს შორის შეთანხმებას მთელი ვალის დაფარვაზე" - შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა ავსტრიის წინაშე ხდება მევალე კერძო კომპანიის მიერ აღებულ ვალზე. ვალი 1989 წელს შპს "მეტეხმა" აიღო ავსტრიის კერძო კონტროლ ბანკისგან სასტუმრო "მეტეხის" ასაშენებლად. კომპანიის გარანტორები იყვნენ თბილისის მერია და ფინანსთა სამინისტრო. ვალი დღემდე დაფარული არ არის და, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე დიმიტრი გვინდაძე აცხადებს, მიმდინარე წლის 31 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ავსტრიაში ვიზიტისას ავსტრიულმა მხარემ საქართველოს შესთავაზა, რომ მოხდეს ამ ვალის შეღავათიანი პირობებით დაფარვა, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული 75 მილიონი ევროს ნაცვლად საქართველომ 2007 წლის ბოლომდე უნდა გადაიხადოს 23 მილიონი ევრო. როგორც საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აცხადებს, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების მხრიდან დასაბუთებული არ არის, თუ როგორ ხდება ამ ვალის 23 მილიონ ევრომდე ჩამოყვანა, და უფრო მეტიც, 2007 წლის ბიუჯეტში ეს თანხა არსად არ არის გაწერილი. "23 მილიონ ევროს ვალზე ეკონომიკის სამინისტროს 27-სიტყვიანი დასკვნა აქვს წარმოდგენილი და, რაც მთავარია, ჩემთვის არც ერთი დასკვნა არ არის დამაჯერებელი, თუ ამ ვალს ვის გადავუხდით და საიდან," - აცხადებს კოტე გაბაშვილი. იგი ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებს ასევე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეებს სთხოვს, რომ თავიანთი დასკვნები წარმოადგინონ და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს სამუშაო ვითარებაში შეხვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ამ დოკუმენტს პარლამენტში განხილვისათვის დასკვნას არ მისცემს. **ჯი-ეიჩენი**

## Ferrari იაფფასიან სპორტკუპეზე მუშაობს

კომპანია Ferrari-ი სრულიად ახალი ავტომობილის - იაფფასიანი, კომპაქტური სპორტკუპის გამოშვებას შეუდგა. კომპანიის ხელმძღვანელობის თქმით, ახალი ავტომობილი კონკურენციას Porsche 911-ს გაუწევს. იტალიურ მარკასთან დაახლოებული წყაროების ინფორმაციით, ახალი ავტომობილის პრემიერა 2008, ან 2009 წელს შედგება. სპორტკუპის გარეგნულ იერსახეზე მუშაობას კი დიზაინერული სტუდია Pininfarina შეუდგება. Ferrari-ის ახალი კუპე Maserati Coupe-ის პლატფორმაზე შეიქმნება, რომელიც მზის სინათლეს 2007 წელს იხილავს. ახალ სპოტრკუპეს 4 ლიტრიანი, 400-450 ცხენის ძალის მქონე ბენზინის ძრავა ექნება. არც ის არის გამორიცხული, რომ Ferrari-ის ახალი მოდელი შესაძლოა Maserati-ის ქარხანაში გამოუშვან. გავრცელებული ინფორმაციით, ახალ სპორტკუპეს 1968 წელს გამოშვებული საშუალო ძრავიანი ავტომობილის პატივსაცემად Ferrari Dino-ს დაარქმევენ. კომპანია Ferrari წელიწადში 4000 სპორტკუპეს გამოუშვებს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ავტომობილი ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკის ბაზრისთვის არის გათვლილი.